ღონისძიებები, რომლებიც უნდა
განხორციელდეს ბავშვებისა და
ახალგაზრდების პრობლემების
შესწავლა-მოგვარების მიზნით

© თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2007

შინაარსი

სამდივნოს კომენტარი 4

თავი 1: შესავალი 5

თავი 2: ძალადობის საკითხის ზოგადი მიმოხილვა 15

თავი 3: ძალადობა სახლსა და ოჯახში 19

თავი 4: ძალადობა სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში 27

თავი 5: ძალადობა ბავშვებზე სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში 35

თავი 6: ძალადობა ბავშვებზე სამუშაო ადგილზე 43

თავი 7: ძალადობა ბავშვთა მიმართ საზოგადოებაში 51

თავი 8: ვიაროთ წინ 61

რესურსების სია 66

დანართი 1: ბავშვის უფლებათა კონვენცია (შემოკლებული ვარიანტი) 68

დანართი 2: აქტივიზატორები 72

დანართი 3: შეხვედრის დასრულება 74

დანართი 4: „ის, რასაც თქვენ ვერ ხედავთ. . .“ 75

სამდივნოს კომენტარი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო დიდ მადლობას უცხადებს ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები — საერთაშორისო ალიანსს“ (International Save the Children Alliance), გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) და „სკაუტების მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაციას“ იმ მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რაც მათ აღმოუჩინეს გენერალური მდივნის სამსახურს ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხთა კვლევისას. სამდივნო ასევე დიდ მადლობას უხდის სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებსა და მათ მხარდამჭერებს გამოხმაურებისა და საკუთარი საცდელი (საპილოტო) ინიციატივების წარმოდგენისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით:
ავტორს — სუზან ფაუნტინს,
ყდის გამფორმებელს — სოფი კომბეტს,
მაკეტის ავტორს — services-concept.ch.

სამდივნო მადლიერებით აღნიშნავს ახალგაზრდების მიერ ჩატარებულ იმ ღონისძიებებსა და მასალებს, რაც წარმოდგენილია შემდეგ დოკუმენტებში:

ძალადობა ბავშვებზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა (2005). *რეგიონალური კონსულტაციების შედეგების ანგარიშები და სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა*; ვებგვერდის მისამართი: www.violencestudy.org/r27

ძალადობა ბავშვებზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა (2006). *ანგარიში მსოფლიოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ.* ვებგვერდის მისამართი: www.violencestudy.org/

„გადავარჩინოთ ბავშვები — საერთაშორისო ალიანსი“ (2006). „ბავშვების ძალისხმევა გოგონებისა და ბიჭების მიმართ ძალადობის აღსაკვეთად“. „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children), შვეცია. ვებგვერდის მისამართი: www.rb.se/eng

„გადავარჩინოთ ბავშვები — საერთაშორისო ალიანსი“ (2005). *იმოქმედე ახლა! ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ ძალადობის კვლევასთან დაკავშირებით გამართულ რეგიონალურ კონსულტაციებში ბავშვების მონაწილეობის შესახებ*, „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children). შვეცია.

„გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) (2006). *„ბავშვები და მოზარდები ძალადობაზე ლაპარაკობენ“. მექსიკა, გვატემალა, ჰონდურასი და დომინიკელთა რესპუბლიკა.* „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children).

„გადავარჩინოთ ბავშვები — საერთაშორისო ალიანსი“ (2005). *10 უმთავრესი შესასწავლი საკითხი: მოისმინე და გამოთქვი აზრი სექსუალურ ძალადობაზე გოგონებისა და ბიჭების მიმართ.* „გადავარჩინოთ ბავშვები — საერთაშორისო ალიანსის“ მიერ წარმოდგენილია საერთაშორისო მასშტაბით. *ძალადობა ბავშვებზე — გაეროს კვლევა*, ოსლო, „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children), ნორვეგია.

„გადავარჩინოთ ბავშვები — საერთაშორისო ალიანსი“ (2005). *„გოგონები და ბიჭები ხმას აღიმაღლებენ სამხრეთ და ცენტრალურ აზიაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შეწყვეტასთან დაკავშირებით“.* „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children), შვეცია.

თავი 1: შესავალი

1. ვისთვის დაიწერა ეს წიგნი?

წიგნი *„ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ძალადობისაგან“* განკუთვნილია ახალგაზრდების ლიდერებისა და ახალგაზრდა ინსტრუქტორებისათვის, რომლებიც მუშაობენ 12-18 წლის ასაკობრივ ჯგუფებთან საზოგადოებრივ ცენტრებში, ახალგაზრდების ჯგუფებსა და სხვა დაწესებულებებში.

წიგნის გამოყენება შეუძლიათ, აგრეთვე, მასწავლებლებს ან სხვა სრულწლოვან პირებს, რომლებიც მუშაობენ 12-18 წლის ახალგაზრდებთან სკოლებში, ახალგაზრდულ ცენტრებსა და სხვა დაწესებულებებში.

წიგნში მოცემულია ინფორმაცია ნაშრომზე „ძალადობა ბავშვებზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა“ (შემდგომში მოიხსენიება, როგორც „ძალადობის კვლევა“). აგრეთვე წარმოდგენილია, თუ რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს საქმიანობა, რათა დავეხმაროთ სხვებსაც, მიიღონ ინფორმაცია ამ საკითხებზე და გაეცნონ ამგვარი ძალადობის საწინააღმდეგო ზომების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს.

წინამდებარე წიგნის ახალგაზრდებთან სამუშაოდ გამოსაყენებლად, პირველ რიგში, საჭიროა, წაიკითხოთ *„ძალადობა ბავშვებზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა, ადაპტირებული ვერსია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის“* (შემდგომში ეს წიგნი მოიხსენიება, როგორც *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“*), რომელიც შედის დოკუმენტების მოცემულ პაკეტში. ამით თქვენ მიიღებთ საწყის ინფორმაციას ამ კვლევასა და ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. იქვე მოცემულია „განმარტებები“, რომლებიც დაგეხმარებათ ჩაწვდეთ ძნელად გასაგები სიტყვების მნიშვნელობას და აუხსნათ ისინი თქვენს სამუშაო ჯგუფებს. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ „ძალადობის კვლევის“ ვებგვერდზე (იხ. „რესურსების სია“).

1 თავი მოგაწვდით ძირითად ინფორმაციას „ძალადობის კვლევაზე“. იქვე აღწერილია სახელმძღვანელო პრინციპები, თუ როგორ უნდა ესაუბროთ ახალგაზრდებს ძალადობის მტკივნეულ თემებზე. ასევე განმარტებულია, თუ როგორ უნდა იმუშაოთ ჯგუფებთან, როგორ დაგეგმოთ სემინარები და როგორ წარმართოთ საქმიანობა.

ამ თავის წაკითხვის შემდეგ გადახედეთ მე-2-მე-7 თავებს, სადაც აღწერილია სხვადასხვა ღონისძიება და შეარჩიეთ ისინი თქვენი ჯგუფის წევრების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით.

2. საწყისი ინფორმაცია ჯგუფის ხელმძღვანელთათვის

რა არის „ძალადობა ბავშვებზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა“?

„ძალადობის კვლევაში“ თავმოყრილია სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მათ ქვეყნებში ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებზე. 2004, 2005 და 2006 წლებში რეგიონალურ და სახელმწიფოებრივ დონეებზე გამართულ შეხვედრებზე მთელი მსოფლიოდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა გამოთქვეს აზრი საკუთარ თავზე გამოცდილი ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. „ძალადობის კვლევაში“ მოცემულია, ასევე, კონსულტაციები სხვადასხვა პროფესიის წამომადგენელთათვის (იურისტებისათვის, მედიკოსებისათვის, სოციალური მუშაკებისათვის), გაეროს სისტემის უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან და ახალგაზრდებთან. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ „ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელის“ (CRIN) ვებგვერდზე (იხ. „რესურსების სია“).

„ძალადობის კვლევის“ მიზანია დაეხმაროს მთავრობებს, საზოგადოებას და ორგანიზაციებს ბავშვებთან მუშაობაში, რათა მათ მიიღონ გადაწყვეტილებები ძალადობის აღსაკვეთად, თავიდან აიცილონ ძალადობის განმეორება და დახმარება გაუწიონ ძალადობის მხვერპლ ბავშვებს. ამ პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თვით ახალგაზრდებსაც. კვლევის შედეგად დადგინდა ის ხუთი გარემო/ადგილი, სადაც ხდება ძალადობა ბავშვზე:

- სახლი და ოჯახი.
- სკოლები და სხვა სასწავლო დაწესებულებები.
- სპეციალური დაწესებულებები და ციხეები.
- სამუშაო ადგილი.
- საზოგადოება.

„ძალადობის კვლევასთან“ დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. დოკუმენტი *„ანგარიში ახალგაზრდების მიმართ ძალადობის შესახებ“* და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ წიგნის ბოლოს მოცემულ „რესურსების სიაში“.

რას წარმოადგენს „ბავშვის უფლებათა კონვენცია“?

„ძალადობის კვლევა“ ეფუძნება დებულებას, რომ ბავშვს აქვს უფლება იყოს დაცული ძალადობისაგან. ბავშვის უფლებები განმარტებულია „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“. ეს არის ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო 1989 წელს და რომელიც *რატიფიცირებულია* მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მიერ — რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი თანახმანი არიან განახორციელონ კონვენციაში აღნიშნული უფლებების დაცვა.

„ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ ნათქვამია, რომ ბავშვს აქვს უფლება იყოს დაცული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, დამამცირებელი სასჯელისაგან, სხეულის დაზიანებისაგან, უყურადღებოდ მიტოვებისა და შეურაცხყოფისაგან. მას აქვს უფლება იყოს დაცული სამუშაოსაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს, სექსუალური ძალადობისაგან, ტრეფიკინგისა და ექსპლუატაციის სხვა ფორმებისაგან. მას აქვს ჯანმრთელობის დაცვის, განათლების მიღების, სამედიცინო მომსახურების, ცხოვრების სათანადო სტანდარტებით სარგებლობის უფლება. ასევე, მას აქვს უფლება გამოთქვას საკუთარი აზრი, შექმნას ორგანიზაციები და მონაწილეობა მიიღოს მათ ფუნქციონირებაში.

ბევრი ახალგაზრდა არ იცნობს საკუთარ უფლებებს! მანამ, სანამ დაიწყებდეთ ჯგუფთან მუშაობას ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, გაეცანით „ბავშვის უფლებათა კონვენციას“. დანართ 1-ში თქვენ ნახავთ კონვენციის შემოკლებულ ვერსიას.

გავეცნოთ „ბავშვის უფლებათა კონვენციას“

თუ თქვენ მუშაობთ ჯგუფთან, რომელიც არ იცნობს „ბავშვის უფლებათა კონვენციას“, შეგიძლიათ, სთხოვოთ ახალგაზრდებს, რომ:

- წაიკითხონ კონვენციის მოკლე ვარიანტი (დანართი 1).
- დახატონ სურათი მათთვის მნიშვნელოვანი უფლების თემაზე.
- გაითამაშონ, თითქოს ეს უფლება დაირღვა და ხდება მისი დაცვა.
- დაყონ კატეგორიებად კონვენციის მუხლები: „ბავშვის უფლებათა კონვენციიდან“ გამოყონ 10 მუხლი, რომლებიც, თქვენი აზრით, მნიშვნელოვანია ჯგუფისათვის; ჩამოწერონ ქაღალდის პატარა ფურცლებზე ან გააკეთონ მათი ფოტოასლი დანართი 1-დან. დაყონ *კატეგორიებად „კიბისებური“ მეთოდით*, რომლის თავშიც იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი (შესაძლოა იმიტომაც, რომ მისი განხორციელება ყველაზე საჭიროა), ხოლო ბოლოში — ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი უფლება.
- ან გამოიყენონ ცხრა უფლება და დაყონ კატეგორიებად „ბრილიანტისებური“ მეთოდით, როდესაც ყველაზე მნიშვნელოვანი უფლება „ბრილიანტის“ ზედა ნაწილშია, ორი ნაკლებმნიშვნელოვანი უფლება — ცოტა ქვემოთ, სამი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი უფლება — მის ქვემოთ, შემდეგ — ორი ნაკლებმნიშვნელოვანი უფლება, ხოლო სულ ბოლოს კი — ერთი ყველაზე ნაკლები მნიშვნელობის მქონე უფლება.

1 (ყველაზე მნიშვნელოვანი)

2 2

3 3 3

4 4

5 (ყველაზე ნაკლებმნიშვნელოვანი)

„ბრილიანტისებური“ მეთოდი

კატეგორიებად დაყოფისას არ არსებობს ერთი „სწორი“ პასუხი. ყველა უფლება მნიშვნელოვანია და სხვადასხვა კატეგორიის განხილვის პროცესში ახალგაზრდებმა შეიძლება დაინახონ, თუ რამდენად უკავშირდება ერთმანეთს თითოეული ეს უფლება. ახალგაზრდების მიზანს წარმოადგენს გაარკვიონ თავიანთი უფლებები და ერთმანეთს გაუზიარონ აზრები.

3. მტკივნეულ საკითხებზე საუბარი

ძალადობა არის თემა, რომელიც იწვევს სხვადასხვა გრძნობას — ბრაზს, ტკივილს, სევდიან განწყობას, შიშს, სირცხვილს. ეს ნორმალური და ბუნებრივი რეაქციაა მიყენებულ ტკივილზე. თქვენს ჯგუფში, ალბათ, იქნებიან ახალგაზრდები, რომლებსაც გადატანილი აქვთ ძალადობა რომელიმე ფორმით. თქვენ შესაძლოა არც კი იცოდეთ ვინ არიან ისინი, რადგანაც ახალგაზრდებს ყოველთვის არ სურთ ამგვარ საკითხებზე სხვებთან საუბარი.

ახალგაზრდა ხელმძღვანელს გვერდით უნდა ჰყავდეს სრულწლოვანი პარტნიორი, რომელთანაც შეეძლება ამგვარ საკითხებზე საუბარი. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის რომელიმე წევრი მოგიყვებათ მის მიმართ სასტიკი მოპყრობის ან ძალადობის შესახებ, ჰკითხეთ რჩევა თქვენს პარტნიორს, თუ როგორ მიუდგეთ ამ საკითხს.

<u>მიეცით არჩევანის უფლება:</u> დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ჯგუფის ყველა წევრმა იცის წინასაწარ, რომ განხილული იქნება ძალადობის საკითხი და რომ ზოგიერთ მათგანს შეიძლება

გაუჩნდეს მის მიერ გადატანილი ძალადობის ფაქტების სხვებისათვის გაზიარების სურვილი. დაე, მათ თვითონ გადაწყვიტონ, დარჩნენ ჯგუფში თუ არა. მათ ასევე შეუძლიათ დროებით დატოვონ ჯგუფი ან ჩუმად იყვნენ ზოგიერთი ქმედების განხორციელებისას.

<u>კონფიდენციალურობა</u>: ახალგაზრდებმა შეკრების დაწყებისას უნდა იცოდნენ, რომ თქვენ არ აპირებთ მათი პირადი ინფორმაციის სხვებისათვის გაზიარებას. დარწმუნდით, რომ ჯგუფის ყველა წევრი თანახმაა ამაზე!

<u>რეაქცია პირად ისტორიებზე</u>: არავის დააძალოთ გაგიზიაროთ საკუთარი გამოცდილება, თუ მას ამის სურვილი არა აქვს — ეს ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა! თუ მას აქვს ამგვარი სურვილი, პატივი ეცით მის მონაყოლს და აგრძნობინეთ, რომ აფასებთ მის მიერ გადატანილი ისტორიის ჯგუფისათვის გაზიარების ფაქტს. თუ მოყოლის პროცესს თან ახლავს ძლიერი ემოციები, ეცადეთ რეაგირება მოახდინოთ ამაზე. მაგალითად, თქვით: „მე ვხედავ, რომ ამ ისტორიამ დიდი დაღი დაგასვათ“.

ზოგჯერ ჯგუფის ხელმძღვანელი წუხს, რადგან ძალადობაზე საუბრისას ახალგაზრდები შესაძლოა მოიცვას სიბრაზემ ან სევდამ. თუმცა, დასაშვებია მოხდეს პირიქით და ამ თემაზე საუბრისას ახალგაზრდებმა მეტი სიმტკიცეც კი შეიძინონ. ზოგიერთისათვის საიდუმლოს გაზიარება შვების მომგვრელია. იმ თანაგრძნობის შედეგად, რაც მათ შეიძლება ჯგუფისაგან მიიღონ, ხშირად ახლებურად იწყებენ ფიქრს, თუ როგორ დაიცვან თავი საფრთხისაგან.

<u>როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ ვინმე განაცხადებს, რომ იმყოფება ძალადობის ქვეშ</u>? აუცილებელია კონფიდენციალურობის დაცვა, მაგრამ, თუ თქვენ ჩათვლით, რომ ეს პირი დგას სერიოზული საფრთხის წინაშე, უთხარით მას ამის შესახებ, გაამხნევეთ და ურჩიეთ, რომ უამბოს ეს კომპეტენტურ სრულწლოვან ადამიანს, რათა მიღებული იქნეს რაიმე ზომა ძალადობის წინააღმდეგ. შეეცადეთ, დაეხმაროთ ახალგაზრდას, რათა მან შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად აკონტროლოს სიტუაცია.

ზოგიერთ ახალგაზრდას შეიძლება არ უნდოდეს, ვინმეს გაუმხილოს საკუთარი ისტორია, იმის შიშით, რომ მას არ დაუჯერებენ, დაადანაშაულებენ ან საიდუმლოს გამხელით საფრთხეში ჩაიგდებს თავს, ანდა ფიქრობს, რომ ის ორგანიზაცია, რომელსაც მისი დაცვა ევალება, სინამდვილეში ვერ ფუნქციონირებს სრულფასოვნად. ასეთ შემთხვევაში, შეეკითხეთ თქვენს უფროს პარტნიორს, თუ როგორ მოიქცეთ. უფროსებს შეიძლება ჰქონდეთ ახაგაზრდების მიმართ სასტიკი მოპყრობისა და მათზე ძალადობის ფაქტების შესახებ ანგარიშის სპეციალური იურიდიული პასუხისმგებლობა.

<u>უნდა იცოდეთ სად ეძებოთ დახმარება</u>: ჯგუფთან მუშაობის დაწყებამდე გამოიკვლიეთ ზოგიერთი რამ! გაარკვიეთ იმ პირის ვინაობა ან ის ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია ფსიქოლოგიური, იურიდიული ან სხვა სახის დახმარების გაწევა იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს თქვენს ჯგუფში დასჭირდება დახმარება ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით. შეიძლება იქ, სადაც თქვენ იმყოფებით, იყოს საკონსულტაციო ცენტრები, ტელეფონის ცხელი ხაზი ან იურიდიული დახმარების სამსახურები. შეატყობინეთ ამ ორგანიზაციებს, რომ თქვენ იწყებთ გარკვეულ ჯგუფთან მუშაობას ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. მუშაობის დაწყებამდე ჯგუფსაც აცნობეთ, თუ ვის უნდა მიმართონ. გადაეცით მას აღნიშნული ორგანიზაციების სია და ტელეფონის ნომრები.

<u>სხვათა ისტორიების მოსმენა</u>: ზოგმა ახალგაზრდამ შეიძლება ძლიერ განიცადოს სხვების მონაყოლი ძალადობის ფაქტები. დაიმახსოვრეთ! ამგვარი ისტორიების მოსმენისას ნორმალურია, თუ ადამიანი დასევდიანდება ან იტირებს კიდეც. თქვენ ისე უნდა მოიქცეთ, რომ ამ პირს არ შერცხვეს საკუთარი ემოციების. მაგალითად, უნდა უთხრათ: „ამ ამბის მოსმენამ თქვენ ძალიან აგაღელვათ. დარწმუნებული ვარ, ამ აუდიტორიაში ბევრი განიცდის იმავეს.“

<u>განწყობის გამოკეთება</u>: ძალადობაზე საუბრის შემდეგ თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ მსმენელის განწყობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები. დანართ 2-ში შემოთავაზებულია „აქტივიზაციისათვის“ საჭირო ქმედებები, რაც გაახალისებს და გააცინებს მსმენელს. დაძაბულობის მოხსნაში შეიძლება დაგეხმაროთ შესვენების მოწყობა ან მუსიკის ჩართვა და მოძრაობა.

<u>საკუთარ თავზე ზრუნვა:</u> ძალადობაზე საუბარმა შეიძლება თვით ჯგუფის ხელმძღვანელში გამოიწვიოს მძაფრი ემოციები. ეს არ არის სამარცხვინო! მაგრამ თქვენ უნდა იცოდეთ, თუ როგორ იზრუნოთ საკუთარ თავზე. მოელაპარაკეთ რომელიმე სხვა ჯგუფის ხელმძღვანელს, რომ შეგენაცვლოთ ჯგუფთან მუშაობისას ან მოაწყვეთ შესვენება, თუ იგრძნობთ, რომ თქვენ ეს გჭირდებათ. სთხოვეთ თქვენს უფროს პარტნიორს მოგეხმაროთ სემინარების ისე დაგეგმვაში, რომ უსაფრთხო იყოს ყველასათვის. სემინარის ან სამუშაო შეხვედრის შემდეგ ისაუბრეთ მის შესახებ სხვა ჯგუფების ხელმძღვანელებთან და თქვენს უფროს პარტნიორთან. განიხილეთ ნებისმიერი პრობლემა თუ ემოცია, რომლის გაზიარებაც თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ.

<u>უსაფრთხო გარემოს შექმნა</u>: თქვენ მიერ ჩატარებული სემინარი ან სამუშაო შეხვედრა უნდა იყოს ნიმუში არაძალადობისა. დარწმუნდით, რომ ჯგუფის ყველა წევრი მონდომებულია შექმნას უსაფრთხოებისა და პატივისცემისათვის საჭირო გარემო. მომდევნო ნაწილში განხილული იქნება, თუ როგორ შეიძლება ამის განხორციელება.

4. ჯგუფთან მუშაობა: ზოგიერთი ძირითადი პრინციპი

არა აქვს მნიშვნელობა, მანამდე იყავით ჯგუფის ხელმძღვანელი თუ ეს თქვენი პირველი მცდელობაა, აქ მოცემულია ზოგიერთი რჩევა, რომელიც დაგეხმარებათ დაუბრკოლებლად ჩაატაროთ შეხვედრა, ჩართოთ მის მსვლელობაში ყველა მონაწილე და აგრძნობინოთ, რომ აქ ისინი უსაფრთხოდ არიან!

- *შეადგინეთ სამუშაო პროგრამა:* ქაღალდის დიდ ფურცელზე ან დაფაზე დაწერეთ რის გაკეთებას აპირებთ. შეხვედრის წინ განიხილეთ ეს. შეეკითხეთ მსმენელს აქვს თუ არა შეკითხვები ან წინადადებები.
    - რატომ? — ადამიანები უსაფრთხოდ და კომფორტულად მაშინ გრძნობენ თავს, როცა იციან, თუ რის შემდეგ რა უნდა მოხდეს. ისინი უფრო დიდი ხალისით მიიღებენ მონაწილეობას სასწავლო პროცესში, როდესაც თვითონ შეიტანენ წვლილს სამუშაო პროგრამის შედგენაში.
- *შეიმუშავეთ სახელმძღვანელო პრინციპები ჯგუფისათვის:* შეეკითხეთ ჯგუფის წევრებს, თუ რა წესების დაცვა სურთ. ეს აგრძნობინებს მათ, რომ არიან დაცულნი, მათ აზრს პატივს სცემენ და რომ თავიანთი წვლილი შეაქვთ სასწავლო პროცესში. როდესაც სამუშაო პროგრამა მზად გექნებათ, შეეკითხეთ თითოეულ მათგანს ეთანხმება თუ არა მას.
    - რატომ? — ადამიანები დაცულად გრძნობენ თავს, როდესაც იციან, თუ რას უნდა ელოდონ; როდესაც იგებენ, რომ ყველას სურს ისარგებლოს ერთი და იმავე წესებით.
- *დაეხმარეთ ყველას მიიღონ მონაწილეობა:* იმუშავეთ პატარა ჯგუფებთან (4-6 ადამიანი), რაც უფრო მეტ ადამიანს მისცემს აზრის გამოთქმის საშუალებას (ზოგიერთ ადამიანს

რა უნდა ახსოვდეს ჯგუფის ხელმძღვანელს

- ძალიან ძნელია დისკუსიების ეფექტურად წარმართვა დიდ ჯგუფში. კარგად მუშაობს 15-20-კაციანი ჯგუფი.
- დასხედით წრიულად, რაც ყველას გაუადვილებს საუბარს.
- ითანამშრომლეთ სხვა ჯგუფის ხელმძღვანელთან.

არ სურს დიდ ჯგუფში საუბარი). დიდ ჯგუფებში ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ყოველთვის ერთი და იმავე ადამიანებმა არ ილაპარაკონ. ამის თავიდან ასაცილებლად გამოიყენეთ „სასაუბრო ჯოხი“, რომელიც გადაეცემა ჯგუფის წევრებს და მხოლოდ მას შეუძლია ლაპარაკი, ვისაც ეს ჯოხი უჭირავს.

- რატომ? — ეს იმის მაჩვენებელია, რომ ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება და ყველა მათგანის აზრს სცემენ პატივს.

- *გამოიყენეთ „აქტივიზატორები“.* ეს არის მოკლე, სახალისო მოქმედებები, რაც ცვლის ტემპს, აძლევს ადამიანებს მოძრაობის საშუალებას. დანართ 2-ში მოცემულია ზოგიერთი მაგალითი.
  - რატომ? — იმიტომ, რომ საერთო მხიარულება განამტკიცებს ურთიერთკავშირს და მეგობრობის გრძნობას, ხოლო „აქტივიზატორები“ ეხმარება ადამიანებს დაძლიონ ის ცუდი განწყობა, რომელიც მათ აქვთ სერიოზული დისკუსიების შემდეგ.
- *დაიტოვეთ დრო შეფასებისათვის:* სასწავლო პროცესის ბოლოს გაარკვიეთ ჯგუფის აზრი. სერიოზულად მიიღეთ მათი წინადადებები და ჯგუფის საჭიროებების უკეთ გათვალისწინების მიზნით შეცვალეთ მომდევნო დღის სამუშაო პროგრამა.
  - რატომ? — ამით აჩვენებთ, რომ პატივს სცემთ სხვების აზრს. ახალგაზრდები უფრო დაცულად გრძნობენ თავს, როდესაც იციან, რომ შეუძლიათ საკუთარი აზრების გამოთქმა და ჯგუფის ხელმძღვანელი სერიოზულად ეკიდება მათ.

ზოგი შესაძლო სახელმძღვანელო პრინციპი:

- პატივისცემით მოეპყარით საკუთარ თავს.
- პატივისცემით მოეპყარით ერთმანეთს.
- პატივისცემით მოეპყარით განსხვავებულ აზრს, კულტურას, ენას. არ დასცინოთ და არ გააკრიტიკოთ სხვები.
- გულისყურით მოუსმინეთ სხვებს.
- ილაპარაკეთ მორიგეობით.
- იცინეთ ერთად და არა ერთმანეთზე.
- ჯგუფის გარეთ ნუ ილაპარაკებთ სხვის პირად ინფორმაციაზე.
- ნუ ილაპარაკებთ, თუკი ეს თავად არ გინდათ.

5. სამუშაო პროგრამის შედგენა

ღონისძიებები შეარჩიეთ თქვენი ჯგუფის წევრთა ინტერესებისა და ასაკის გათვალისწინებით — არ არის საჭირო გამოიყენოთ ამ წიგნში მითითებული ყველა ღონისძიება!

- თუ თქვენ გევალებათ მხოლოდ ერთი შეხვედრის ჩატარება, რათა გააღრმავოთ მსმენელთა ცოდნა ბავშვების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, გამოიყენეთ მე-2 თავში მოცემული ერთ-ერთი ღონისძიება.
- თუ გინდათ, რომ ყურადღება შეაჩეროთ ძალადობის ერთ რომელიმე სახეობაზე, მაგალითად, მომუშავე ბავშვების მიმართ ძალადობაზე, გამოიყენეთ აღნიშნულ თავში მოცემული ყველა ან რამდენიმე ღონისძიება.
- თუ თქვენ გიწევთ დამატებითი დროის გამოყენება ჯგუფთან სამუშაოდ და გინდათ ღრმად ჩასწვდეთ „ძალადობის კვლევას“, ყოველი თავიდან ისეთი თემა შეარჩიეთ, რომელიც საინტერესოა თქვენი ჯგუფისათვის.

თითოეული ღონისძიება შეიძლება იყოს დამოუკიდებელი. ღონისძიება, რომელიც წარმოდგენილია თემის გასაცნობად, მოცემულია თავის დასაწყისში, რომელსაც მოყვება უფრო ღრმა შინაარსის ღონისძიებები და მათი გადაჭრის გზები.
თქვენი ჯგუფის სამუშაო პროგრამის დაგეგმვის დროს გამოიყენეთ სხვადასხვა სახის ღონისძიება — „აქტივიზატორები“, დისკუსიები, სხვადასხვა ქმედება, როლების გათამაშება

და ხატვა — განსაკუთრებით მაშინ, თუ სემინარის ხანგრძლივობა ერთ საათზე მეტია. თითოეული ღონისძიებისათვის საჭირო დრო მითითებულია, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ მისი შეცვლა — შეგიძლიათ შეამოკლოთ მოცემული ღონისძიება, თუ შეამჩნევთ, რომ ჯგუფს არ აინტერესებს ის, ან გააგრძელოთ, თუ ხედავთ, რომ მან გამოიწვია მწვავე დისკუსია. აუცილებლად გამოაცხადეთ შესვენება დაახლოებით 90 წუთში ერთხელ. შედარებით ახალგაზრდა ჯგუფებისათვის — უფრო მოკლე დროის შემდეგ.

ამ წიგნში მოცემული ბევრი ღონისძიება უნდა განხორციელდეს პატარა ჯგუფებში. თქვენ შეგიძლიათ დართოთ ნება მონაწილეებს თვითონ შეადგინონ ჯგუფები ან შეგიძლიათ თვითონ დათვალოთ ჯგუფის წევრები და დაყოთ პატარა ჯგუფებად. შესაძლებელია დანართ 2-ში მოცემული ზოგიერთი „აქტივიზატორის“ გამოყენება პატარა ჯგუფური სამუშაოს შესასრულებლად.

<u>სადისკუსიო ღონისძიებები</u>: როგორც წესი, ეს ხდება პატარა ჯგუფებში მონაწილეთა წასახალისებლად. გამოიყენეთ ის, როდესაც გინდათ რომ მონაწილეებმა უფრო ღრმად იაზროვნონ, გამოიტანონ სხვადასხვა დასკვნა და შეიმუშაონ რეკომენდაციები. ქვემოთ მოცემულია სადისკუსიო ღონისძიებების მაგალითები:

- კლასიფიკაცია: იხ. მე-8 გვერდზე მოცემული კატეგორიები.
- ჯგუფებად გაერთიანება: იხ. ღონისძიება 2, გვ. 26.
- იდეების კარუსელი: იხ. ღონისძიება 4, გვ. 21.
- ინტერვიუები: იხ, ღონისძიება 11, „რა არის შენი სამუშაო?“, გვ. 44.
- ინტერვიუები წრეში: იხ. ღონისძიება 15, გვ. 53.

შეგიძლიათ შეცვალოთ კითხვები და ამგვარი სადისკუსიო ღონისძიებები გამოიყენოთ სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით.

სადისკუსიო ღონისძიებებმა შეიძლება ბევრი კითხვა გაუჩინოს ჯგუფს. თუკი არ იცით რა უპასუხოთ, თქვით, რომ არ იცით. დაეხმარეთ ჯგუფს პასუხის მიღებაში:

- ჩაიხედეთ „ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიშში“ ან მონახეთ პასუხი „ძალადობის კვლევის“ ვებგვერდზე.
- ჰკითხეთ თქვენს უფროს პარტნიორს.
- მონახეთ ადგილობრივი ექსპერტი, რომელიც დაგეხმარებათ.
- ჩაატარეთ კვლევა.

<u>როლების გათამაშება</u>: ამის განხორციელება შესაძლებელია უფრო სწრაფად და გარკვევით, ვიდრე ლექციის ჩატარება! როლების გათამაშებას ჯგუფში შედეგად მოსდევს საკითხების უფრო ღრმა განხილვა. იმისათვის, რომ როლები უსაფრთხოდ გათამაშდეს:

- მიეცით საშუალება ახალგაზრდებს თვითონ გადაწყვიტონ, თუ რა სცენის გათამაშება სურთ და თვითონ გაინაწილონ როლები. ზოგიერთ ახალგაზრდას არ შეუძლია ითამაშოს მოძალადის როლი ან ძალადობის მსხვერპლის როლი.
- გამოიყენეთ სიმბოლური მოქმედების მეთოდი: როლების გათამაშებისას თქვენ არ შეგიძლიათ რეალურად შეასრულოთ ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის სცენები. დაეხმარეთ ჯგუფის წევრებს იმის მოფიქრებაში, თუ როგორ წარმოადგინონ ამგვარი ძალადობის ფაქტები ან მისი შედეგები რეალური ძალადობის გარეშე.

ხანდახან როლების გათამაშება შეიძლება გამოყენებული იქნეს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი საშუალებების შესასწავლად. ზოგჯერ ეს ასე ხდება:

- **შეაჩერეთ მოქმედება:** შეჩერდით და ერთობლივად მოიფიქრეთ სხვა საშუალებები.

- **აკვარიუმის მეთოდი**: როლების გათამაშებისას, სხვადასხვა მსმენელს მიეცით საშუალება წარმოადგინონ თავი დაზარალებული ბავშვის ადგილზე. მიმართეთ რეაგირების სხვადასხვა საშუალებას, განიხილეთ რომელი მათგანია უკეთესი.

როლების გათამაშება ასევე ეფექტურია საზოგადოების ინფორმირების დონის ასამაღლებლად. მოიფიქრეთ, სად შეიძლება გაითამაშოთ რომელიმე სცენა. დაგეგმეთ, როგორ განიხილოთ ხალხთან ის, რაც მათ ნახეს და რისი შეცვლაა საჭირო იმისათვის, რომ ბავშვი იყოს დაცული.

ფაქტების კვლევა: ამ დროს ახალგაზრდები აგროვებენ მონაცემებს ბავშვებზე ძალადობის ფაქტების შესახებ იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ. ქვემოთ მოცემულია ამის შესასრულებლად საჭირო ზოგიერთი საშუალება:

- გამოკითხვები;
- კვლევა და კითხვარების შევსება;
- მონიტორინგი (მაგალითად, რამდენი ძალადობის სცენაა ფილმში);
- სკოლებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებული მონაცემების შესწავლა (სადაც ეს შესაძლებელია და სადაც არ დაირღვევა კონფიდენციალურობის უფლება, მაგალითად, ზოგიერთ სკოლაში დაფიქსირებულია დაშინების შემთხვევების რაოდენობა).

როდესაც შეაგროვებთ მონაცემებს, მოიფიქრეთ, თუ როგორ გადასცეთ ეს მონაცემები სხვებს — სკოლას, საზოგადოებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საინფორმაციო საშუალებებს — ისე, რომ დაცული იყოს როგორც თქვენი, ისე იმის კონფიდენციალურობა, ვისგანაც ინფორმაცია მიიღეთ.

ანგარიშის წარმოდგენა: ეს პატარა ჯგუფებს აძლევს საშუალებას, გაუზიარონ სხვებს, რაც გააკეთეს. მათ შეუძლიათ ილაპარაკონ ამის შესახებ მთელი ჯგუფის წინაშე, თუმცა, ამისათვის სხვა გზებიც არსებობს:

- **ხელოვნების გალერეა** — ჩამოკიდეთ მთელ აუდიტორიაში ქაღალდის დიდ ფურცლებზე შესრულებული ნახატები. სთხოვეთ ყველას, რომ შემოიარონ და დაათვალიერონ. თითოეული ჯგუფიდან ერთმა მსმენელმა უნდა უპასუხოს კითხვებს და გამოხატოს თავისი აზრი.
- **როლების გათამაშება** — იმის ნაცვლად, რომ ჯგუფს ელაპარაკოთ თქვენი აზრებისა და რეკომენდაციების შესახებ, გაითამაშეთ სცენა ამ თემაზე.
- **საუბარი ექსპერტთან** — გაითამაშეთ თითქოს „კორესპონდენტი“ ესაუბრება „ექსპერტს“ ისე, რომ გადმოეცით ჯგუფის შეხედულებები.

შეფასება: ამით მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც დაგეხმარებათ, გააუმჯობესოთ თქვენი, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელის, შესაძლებლობები. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გეგმაში გაქვთ, რომ დამატებითი დროის განმავლობაში იმუშაოთ ჯგუფთან, ამით მსმენელთათვის ლექციის ხარისხს გააუმჯობესებთ. შეფასების ზოგი საშუალებაა:

- **ტაში** — განიხილეთ თქვენი სამუშაო გეგმით გათვალისწინებული თითოეული ღონისძიება. ჯგუფს შეუძლია ხმამაღლა დაუკრას ტაში იმ ღონისძიებას, რომელიც მას მოსწონს და ხმადაბლა იმას, რომელიც არ მოსწონს. ტაშის სიძლიერე გაჩვენებთ იმას, თუ რა აზრისაა ჯგუფი!
- **თერმომეტრი** — ქაღალდის დიდ ფურცელზე დახატეთ თერმომეტრი, 0-დან 100 გრადუსამდე დანაყოფებით. სთხოვეთ მსმენელებს აღნიშნონ თერმომეტრზე რა აზრისა არიან ლექციაზე. რაც მაღალია ტემპერატურა, მით უფრო დადებითია შეფასება!
- **ფორმები** — შეფასების ფორმა შეიძლება იყოს კითხვა: „რა მოგეწონათ ამ ლექციაზე?“, „რა არ მოგეწონათ?“, „რას შემოგვთავაზებდით მომდევნო ლექციისათვის?“

თუ თქვენ რამდენიმე ლექცია უკვე ჩაუტარეთ ჯგუფს, შეგიძლიათ დასვათ კითხვები მთელი პროგრამის და არა ერთი ლექციის გარშემო.

<u>სემინარის დახურვა</u>: ეს დაეხმარება ყველას კმაყოფილების გრძნობით დატოვონ სემინარი. ჯგუფის წევრები ამყარებენ ურთიერთკავშირს და მუშაობის პროცესში ერთმანეთს შესაძლო ემოციების გადმოცემის საშუალებას აძლევენ. დანართ 3-ში მოცემულია ზოგიერთი მოსაზრება დახურვის ღონისძიებასთან დაკავშირებით.

„რესურსების სიაში“ მოცემულია ღონისძიებათა დაგეგმვისათვის საჭირო დამატებითი მასალა.

6. მოქმედების დაწყება

„ძალადობის კვლევაში“ ნათქვამია, რომ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვებზე ძალადობის შემთხვევაში ეკისრება სახელმწიფოს, მაგრამ არის ისეთი ქმედებები, რომელთა განხორციელებაც თვით ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუძლიათ.

იუნისეფის ვებგვერდზე „ახალგაზრდების ხმა“ (www.unicef.org/voy/) არის დისკუსიის საშუალება და თქვენ შეგიძლიათ მოუთხროთ სხვებს, თუ რას აკეთებთ ბავშვების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმ უფლებებზე, რომლებიც აქვთ ახალგაზრდებს მთელ მსოფლიოში.

ქმედებათა დონეები: ძალადობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა დონეზე — პიროვნების დონეზე (მაგალითად, ემოციების მართვის გაძნელება), ურთიერთობების დონეზე (ურთიერთობაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს დაცინვას ან ძალადობას), შემთხვევები სკოლაში (რეაქცია ფიზიკურ სასჯელზე ან დაშინებაზე), პრობლემები საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მაგალითად, უმუშევრობა, ნარკოტიკები, ტრეფიკინგი) და უფრო ფართო საზოგადოებაში (მაგალითად, ფართოდ გავრცელებული აზრის მიხედვით ძალადობა მისაღებია, ანდა მამაკაცმა შეიძლება დაჩაგროს ქალი).



წყარო: „საერთაშორისო ანგარიში ძალადობასა და ჯანმრთელობის დაცვაზე“. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) (2002).

გარკვეული ქმედებები მოსალოდნელია დაიწყოს შემდეგ განსხვავებულ დონეებზეც:

- **პიროვნული დონე:** შეიძლება ახალგაზრდამ მიიღოს გადაწყვეტილება და სასტიკად მოპყრობის ფაქტი გაუმხილოს იმას, ვისაც შეუძლია მისი დახმარება.
- **ურთიერთობები:** შეიძლება ახალგაზრდამ შეწყვიტოს მასზე უფრო სუსტი ბავშვის დაშინება.
- **საცხოვრებელი ადგილი:** ახალგაზრდებმა შეიძლება დაიწყონ უფროსებთან თანამშრომლობა, რათა განხორციელდეს პროგრამა (მაგალითად, გამაჯანსაღებელი

ან კონფლიქტების მოგვარების პროგრამები), რომელიც ხელს შეუწყობს ძალადობის პრევენციას.

- **საზოგადოება:** ახალგაზრდებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ისეთი კანონების შექმნას, რომლებიც ბოლოს მოუღებს გოგონებთან დაკავშირებულ მავნე ადათ-ჩვევებს ან ხელს შეუშლის ბავშვის შრომის გამოყენებას.

ახალგაზრდები ყველა დონეზე განიცდიან სხვათა გავლენას, ინდივიდუალური ვითარების გათვალისწინებით, იქნება ეს საკუთარი ოჯახები, სკოლები, ორგანიზაციები თუ სამუშაო ადგილები.

<u>სამოქმედო გეგმის შედგენა</u>: მე-3-მე-8 თავების ბოლოს მოცემულია მასალა, რომელიც დაგეხმარებათ მოქმედების გეგმის შედგენაში:

- სამოქმედო იდეების ჩამონათვალი.
- მსოფლიოს ახალგაზრდების მიერ ძალადობის წინააღმდეგ განხორციელებულ მოქმედებათა მოკლე აღწერილობა.
- სამოქმედო პროექტების უფრო ვრცელი აღწერილობა.

თქვენ შეგიძლიათ გადაიღოთ ამ გვერდების ასლები და დაურიგოთ ისინი მსმენელებს. შეგიძლიათ, ასევე, გამოიყენოთ მე-8 თავში მოცემული „სამოქმედო საშუალებების“ ჩამონათვალი.

როდესაც ჯგუფი მზად იქნება შეადგინოს მოქმედების გეგმა, სთხოვეთ მათ განიხილონ ქვემოთ, კვადრატში მოცემული „სამოქმედო გეგმის შედგენა“:

სამოქმედო გეგმის შედგენა

პროექტის შედგენისას ჰკითხეთ საკუთარ თავს:

- რისი შეცვლა გვინდა?
- შეგვიძლია ამ სიტუაციაში რამის შეცვლა? იყავით იდეალისტები და იმავდროულად რეალისტებიც!
- ვიქნებით კი დაცულნი ამ საკითხზე მუშაობისას და როგორ?

როდესაც მიიღებთ გადაწყვეტილებას, თუ როგორ იმოქმედოთ, ჰკითხეთ საკუთარ თავს:

- ვკითხეთ თუ არა რჩევები სხვებს, განსაკუთრებით მათ, ვის სასარგებლოდაც ვმოქმედებთ? ეთანახმებიან თუ არა ისინი ამ გეგმას? როგორ ვაპირებთ ჩავრთოთ ისინი ამ პროცესში?
- რა პრობლემებს შეიძლება წავაწყდეთ? რა შეიძლება მოვუხერხოთ მათ?
- ვინ იმუშავებს ამაზე?
- რა არის საჭირო ამის გასაკეთებლად (ფული, მასალები, აღჭურვილობა, ახალი უნარ-ჩვევების შეძენა, კიდევ რა?)?
- ვინ არიან ის ზრდასრული ადამიანები, ვისთანაც შეგვიძლია ვითანამშრომლოთ როგორც პარტნიორებთან ამ საკითხში? შეგვიძლია ვითანამშრომლოთ სხვა ახალგაზრდების ჯგუფებთან?
- როგორ უნდა განაწილდეს საქმე?
- როდის გავაკეთებთ ამას?
- როგორ გავიგებთ წარმატებულია თუ არა შედეგი?
- როგორ გავაგებინებთ საზოგადოებას, თუ რა გავაკეთეთ?

თავი 2: ძალადობის საკითხების ზოგადი მიმოხილვა

„ძალადობის კვლევაში“ ნათქვამია:

- ბავშვთა მიმართ ძალადობა არასოდეს არის გამართლებული.
- ბავშვთა მიმართ ძალადობა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული.
- უფროსები ვალდებულნი არიან, მხარი დაუჭირონ ბავშვის უფლებას იყოს დაცული.

მიუხედავად ამისა, კვლევამ ცხადყო, რომ ბავშვებზე ძალადობას ადგილი აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ყველა კულტურასა და ეთნიკურ ჯგუფში, მიუხედავად ოჯახის განათლების დონისა და სიმდიდრისა თუ სიღარიბისა.

კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტები ხდება ხუთ სხვადასხვა გარემოში ან ადგილზე:

- სახლში;
- სკოლაში ან სხვა სასწავლო დაწესებულებაში;
- ისეთ დაწესებულებებში, როგორიცაა ობოლთა თავშესაფარი და ბავშვთა სახლები, ციხეები და სხვა დაკავების ცენტრები;
- სამუშაო ადგილზე;
- საზოგადოებაში.

ბავშვების ძალადობისაგან დაცვის საკითხებზე ბევრ ქვეყანაში მუშაობენ, მაგრამ ამ მოვლენას მაინც აქვს ადგილი და ბევრჯერ არც არსებობს ინფორმაცია ამაზე. არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, თუ რატომ რჩება დამალული ძალადობის ფაქტები. მაგალითად:

- **შიში** — ბევრ ბავშვს ეშინია განაცხადოს ძალადობის ფაქტის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოძალადე მასზე ძლიერია და შეუძლია მისთვის უფრო მეტი ზიანის მიყენება.
- **სირცხვილი (სტიგმა)** — ბავშვს შეიძლება ეშინოდეს, რომ სხვები, გაიგებენ რა მასზე ძალადობის შესახებ, მასვე დაადანაშაულებენ ან გარიყავენ.
- **წარმოდგენები ძალადობაზე** — ზოგჯერ ურთიერთობაში ძალადობა „ნორმალურ“ მოვლენად ითვლება.
- **არ ხდება განცხადების გაკეთება** — ბავშვები და სრულწლოვანები ან არ ენდობიან პასუხისმგებელ ორგანოებს, ანდა არ არსებობს პასუხისმგებელი ორგანო, რომელსაც შეიძლება მოახსენონ ძალადობის ფაქტის შესახებ.
- **არ არის დაფიქსირებული** — მიუხედავად იმისა, რომ გაკეთებულია განცხადება ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, ხშირად არ არის ეს დაფიქსირებული და ამდენად, პრობლემის შესახებ არავინ არაფერი იცის.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის ანგარიში“*.

ძალადობის თემის გასაცნობად ამ თავში მოცემულია ორი საკითხი: რატომ არის ძალადობა დამალული და სად ხდება ძალადობა.

შემდგომ ხუთ თავში ცალ-ცალკეა განხილული ყველა ის ხუთი ადგილი, სადაც ადგილი აქვს ძალადობის ფაქტებს: სახლი, სკოლა, სპეციალური დაწესებულებები, სამუშაო ადგილი და საზოგადოება.

ღონისძიება 1: რასაც თქვენ ვერ ხედავთ . . .

<u>რა არის მიზანი</u>

- ამ ღონისძიების დროს ყველა ხატავს და საუბრობს;
- ეს გვაჩვენებს, რომ ხშირად ხდება ბავშვებზე ძალადობის ფაქტების დამალვა.

<u>რა არის საჭირო?</u>

- ქაღალდის დიდი ფურცლები და მარკერები;
- ერთი ასლი სურათისა „რასაც თქვენ ვერ ხედავთ . . .“ და სრული ფოტოსურათი თითოეული ჯგუფისათვის (იხ. დანართი 4);
- დრო: 45 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. დაყავით ახალგაზრდები ჯგუფებად. მიეცით თითოეულ ჯგუფს ქაღალდის დიდი ფურცელი და ფოტოსურათი „რასაც თქვენ ვერ ხედავთ . . .“ სთხოვეთ დახატონ და დაწერონ, თუ რას ასახავს, მათი აზრით, ფოტოს დანარჩენი ნაწილი.

2. თითოეული ჯგუფი მოკლედ გადმოსცემს თავის აზრს. შემდეგ მიეცით თითოეულ ჯგუფს სრული ფოტოსურათის ასლი.

3. განიხილეთ:
   ა. როგორი იყო თქვენი რეაქცია, როდესაც დაინახეთ მთლიანი სურათი?
   ბ. თქვენი აზრით, რას გრძნობს ეს ბავშვი?
   გ. რა სახის ძალადობა „იმალება“ პატარა ფოტოზე? სრულ ფოტოზე?
   დ. სხვა რა სახის ძალადობები არის „დამალული“?

გამოთქვით აზრი, რომ ძალადობის ფაქტების ნახვა არ არის ადვილი და რომ არ შეიძლება უფროსებმა უყურადღებოდ დატოვონ ასეთი ფაქტები, თუკი შეუძლიათ მისი აღკვეთა. ერთად განხორციელებული ღონისძიებები დაგვეხმარება დავინახოთ ბავშვების მიმართ ძალადობის ფაქტების „სრული სურათი“.

ღონისძიება 2: ძალადობა — ვინ, რა, სად?

<u>რა არის მიზანი:</u>

- ერთმანეთს გავუზიარებთ აზრებს ძალადობასთან დაკავშირებით.
- ჯგუფს გავაცნობთ „ძალადობის კვლევას“.

<u>რა არის საჭირო:</u>

- სალექციო პლაკატი და მარკერები ან დაფა და ცარცი.
- ბარათები ან ქაღალდის ფურცლები.
- ლენტი (ბარათების ჩამოსაკიდად).
- ერთი ასლი დოკუმენტისა „ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“
- დრო: 45-60 წუთი

<u>რა არის გასაკეთებელი</u>:

1. იკითხეთ: — რას ნიშნავს „ძალადობა“ თქვენთვის? გამოთქმული აზრები დაწერეთ სალექციო პლაკატზე ან დაფაზე.

2. გააცანით „ძალადობის კვლევის“ განმარტება (იხ. ჩარჩო). ჯგუფს შეუძლია გადაიწეროს თავისი სიტყვებით. შეეკითხეთ: — ეთანხმებით ამ განმარტებას? — დაამატებდით რამეს?

3. შეადგინეთ სამკაციანი ჯგუფები. მიეცით თითოეულ ჯგუფს ბარათები ან ქაღალდის ფურცლები. სთხოვეთ, ჩამოწერონ მათთვის ცნობილი ბავშვებზე ძალადობის ფაქტები. თითოეულ ბარათზე მითითებული უნდა იყოს ერთი მაგალითი იმისა თუ **რა** მოხდა, **ვინ** ჩაიდინა და **სად** მოხდა.

ძალადობის განმარტება:

„. . ძალადობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანი იყენებს თავის ძალას ან მდგომარეობას, რათა განზრახ, და არა შემთხვევით, მიაყენოს ზიანი სხვას. ძალადობად ითვლება როგორც ძალადობის მუქარა და ისეთი ქმედება, რომელსაც, სავარაუდოდ, ზიანის მიყენება შეუძლია სხვა პირისათვის, ისე ქმედებები, რომლებიც ნამდვილად აყენებს ზიანს ადამიანის როგორც ფსიქიკურ, ისე ფიზიკურ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. ძალადობად ითვლება, აგრეთვე, საკუთარი თავისთვის მიყენებული ზიანი, მათ შორის — თვითმკვლელობა.”

შენიშვნა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის: ზოგმა ახალგაზრდამ შეიძლება ილაპარაკოს ძალადობაზე, რომელსაც იმ მომენტში განიცდის. განიხილეთ თავი 1, ნაწილი 3, სადაც აღწერილია, როგორ უნდა მიუდგეთ ასეთ შემთხვევას.

4. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს შეკრიბონ ბარათები ძალადობის ფაქტების ადგილის მიხედვით. თუ ჯგუფი პატარაა, ყველას ბარათები შეიძლება ერთად შეიკრიბოს.

5. განიხილეთ ის კატეგორიები, სადაც ძალადობას აქვს ადგილი. ისაუბრეთ „ძალადობის კვლევის“ მიხედვით გამოყოფილ ხუთ გარემოზე — სახლი და ოჯახი, სკოლა, სპეციალური დანესებულებები/ციხეები, სამუშაო ადგილი და საზოგადოება. შეესაბამება თუ არა თქვენ მიერ დადგენილი კატეგორიები „ძალადობის კვლევაში“ მოცემულ კატეგორიებს.

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- მიაწოდეთ ინფორმაცია ჯგუფს *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიშის“* შესახებ, სადაც ისინი გაეცნობიან უფრო მეტ ინფორმაციას ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით.

თავი 3: ძალადობა სახლსა და ოჯახში

რა სახის ძალადობა ხდება სახლსა და ოჯახში?

- **ძალადობა მცირეწლოვან ბავშვებზე**: ამან შეიძლება გამოიწვიოს როგორც ჯანმრთელობის ხანგრძლივი პრობლემები, ისე სიკვდილიც კი. მაგალითად, ადამიანმა შეიძლება ვერც კი გაიაზროს, რომ შენჯღრევით ჩვილ ბავშვს შესაძლოა ტვინი დაუზიანოს, რაც შეიძლება მისი სიკვდილიც მიზეზიც კი გახდეს.

- **ფიზიკური ძალადობა:** ბავშვების მიმართ ძალადობა უმეტეს შემთხვევაში არ სრულდება სიკვდილით ან ხანგრძლივი დაშავებით. ხშირად ძალადობას იმიტომ მიმართავენ, რომ აიძულონ ბავშვი მოიქცეს კარგად. უხეში მოპყრობა და სასჯელი გამოიყენება მთელ მსოფლიოში, თუმცა ბავშვები ფიქრობენ, რომ ფიზიკური სასჯელისა და დამამცირებელი მოპყრობის გარეშე უკეთ დაიცავენ დისციპლინას.

- **ფსიქოლოგიური ძალადობა:** ხშირად ოჯახში ბავშვის დასასჯელად ფიზიკურ ძალადობასთან ერთად გამოიყენება ფსიქოლოგიური ძალადობაც. ბავშვის შეურაცხყოფა, დამამცირებელი სახელების წოდება, მუქარა, იზოლირება ან უყურადღებობა წარმოადგენს ძალადობის სხვადასხვა ფორმას.

- **უყურადღებოდ მიტოვება:** ამ შემთხვევაში ოჯახი არ უზრუნველყოფს ბავშვს, რომ იყოს დაცული და გაიზარდოს ჯანმრთელი, არ იცავს მას საფრთხისაგან. ამგვარი რისკი უმთავრესად ემუქრებათ გოგონებსა და უნარშეზღუდულ ბავშვებს.

- **სექსუალური ძალადობა:** ბავშვებს აძალებენ სქესობრივ ურთიერთობას, აცდუნებენ მათ ან უხამსად ეხებიან. ოჯახში ამას უმთავრესად მამაკაცები და ბიჭები აკეთებენ.

- **ნაადრევი ქორწინება:** მთელ მსოფლიოში 82 მილიონი გოგონა ქორწინდება 18 წლის ასაკამდე. ბევრ მათგანს კი გაცილებით ადრეულ ასაკში აძალებენ ქორწინებას უფროს მამაკაცებზე. ამის შედეგად გოგონებს შეიძლება დაემუქროს ძალადობის, მათ შორის, სექსუალური, ძალადობის საფრთხე.

- **მავნე ადათ-ჩვეულებები:** ზოგიერთი ადათ-ჩვეულება წარმოადგენს ძალადობას ბავშვის მიმართ. მაგალითად:
  - გოგონების სასქესო ორგანოების მუტილაცია (ოპერაცია სასქესო ორგანოების დასახიჩრების მიზნით).
  - სხეულის „მოხატვა“ ჭრილობების მიყენებით, დაღის დასმით, სახეულის ამოწვით და სხვა მტკივნეული საშუალებით.
  - ძალადობრივი რიტუალების შესრულება: გოგონებსა და ბიჭებს აიძულებენ განახორციელონ ძალადობრივი რიტუალები, ან ამ რიტუალების შესრულებისას მიმართავენ ძალადობას მათ მიმართ, მანამ, სანამ ისინი სრულწლოვნები გახდებიან.
  - მოკვლა ღირსების დასაცავად — როდესაც მამაკაცი კლავს გოგონას ოჯახის „ღირსების“ დასაცავად, მაგალითად, ქორწინების გარეშე სექსის ან გადაწყვეტილ ქორწინებაზე უარის გამო.
  - ზოგჯერ ბავშვს ბრალად სდებენ „ჯადოქრობას“ და მასზე აღარ ზრუნავენ. უფრო მეტიც — მას აბუჩად იგდებენ ან კლავენ. ზოგი მათგანი კი ხდება „ჯადოქრული“ რიტუალის მსხვერპლი.

- **ოჯახური ძალადობა**: ზოგიერთი ბავშვი საკუთარ სახლში ხდება ოჯახური ძალადობის მოწმე, ძირითადად — მშობლებს შორის. ამგვარმა ძალადობამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე, მის განვითარებაზე და აისახოს მის მომავალ ქცევაზე

სხვების მიმართ. იმ ოჯახში, სადაც ადგილი აქვს ძალადობას ქალის მიმართ, ხშირია ბავშვის მიმართ ძალადობაც.

მშობლები, დედინაცვალი და მამინაცვალი, დედობილი და მამობილი, და-ძმები, ნათესავები და სხვები, ვისაც აკისრიათ ბავშვებზე მზრუნველობა, პასუხს აგებენ ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობაზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“.*

ბავშვების მონათხრობი

„მამაჩემმა მიმაბა ხეზე და მცემა მთელი უბნის წინაშე იმისათვის, რომ კარტი ვეთამაშე ჩემს ბიძაშვილს. ახლა ამის გამო ყველა დამცინის, რაც ცემაზე უარესია.“ სამხრეთ აზიელი ბიჭი.

„მეზიზღება ნაადრევი ქორწინება. მე ადრეულ ასაკში დამაქორწინეს და ჩემი ქმრის ნათესავები მაიძულებდნენ დავწოლილიყავი ქმართან, რომელიც მთელი ღამე მაწამებდა. მას შემდეგ ყოველი ღამის დადგომა ამას მაგონებს. აი რა მძულს ყველაზე მეტად.“ 11 წლის გოგონა, გაათხოვეს 5 წლის ასაკში, სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკა.

„დაახლოებით თორმეტი წლის ასაკში ვიფიქრე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი საკუთარი მამისაგან და გადავწყვიტე თავი მომეკლა. ჩემს თავს სულ ამას ვუმეორებდი: „როგორ ავუხსნა ეს ყველაფერი ხალხს?“ — გითხარით, რომ თორმეტი წლის ვიყავი. ამას არავინ დამიჯერებს. გოგონა, ჩრდ. აფრიკა.

„ზოგჯერ მშობლები ჩვენი თანდასწრებით ეჩხუბებიან ერთმანეთს, რითაც ბევრ ტკივილსა და უსიამოვნებას გვაყენებენ. ზოგი მშობელი სისტემატურად ნასვამი ბრუნდება სახლში და არ ადარდებს ჩვენი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საჭიროებები, ჩვენი კვების პრობლემები. ხანდახან ბავშვები უვლიან თავიანთ მშობლებსა თუ და-ძმებს, იმიტომ რომ მშობლებს არ აწუხებთ პასუხისმგებლობის გრძნობა“. ახალგაზრდა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკა.

ღონისძიება 3: სახლი — ბავშვი — ქუჩა

<u>რა არის მიზანი</u>

- ეს არის „აქტივიზატორი“! იწვევს ადამიანების გამოცოცხლებას.
- შეიძლება გამოვიყენოთ ოჯახში ძალადობის თემაზე დისკუსიების დასაწყებად.

<u>რა არის საჭირო</u>:

- თავისუფალი სივრცე;
- დრო: 10-15 წუთი (დისკუსიებისათვის — უფრო მეტი დრო);

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. ჯგუფში სამზე გაითვალეთ.

2. უთხარით თითოეულ პირველსა და მეორეს, რომ ისინი არიან სახლები — სთხოვეთ მიტრიალდნენ ერთმანეთისაკენ და ხელები ჩაკიდონ, რათა წარმოადგინონ სახლი.

უთხარით ყველა მესამეს, რომ ისინი არიან ბავშვები. თითოეულმა ბავშვმა უნდა იპოვოს სახლი (ჩადგეს პირველისა და მეორის მკლავებს შორის).

3. აუხსენით მათ, რომ როდესაც თქვენ დაიძახებთ „სახლში!“, ყველა სახლმა უნდა მიატოვოს თავისი ბავშვი და სწარფად იპოვოს ახალი ბავშვი. როდესაც დაიძახებთ „ბავშვი!“, ყველა ბავშვმა უნდა მიატოვოს საკუთარი სახლი და სწრაფად იპოვოს ახალი. როდესაც დაიძახებთ „ქუჩა!“, ყველა ერთად იშლება.

4. აკეთეთ ეს 3-5 წუთის განმავლობაში, ან მანამ, სანამ ყველა არ გამოცოცხლდება!

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- ეს არის „აქტივიზატორი’, მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება, აგრეთვე, იმისათვის, რომ ჯგუფმა დაიწყოს საუბარი ოჯახში ძალადობის თემაზე. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ დასვათ კითხვა — როგორ გრძნობდით თავს, როდესაც სახლში იყავით? როდესაც ვერ პოულობდით სახლს? რეალურ ცხოვრებაში რა მიზეზით შეიძლება დატოვოს ბავშვმა სახლი? როგორ ხდება ხანდახან სახლში და ოჯახში ბავშვის უყურადღებოდ მიტოვება და მის მიმართ ბოროტების ჩადენა?

- მოკლედ გააცანით ჯგუფს ზოგიერთი მოსაზრება ოჯახში ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებით *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“* ან წინამდებარე თავის დასაწყისის მიხედვით.

ღონისძიება 4: რატომ ხდება ეს?

<u>რა არის მიზანი:</u>

- ჯგუფის წევრები ერთმანეთს გაუზიარებენ მოსაზრებებს ოჯახში ძალადობის მიზეზებზე.
- რათა გაჩნდეს პატივისცემის გრძნობა სხვათა გასაჭირისა და მოსაზრებების მიმართ.

<u>რა არის საჭირო:</u>

- სალექციო პლაკატი და მარკერები ან დაფა და ცარცი.
- ქაღალდის დიდი ფურცლები, რომლებზედაც ეწერება კითხვები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, ლენტი.
- დრო: 30 წთ 1-ელი და მე-2 საფეხურებისათვის, 45 წთ. — მე-3-მე-6 საფეხურებისათვის.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. სთხოვეთ მსმენელებს მონახონ პარტნიორი, რომელთან წყვილშიც კომფორტულად იგრძნობენ თავს და ისაუბრებენ იმაზე, თუ რა იციან ოჯახში ბავშვების მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით. შეიძლება ეს იყოს სიტუაცია, რომელიც თავად გადაიტანეს, ან უბრალოდ გაიგონეს. პარტნიორებმა უნდა ჰკითხონ ერთმანეთს, რამდენად უნდათ, რომ ეს ინფორმაცია ჯგუფმა გაიგოს. საუბარი თქვენ შეგიძლიათ ზემოთ მოყვანილი ციტატებით დაიწყოთ.

შენიშვნა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის: ზოგმა ახალგაზრდამ შეიძლება ილაპარაკოს ძალადობაზე, რომელსაც იმ მომენტში განიცდის. განიხილეთ თავი 1, ნაწილი 3, სადაც აღწერილია, როგორ უნდა მიუდგეთ ასეთ შემთხვევას.

2. იკითხეთ უნდა თუ არა ვინმეს მაგალითების დასახელება. მიაწერეთ ისინი პლაკატზე ან დაფაზე.

3. სთხოვეთ პარტნიორებს შეუერთდნენ სხვა წყვილს და შექმნან ოთხკაციანი ჯგუფი. მიეცით თითოეულ ჯგუფს ქაღალდის დიდი ფურცელი, რომელზედაც ეწერება ერთი კითხვა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით (გამოიყენეთ კვადრატში მოცემული მაგალითები, ან ისეთი კითხვები, რომლებიც შეესაბამება მოცემულ ჯგუფს). სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს, დაწერონ ერთი ან ორი მიზეზი, თუ რატომ ხდება ამგვარი ძალადობის ფაქტები. (უთხარით ჯგუფს: „არ არსებობს ერთი კონკრეტული მიზეზი, მიზეზები შეიძლება სხვადასხვა იყოს“).

რა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა რომ . . .

- . . . ზოგჯერ მშობლები სცემენ ბავშვებს?. . .
- . . . ზოგჯერ უფროსები დამამცირებელი სახელებით მოიხსენიებენ ბავშვს და დასცინიან მას? . . .
- . . . ზოგჯერ უფროსები სექსუალურად აცდუნებენ ბავშვს?. . .
- . . . ზოგჯერ მშობლები გოგონას ადრეულ ასაკში ათხოვებენ?. . .
- . . .ზოგჯერ მშობლები უყურადღებოდ ტოვებენ თავიანთ შვილებს?

4. როდესაც ჯგუფი დაამთავრებს წერას, მან თავისი ფურცლები სხვა ჯგუფს უნდა გადასცეს. თითოეული ჯგუფი, გაეცნობა რა ფურცელზე აღნიშნულ მოსაზრებებს, გამოჰყოფს, რომელსაც ეთანხმება და დაუმატებს ნებისმიერ ახალ მოსაზრებას. ეს მანამ გააგრძელეთ, სანამ ყველა ჯგუფს არ ექნება რაიმე მიწერილი ქაღალდის თითოეულ ფურცელზე.

5. გამოაკარით ეს ფურცლები მთელ აუდიტორიაში და მიეცით ჯგუფს დრო დაათვალიეროს ისინი.

6. განიხილეთ:
   - ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით ეთანხმება თუ არა ყველა ერთმანეთს? რატომ ეთანხმებიან ან რატომ არ ეთანხმებიან ერთმანეთს?
   - არსებობს თუ არა ჯგუფში რაიმე მოსაზრება ოჯახში ძალადობის შეჩერებასთან დაკავშირებით?

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- გაითამაშეთ ეს სიტუაციები, აგრეთვე, თქვენი რეაქცია ამაზე. მე-11 გვერდზე მოცემულია ინფორმაცია როლების გათამაშებასთან დაკავშირებით.
- გაარკვიეთ, თქვენს საცხოვრებელ ადგილას რომელი ორგანიზაციები მუშაობენ ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხებზე; ეხმარებიან თუ არა ძალადობის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს. ზოგიერთი ასეთი ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში შეიძლება იყოს ქალთა საკითხი. ჯგუფთან ლექციის ჩასატარებლად მოიწვიეთ სრულწლოვანი პირი რომელიმე ასეთი ორგანიზაციიდან.
- ჩაატარეთ კვლევა — არსებობს თუ არა თქვენს ქვეყანაში კანონები ბავშვების ძალადობისაგან დასაცავად ოჯახში? თუ არ არსებობს, როგორ შეგიძლიათ ხელი შეუწყოთ მათ შექმნას? თუ არსებობს, საჭიროებს თუ არა ეს კანონები სრულყოფას? ვინ არის პასუხისმგებელი მათ განხორციელებაზე? მოახსენეთ ჯგუფს ამის შესახებ.

ღონისძიება 5: ახლებური დაბოლოება

<u>რა არის მიზანი:</u>

- აქ შედის ხატვა, რაც ძალიან სახალისოა!
- ეს აძლევს ადამიანებს საშუალებას, რეაგირება მოახდინონ ძალადობაზე.

<u>რა არის საჭირო:</u>

- A4 ქაღალდის ფურცლები, რომლებზედაც სასურველია იყოს კომიქსის ტიპის გამოსახულებები;
- კალმები ან ფანქრები;
- დრო — 45-60 წთ.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. განიხილეთ ბავშვების მიმართ ძალადობა ოჯახში (თუ გავლილი გაქვთ ღონისძიება 4, განიხილეთ იქ ჩამოთვლილი ვარიანტები).

2. იმუშავეთ წყვილებად ან პატარა ჯგუფებად. სთხოვეთ ახალგაზრდებს მაგალითისათვის დახატონ ოჯახში ბავშვზე ძალადობის ამსახველი სურათების სერია კომიქსების სტილში. შემდეგ გამოიყენეთ ქაღალდის მეორე ფურცელი და აჩვენეთ განსხვავებული დაბოლოება, სადაც ბავშვს ეხმარებიან, რომ თავი დაიცვას და თავიდან აიცილოს ძალადობა.

   სხვა საშუალება იმავეს გასაკეთებლად — ერთ ჯგუფს შეუძლია დახატოს მაგალითი, შემდეგ კი „კომიქსი“ დასამთავრებლად გადასცეს სხვა ჯგუფს. დასრულების შემდეგ სურათი უბრუნდება პირველ მფლობელებს. მათ შეუძლიათ აღმოაჩინონ იდეები, რომლებიც თვითონვერ მოიფიქრეს!

3. „კომიქსები“ დასათვალიერებლად მთელ აუდიტორიაში ჩამოატარეთ. შესაძლებელია როლების გათამაშება ან თოჯინების თეატრის დადგმა.

4. განიხილეთ:
   - ამ ღონისძიების შემდეგ რა ახალი მოსაზრებები წარმოიქმნა ძალადობის აღსაკვეთად?
   - რა სახის ძალადობის აღკვეთა შეუძლიათ ახალგაზრდებს საკუთარი ძალებით?
   - რა სახის ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდებათ მათ უფროსების დახმარება?

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- როგორ შეგიძლიათ გაუზიაროთ სხვებს ძალადობასთან დაკავშირებული ეს იდეები? შესაძლებელია თუ არა „კომიქსების“ გამოქვეყნება ინფორმაციის მისაწოდებლად? შესაძლებელია თუ არა როლების გათამაშება საზოგადოების თანდასწრებით?

შეცვალეთ არსებული მდგომარეობა!
იმოქმედეთ ოჯახში ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ!

ახალგაზრდები მთელ მსოფლიოში მუშაობენ ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე — ეს თქვენც შეგიძლიათ! აქ მოცემულია მასალა თქვენ დასახმარებლად, თუმცა, არ დაგჭირდებათ მისი მთლიანად გამოყენება — შეარჩიეთ მხოლოდ ის, რომელიც ეფექტური იქნება თქვენი ჯგუფის ასაკობრივი დონისა და ინტერესებისათვის.

- პროექტის შედგენაში თქვენ დაგეხმარებათ 1-ელი თავის 14-ე გვერდზე მოცემული კითხვები სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.
- ქვემოთ წარმოდგენილ ჩარჩოში „იდეები მოქმედებისათვის — ბავშვებზე ძალადობა ოჯახში“ მოცემულია საქმიანობის დაწყების საშუალებები. დამატებითი იდეები შეგიძლიათ იხილოთ მე-8 თავში.
- 35-ე გვერდზე წარმოდგენილია თავი — „ მთელ მსოფლიოში მიღებული ზომები ძალადობის წინააღმდეგ ,“ — რომელშიც მოკლედ არის მოთხრობილი, თუ როგორ მოქმედებენ ახალგაზრდები სხვა ქვეყნებში.
- მოკლე ისტორიებს მოსდევს უფრო გრძელი ისტორია სახელწოდებით — „ძალადობა ბავშვზე — ნამიბიაში მიღებული ზომები“. ეს შეიძლება გამოიყენონ ახალგაზრდებმა, რომლებსაც დეტალურად აინტერესებთ, თუ როგორ ხორციელდება პროექტი ამ მიმართულებით.

მიეცით ჯგუფს საკმარისი დრო სამოქმედო გეგმის შესადგენად! ამას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ამ წიგნში აღწერილ სხვა ღონისძიებებს. კარგი იქნება, თუ გეგმის შედგენა გაგრძელდება ერთ მეცადინეობაზე უფრო მეტხანს, რამდენიმე დღეს ან კვირას. ეს მათ მისცემს საშუალებას დაფიქრდნენ იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს, ასევე მათი გადაჭრის გზებზე.

იდეები მოქმედებისათვის — ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახში

- ჩაატარეთ კვლევა ახალგაზრდებთან იმის დასადგენად, თუ რა სახის ძალადობა აქვთ მათ გადატანილი ოჯახში. გააცანით სხვებს ის, რასაც დაადგენთ.
- ოჯახში ძალადობის თემაზე მოახსენეთ ადგილობრივ ხელმძღვანელობას, ვისაც შეუძლია გავლენა იქონიოს მშობლებზე, რელიგიურ ლიდერებზე, ჯანდაცვის მუშაკებზე, მთავრობის წარმომადგენლებზე. ურჩიეთ მათ მიაწოდონ ინფორმაცია მშობლებს ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით.
- იფიქრეთ იმ მეთოდებზე, რასაც გამოიყენებენ მშობლები ძალადობის გარეშე ბავშვის აღსაზრდელად. შექმენით პატარა ბროშურა, პიესა ან „კომიქსი“ ამ თემაზე. დაურიგეთ მშობლებს.
- მონახეთ ორგანიზაცია, რომელიც ჩაუტარებს ლექციებს მშობლებს ან მომავალ მშობლებს არაძალადობრივ დისციპლინაზე, კონფლიქტის მოგვარებასა და ოჯახური ძალადობის აღმოფხვრაზე.
- იმუშავეთ ისეთი კანონების შექმნაზე, რომლებიც ბოლოს მოუღებს გოგონების მიმართ დამკვიდრებულ მავნე ქმედებებს და დაიცავს ბავშვებს ოჯახური ძალადობისაგან.
- დადგით მოკლე პიესები (სკეტჩები) გენდერული სტერეოტიპების თემებზე, აგრეთვე, თუ როგორ შეიძლება ძალადობის თავიდან აცილება ოჯახში თანასწორობის გაზრდით.

ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ზომები მთელ მსოფლიოში:
ბავშვთა მიმართ ძალადობა ოჯახში

ქვემოთ მოცემულია ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო ზომების რამდენიმე მაგალითი, ახალგაზრდების მიერ განხორციელებული, მთელი მსოფლიოს მასშტაბით:

ბანგლადეში: ბანგლადეშში ბავშვთა საბჭოებმა შეისწავლეს ადრეული ქორწინების ფაქტები და ამასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთებში და ტელევიზიით. ადგილობრივ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაცია „გადავარჩინოთ ბავშვები – ავსტრალიასთან“ (Save the Children Australia) თანამშრომლობით მათ დაითანხმეს ადგილობრივი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, გაეტარებინათ ღონისძიებები ადრეული ქორწინების საწინააღმდეგოდ. ერთ-ერთი ამგვარი საბჭოს წევრებმა თავიდან აიცილეს ბავშვების დაქორწინების ხუთი შემთხვევა.

ჰონკონგი: ჰონკონგის ბავშვთა საბჭო საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს გამოხატონ თავიანთი შეხედულებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ აწუხებთ. ბავშვთა ერთ-ერთმა საბჭომ გამოიკვლია, თუ რამდენ ბავშვს სცემენ ოჯახში, ან რამდენი ბავშვი გამხდარა უფროსებს შორის ოჯახური ძალადობის მოწმე. გამოკვლევა გამოქვეყნდა და დაიგზავნა სკოლებში, ბიბლიოთეკებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებში, დაურიგდა მთავრობის ხელმძღვანელობას.

ნამიბია: ნამიბიის სკაუტებმა მიზნად დაისახეს თავიანთი ჯგუფების 95 პროცენტში ჰყოლოდათ ერთი წევრი მაინც, რომელსაც ექნებოდა გავლილი სასწავლო კურსი ოჯახში ძალადობის თემაზე. მათ მიერ ჩატარებული ლექციები ამაღლებს ინფორმირების დონეს ძალადობისა და ბავშვების სასტიკად მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, ასწავლის ადამიანებს კონფლიქტის მოგვარებას არაძალადობრივი საშუალებებით და ეხმარება მათ საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაში. კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ სკაუტებს შეუძლიათ სხვა ახალგაზრდების კვალიფიკაციის ამაღლებაც და მათთვის დახმარების გაწევა საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში (*უფრო დეტალური ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. მომდევნო გვერდზე*).

თუ თქვენთვის ცნობილია ფაქტები, რომ თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდები რაიმე ფორმით მოქმედებენ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, გააცანით ჯგუფს!

ბავშვების მიმართ ძალადობა ოჯახში:
საწინააღმდეგო ღონისძიებები ნამიბიაში

ძალადობა ოჯახში ანუ „ოჯახური ძალადობა“ ხშირია ნამიბიაში. მამაკაცები, მდიდრებიც და ღარიბებიც, ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, ხშირად მიმართავენ ფიზიკურ, სიტყვიერ და სექსუალურ ძალადობას ქალებისა და ბავშვების მიმართ. ისეთ ოჯახებში აღზრდილ ბავშვებს, სადაც ხდება ძალადობა, ხშირად აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები. ისინი ხშირად თავად მიმართავენ ძალადობას, რადგანაც ეს მათ პრობლემების მოგვარების „ნორმალურ“ გზად მიაჩნიათ.

2002 წელს ნამიბიის პარლამენტმა უკანონოდ გამოაცხადა ოჯახური ძალადობის ყველა ფორმა. კანონში ასევე ნათქვამია, რომ ბავშვები არ უნდა გახდნენ ამგვარი ძალადობის მოწმენი — დაინახონ ან მოისმინონ ამგვარი ფაქტები.

ნამიბიის სკაუტებმა შექმნეს თანასწორუფლებიანობის საგანმანათლებლო პროექტი ოჯახური ძალადობის თემაზე. მათი მიზანია თავიანთი ჯგუფების 95 პროცენტში ჰყავდეთ ერთი წევრი მაინც, რომელსაც ექნება გავლილი სასწავლო კურსი. სკაუტები ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ატარებენ სასწავლო სემინარებს ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად ოჯახური ძალადობისა და ბავშვებთან სასტიკად მოპყრობის თემაზე, უყალიბებენ მსმენელებს ძალადობის აღსაკვეთად საჭირო უნარ-ჩვევებს (როგორიცაა მოსმენა, რეაგირება და კონფლიქტის მოგვარება), ამასთან, ეხმარებიან ახალგაზრდებს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვაში.

როგორც სასწავლო პროგრამის ნაწილი, ნამიბიის ნაციონალური თეატრი ეხმარება ახალგაზრდა პედაგოგებს გამოიყენონ სპექტაკლები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ისინი სხვა გზებსაც ეძებენ ინფორმაციის გასავრცელებლად, მაგალითად:

- პოეტური ნაწარმოების შექმნა ძალადობის წინააღმდეგ;
- ბავშვის აღზრდის, კონფლიქტების გადაჭრის, მრისხანების ჩახშობისა და მოლაპარაკებისათვის საჭირო არაძალადობრივ საშუალებებზე მსჯელობა და სპექტაკლის დადგმა;
- არაძალადობრივი საშუალებების დადებითი მხარის წარმოსაჩენად ფოტოგამოფენების მოწყობა.
- სკოლებსა და უბნებში „მშვიდობიანი თავშესაფრის“ მოწყობის იდეის ხელშეწყობა.
- ბავშვების წახალისება, აღწერონ, თუ სად გრძნობენ თავს დაცულად და სად — საფრთხის ქვეშ.

ახალგაზრდა პედაგოგები ასევე მიიღებენ ბროშურებს და ვიდეომასალას ოჯახური ძალადობის შესახებ ადგილობრივ ენებზე. სასწავლო კურსის დასრულებისას მათ ექნებათ სამოქმედო გეგმა ოჯახური ძალადობის აღსაკვეთად თავიანთ საზოგადოებაში.

წყარო: „სკაუტთა მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაცია“: .www.scout.org.

დაფიქრდით და უპასუხეთ:

რა უპირატესობა ექნება, თუკი უფროსების ნაცვლად არასრულწლოვანი ახალგაზრდები გააცნობენ თავიანთ თანატოლებს ოჯახური ძალადობის თემას? რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ახალგაზრდა პედაგოგები?

თავი 4: ძალადობა სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში

რა სახის ძალადობაა სკოლებში?

- **ფიზიკური ძალადობა მასწავლებლების მხრიდან** — მასწავლებელმა ბავშვს ან ახალგაზრდას დასჯის მიზნით შეიძლება სცემოს. მაგალითად, თუკი მოსწავლე კარგად ვერ ასრულებს სამუშაოს.
- **სასტიკი მოპყრობა და დაცინვა მასწავლებლის მხრიდან** — მასწავლებელმა შეიძლება დაუყვიროს მოსწავლეს ან უწოდოს მას დამამცირებელი სახელები.
- **ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა სხვა მოსწავლეების მხრიდან** — მოსწავლემ შეიძლება სცემოს სხვა ბავშვს ან დააშინოს იგი.
- **ბანდების მიერ განხორციელებული ძალადობა** — ბევრ სკოლაში ბავშვები გაერთიანებულნი არიან ბანდებში, რომლებიც ებრძვიან ერთმანეთს.
- **სექსუალური და გენდერული ძალადობა** — სკოლაში ან სკოლისაკენ მიმავალ გზაზე შეიძლება გოგონას მიაყენონ სიტყვიერი შეურაცხყოფა, დასცინონ ან გააუპატიურონ ის. ასევე ხშირია ძალადობა ჰომოსექსუალისტების, ლესბოსელების, ბისექსუალისტების ან ტრანსგენდერების მიმართ.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“.*

ბავშვების მონათხრობი

„ჩემი მასწავლებელი გვასწავლის ორიულ ენაზე (ადგილობრივი ენაა), რომელიც მე არ მესმის. როდესაც რამეს მეკითხება, ვერ ვპასუხობ, რადგანაც არ მესმის რას მეკითხება. ამის გამო ის ყოველდღე დამცინის და ჯოხს მირტყამს.“ *გოგონა ერთ-ერთი ტომიდან, 9 წლის. სამხრეთ აზია.*

„მე რვეულში ყოველთვის ვიწერდი თარიღს და დროს, როდესაც დამცინოდნენ. ამას პრინციპულად ვაკეთებდი. მან მითხრა: „შვილო, შენ ძალიან ბევრი დრო გაქვს და ამიტომ წუხხარ ყველაფერზე, მე უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს გასაკეთებელი და არ მაინტერესებს რა მოხდა ორი კვირის წინ“. მე მას ვუთხარი: „მინდოდა გაგეგო, რაც ხდება, ეს არის ყოველდღიური დაცინვა“. მან წამართვა რვეული და სანაგვეში გადაუძახა.” *ბიჭი, სამხრეთ ამერიკა.*

„მასწავლებელი შეურაცხყოფას აყენებს უფროსკლასელ გოგონებს, ჩაკეტავს ხოლმე მათ სააბაზანოში და აუპატიურებს, თან ეუბნება, რომ თუ არ დაემორჩილებიან, ნიშნებს დაუკლებს.“ *ადგილობრივ გოგონათა ჯგუფი, ლათინური ამერიკა.*

„ჩვენს სკოლაში ფანჯრებს გისოსები აქვს, დერეფნებში ვიდეოკამერებია დამონტაჟებული, შემოსასვლელი კარი კი რკინისაა. მე თავი პატიმარი მგონია, სულაც არ ვგრძნობ თავს დაცულად. მასწავლებლები აზვიადებენ ყველაფერს.“ *გოგონა, მე-11 კლასი. ევროპა და ცენტრალური აზია.*

„ერთხელ მამამ ვერ მოახერხა ჩემი დის სკოლიდან გამოყვანა. მას მარტოს მოუხდა სახლში წამოსვლა. გზაზე ოთხმა ბიჭმა უფათურა ხელი, მაგრამ მან ამის შესახებ ვერაფერი უთხრა მამას. მე მითხრა, მაგრამ ვერც მე გავბედე მამისათვის ამის თქმა.“ *ბავშვი. სამხრეთ აზია.*

ღონისძიება 6: თანხმობა და უთანხმოება

<u>რა არის მიზანი:</u>

- ეს იძლევა საშუალებას, რომ დაფიქრდნენ, იმსჯელონ და იმოძრაონ.
- ეს ეხმარება ჯგუფს მოსმენასა და სხვისი აზრის პატივისცემაში.

<u>რა არის საჭირო</u>:

- თავისუფალი სივრცე.
- სამი „ნიშანი“, რომლებიც გამოიკვრება ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრის დაცილებით, ერთზე აღნიშნული იქნება — ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ, მეორეზე — ᲐᲠ ᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘ და მესამეზე — ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ.
- დრო — 45 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. აუხსენით მსმენელებს, რომ აპირებთ წაიკითხოთ განცხადება სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებით. თითოეულმა პირმა უნდა გადაწყვიტოს, რას ფიქრობს ამ განცხადებასთან დაკავშირებით — ეთანხმება, არ ეთანხმება თუ არ არის დარწმუნებული. ყველა დგება იმ ნიშანთან, რომელიც მის აზრს გამოხატავს.

2. წაიკითხეთ პირველი განცხადება (გამოიყენეთ ჩარჩოში მოცემული, ან მოიფიქრეთ ისეთი, რომელიც გამოდგება მოცემული ჯგუფისათვის). მიეცით ჯგუფს დრო გადაწყვეტილების მისაღებად.

3. სთხოვეთ რამდენიმე ადამიანს თითოეული ჯგუფიდან გამოთქვას საკუთარი აზრი. თუკი ვინმე შეიცვლის აზრს, შეუძლია გადაინაცვლოს ახალ ადგილზე.

4. წაიკითხეთ მეორე განცხადება; გაიმეორეთ მესამე პუნქტი.

5. წაიკითხეთ მესამე განცხადება; გაიმეორეთ მესამე პუნქტი.

6. შეეკითხეთ ჯგუფის წევრებს:
   - როგორი იყო მათი რეაქცია ამ ღონისძიებაზე;
   - რა ისწავლეს აქედან;
   - შეიცვალეს თუ არა აზრი და რატომ.

გამოიყენეთ ეს განცხადებები ან შეადგინეთ საკუთარი!

ფიზიკური სასჯელის (ცემა, დარტყმა) გამოყენება შეიძლება, თუ ეს ბავშვს ჭკუას ასწავლის.

სიტყვიერი სასჯელი (დამამცირებელი სახელების წოდება, დაცინვა) არ არის ისე შეურაცხმყოფელი ბავშვისათვის, როგორც ფიზიკური სასჯელი.

ბავშვებმა, რომლებსაც აშინებენ ან დასცინიან, უნდა ისწავლონ საკუთარი თავის დაცვა.

მომდევნო ნაბიჯები:

- თუკი თქვენი თანამოსაუბრე თვლის, რომ სკოლაში ძალადობა არ წარმოადგენს პრობლემას, რას ეტყვით მას აზრის შესაცვლელად? გაითამაშეთ სცენა. იდეები სცენის გათამაშებასთან დაკავშირებით მოცემულია მე-16 გვერდზე.
- ურჩიეთ ჯგუფს სკოლაში ძალადობის შესახებ დამატებით წაიკითხონ *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“* ან გაიმეორონ ამ თავის შესავლის მთავარი პუნქტები. გამოიყენეთ 24-ე გვერდზე მოცემული ციტატები სკოლაში ძალადობის ტიპების გასარჩევად.
- გაარკვიეთ რა არის ნათქვამი „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებით.

ღონისძიება 7: რუკის შედგენა



<u>რა არის მიზანი:</u>

- შედეგად ახალგაზრდები საუბრობენ რეალურ სიტუაციებზე.
- ხატვის პროცესში შეიძლება ჩაერთოს ყველა.

<u>რა არის საჭირო:</u>

- ქაღალდის დიდი ფურცელი (თითოეულ ჯგუფზე 1 ცალი);
- მარკერები, ფერადი ცარცები ან ფანქრები;
- ლენტი რუკების გასაკრავად;
- დრო — 45-60 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. დაყავით მსმენელები ოთხკაციან ჯგუფებად. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს შეადგინონ თავიანთი სკოლის, ახალგაზრდული ცენტრის ან იმ ადგილების რუკა, სადაც ისინი დადიან სასწავლებლად ან ლექციების მომსასმენად. მათ შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი, დახატონ სკოლის ეზო და მიმდებარე ქუჩაც.
2. სთხოვეთ მათ თავიანთ რუკებზე აღნიშნონ ადგილები, სადაც ადგილი აქვს ძალადობის ფაქტებს, გააკეთონ მოკლე წარწერა ძალადობის ტიპთან დაკავშირებით.

შენიშვნა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის: ზოგმა ახალგაზრდამ შეიძლება ილაპარაკოს ძალადობაზე, რომელსაც იმ მომენტში განიცდის. განიხილეთ თავი 1, ნაწილი 3, სადაც აღწერილია, როგორ უნდა მიუდგეთ ასეთ შემთხვევას.

3. ჩამოკიდეთ რუკები ოთახში ისე, რომ მსმენელებმა შეძლონ ჩამოიარონ და დაათვალიერონ ისინი. მსმენელები შეგიძლიათ დააჯგუფოთ გენდერული ან ასაკობრივი ნიშნით (თუ ჯგუფში სხვადასხვა ასაკის ბავშვია).
4. განიხილეთ:
   - იყო თუ არა მსგავსება რუკებს შორის? რა განსხვავება იყო მათ შორის?
   - ასახელებდნენ თუ არა გოგონები და ბიჭები სხვადასხვა ადგილებს ან ძალადობის ტიპებს?
   - ასახელებენ თუ არა სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდები სხვადასხვა ადგილს ან ძალადობის ტიპს?
5. ქაღალდის დიდ ფურცელზე შეაჯამეთ შედეგი — რომელია ძალადობის ძირითადი სახეები? სად ხდება? როგორ შეიძლება მათი თავიდან აცილება?

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- როლების გათამაშება გვეხმარება ძალადობის მოცემული ტიპების აღკვეთაში; იდეები როლების გათამაშებასთან დაკავშირებით მოცემულია მე-16 გვერდზე.
- აჩვენეთ რუკები მათ, ვისაც ეს საკითხი აინტერესებს (მასწავლებელს, სკოლის დირექტორს ან საზოგადოების წარმომადგენელს). ეს გააკეთეთ ისე, რომ დაცულები იყოთ თქვენც და სხვა ახალგაზრდებიც. წამოაყენეთ წინადადება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება რუკების გამოყენება სიტუაციის შესაცვლელად, მაგალითად, საჭიროა თუ არა ამგვარი ადგილები აკონტროლონ უფროსებმა? შესაძლებელია თუ არა, ტუალეტების უფრო მეტად დაცვა?
- მოიძიეთ თქვენი ქვეყნის კანონები სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებით — არსებობს თუ არა? ხორციელდება თუ არა? თუ არა — განიხილეთ, როგორ უნდა იმოქმედოთ ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ღონისძიება 8: გამოიკვლიეთ თქვენ თვითონ! დაშინება

<u>რა არის მიზანი;</u>

- მივიღოთ მეტი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით;
- ჩამოვაყალიბოთ მოსაზრებები საწინააღმდეგო ღონისძიებების განსახორციელებლად.

<u>რა არის საჭირო:</u>

- კითხვარები;
- ფანქრები;
- დრო — სხვადასხვა.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. „ძალადობის კვლევისათვის“ მსოფლიოს სხვადასხვა ორგანიზაციამ შეაგროვა ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ. ინფორმაციის შეგროვება ახალგაზრდებსაც შეუძლიათ. ამის ერთ-ერთი საშუალებაა კითხვარების გამოყენება.

2. თქვენ მიერ შეგროვებული ადგილობრივი ფაქტებით პატარ-პატარა ჯგუფებში განიხილეთ ძალადობა სკოლებში. ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე იკითხეთ:
   - გჭირდებათ თუ არა ამისათვის ვინმეს ნებართვა (მაგალითად, მასწავლებლის ან ახალგაზრდული ცენტრის დირექტორის)?
   - შეგიძლიათ ისე შეაგროვოთ ინფორმაცია, რომ თავი საფრთხეში არ ჩაიგდოთ?
   - შეგიძლიათ ისე შეაგროვოთ ინფორმაცია, რომ სხვები საფრთხეში არ ჩააგდოთ?
   - როგორ აუხსნით სხვებს, თუ რატომ აკეთებთ ამას?
   - როგორ გააცნობთ სხვებს შედეგებს?

3. სთხოვეთ თითოეულ ჯგუფს გადმოსცეს საკუთარი მოსაზრებები; კენჭისყრით შეარჩიეთ ერთ-ერთი, რომელზედაც ყველა იმუშავებს.

4. შეადგინეთ კითხვარი ინფორმაციის შესაგროვებლად. მომდევნო გვერდზე მოცემულია ამის ნიმუში (დაშინების მაგალითზე). გადაწყვიტეთ, როდის შეაგროვოთ ინფორმაცია (მაგალითად, ერთი კვირის მანძილზე შუადღის შესვენების დროს).

5. შეაგროვეთ ინფორმაცია. ამაში დაგეხმარებათ წყვილებად მუშაობა — ერთი მსმენელი ეკითხება, მეორე კი იწერს.

6. ინფორმაციის გასაზიარებლად შეახვედრეთ ერთმანეთს წყვილები (მაგალითად, რა სახის დაშინებაა უფრო გავრცელებული). უფროს ჯგუფებში შესაძლებელია პროცენტული მაჩვენებლის გამოთვლა, გრაფიკების ან ცხრილების შედგენა შედეგების საჩვენებლად.

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- წარუდგინეთ თქვენ მიერ შეგროვებული ინფორმაცია სხვებს — სტუდენტებს, მშობლებს, საზოგადოების წარმომადგენლებს, ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს ან რელიგიურ ლიდერებს. სთხოვეთ მათ, თქვენთან ითანამშრომლონ ძალადობის წინააღმდეგ გეგმების განხორციელებაში. მაგალითად, სთხოვეთ უფროსებს გააკონტროლონ ეზო, თუკი იქ ადგილი აქვს ბავშვების დაშინებას; მოიფიქრეთ, რა საშუალებით შეიძლება გააცნოთ სკოლის ხელმძღვანელობას დაშინების ფაქტები.

ფოტოასლი

კითხვარის ნიმუში — სკოლაში დაშინება

ცალკე სთხოვეთ ერთ-ერთ პირს, რომ პასუხი გასცეს დაშინებასთან დაკავშირებულ კითხვებს. აუხსენით, რატომ უსვამთ მას ასეთ კითხვებს და უთხარით, რომ შედეგების შესახებ ანგარიშში არ იქნება დასახელებული მისი გვარი. თუ ის დათანხმდება, მონახეთ მშვიდი ადგილი, აუხსენით რას ნიშნავს დაშინება და თანამიმდევრულად დაუსვით ეს კითხვები. თუკი ის არ მოისურვებს კითხვებზე პასუხის გაცემას, გადაუხადეთ მადლობა და მიმართეთ სხვას.

დაშინება არის ქმედება, რომელსაც მიმართავს ერთი ახალგაზრდა ან ახალგაზრდათა ჯგუფი, სხვა ახალგაზრდის მიმართ მისი მუქარის, დაცინვის ან მისთვის ზიანის მიყენების განზრახვით. დაშინება შეიძლება იყოს ფიზიკური, სიტყვიერი (სიტყვების გამოყენებით) ან სექსუალური. დაშინებისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ელექტრონული ფოსტა, შეტყობინების (მესიჯის) გაგზავნა და ინტერნეტი. დაშინების ერთ-ერთი ფორმა შეიძლება იყოს პირის გარიყვა (ჯგუფიდან მისი განცალკევება).

1. დაუშინებიხართ თუ არა ოდესმე ვინმეს სკოლაში?

2. რა სიხშირით ხდებოდა ეს?
   - ერთ თვეზე ნაკლებ პერიოდში.
   - დაახლოებით თვეში ერთხელ.
   - დაახლოებით კვირაში ერთხელ.
   - კვირაში რამდენჯერმე.

3. თქვენ მიმართ რა სახის დაშინებას ჰქონია ადგილი?
   - ფიზიკური;
   - სიტყვიერი;
   - ჯგუფიდან გარიყვა;
   - სექსუალური;
   - ინტერნეტის საშუალებით;
   - სხვა სახის (განმარტეთ).

4. თქვენი აზრით, რა არის საჭირო დაშინების აღსაკვეთად?

შეცვალეთ მდგომარეობა, იმოქმედეთ სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!

ახალგაზრდები მთელ მსოფლიოში მიმართავენ სხვადასხვა ზომებს სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგოდ — ეს თქვენც შეგიძლიათ! აქ მოცემულია მასალა თქვენს დასახმარებლად, თუმცა, არ დაგჭირდებათ მისი მთლიანად გამოყენება — შეარჩიეთ მხოლოდ ის, რომელიც ეფექტური იქნება თქვენი ჯგუფის ასაკობრივი დონისა და ინტერესებისათვის.

- 1-ელი თავის 14-ე გვერდზე მოცემული სამოქმედო გეგმის შესადგენი კითხვები დაგეხმარებათ პროექტის შექმნაში.
- „სამოქმედო იდეები: ბავშვთა მიმართ ძალადობა სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში“, რომელიც მოცემულია ქვემოთ, ჩარჩოში, გვიჩვენებს გზებს, თუ როგორ უნდა ჩავერთოთ საქმეში. უფრო მეტი მოსაზრებები მოცემულია მე-8 თავში.
- მომდევნო გვერდზე წარმოდგენილია მოკლე ისტორიები, რომლებიც ამოღებულია დოკუმენტიდან „მსოფლიოში განხორციელებული ზომები ძალადობის წინააღმდეგ“ და მოგვითხრობს იმაზე, თუ რა გააკეთეს სხვა ახალგაზრდებმა.
- მოკლე ისტორიების შემდეგ მოდის უფრო ვრცელი ისტორია, რომლის სახელწოდებაა

„ ბავშვთა მიმართ ძალადობა სკოლებში — აღსაკვეთ ღონისძიებებს ახორციელებს ელ სალვადორი“. ეს შეიძლება გამოიყენონ იმ ახალგაზრდებმა, რომლებსაც უფრო დეტალურად აინტერესებთ, თუ როგორ ხორციელდება სამოქმედო გეგმა.

მიეცით ჯგუფს საკმარისი დრო სამოქმედო გეგმის შესადგენად! ამას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ამ წიგნში აღწერილ სხვა ღონისძიებებს. კარგი იქნება, თუ გეგმის შედგენა გაგრძელდება ერთ მეცადინეობაზე უფრო მეტხანს, რამდენიმე დღეს ან კვირას. ეს მათ მისცემს საშუალებას დაფიქრდნენ იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს, ასევე მათი გადაჭრის გზებზე.

იდეები მოქმედებისათვის: ბავშვთა მიმართ ძალადობა სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში

- მოხალისე მსმენელებისაგან ჩამოაყალიბეთ ჯგუფი, რომელიც ან სახლში გაჰყვება დაშინებულს, ან დაუჯდება სადილის დროს.
- იმუშავეთ სკოლასთან, რათა გამოინახოს საშუალება ძალადობის ფაქტზე ინფორმაციის მისაღებად. ასეთი საშუალებაა, მაგალითად, „საფოსტო ყუთი“.
- ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებში მონახეთ პირი, რომელიც გაესაუბრება მასწავლებლებსა და მშობლებს ძალადობის გარეშე დისციპლინის საკითხებზე.
- სთხოვეთ ორგანიზაციის წარმომადგენლებს, მივიდნენ სკოლაში და ასწავლონ ახალგაზრდებსა და მასწავლებლებს, თუ როგორ შეიძლება კონფლიქტის არაძალადობრივი გზით გადაჭრა.
- გაესაუბრეთ არჩეულ ხელმძღვანელობას სკოლებში ფიზიკური დასჯის აღსაკვეთი კანონმდებლობის შექმნის საჭიროებაზე.
- სკოლებსა ან საზოგადოებრივ ადგილებში მოაწყვეთ დებატები ფიზიკური დასჯის საკითხებზე.
- ითანამშრომლეთ ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან სატელეფონო ცხელი ხაზის შექმნაზე, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები შეძლებენ განაცხადონ ძალადობის ფაქტის შესახებ და მიიღონ სათანადო დახმარება.
- შეეკითხეთ მასწავლებლებს, შეუძლიათ თუ არა, ისაუბრონ „ძალადობის კვლევასა“ და ბავშვებზე ძალადობის საკითხზე, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის ლექციაზე.

ღონისძიებები ძალადობის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში:
ბავშვთა მიმართ ძალადობა სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებში

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით განახორციელეს ბავშვებმა სკოლებში ძალადობის წინააღმდეგ.

ელ სალვადორი — ქ. სალვადორში ახალგაზრდული ბანდები ქუჩებში ჩხუბობდნენ, აუპატიურებდნენ, კლავდნენ, ყუმბარებს ისროდნენ სკოლის ეზოებში. ელ სალვადორის სკაუტებმა გამოიკვლიეს, თუ რატომ ერთიანდებოდნენ ახალგაზრდები ბანდებში; ამის მიზეზი ზოგჯერ იყო ინდივიდუალობის გამოხატვა და თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა. სკაუტებმა შექმნეს ბანაკი ორი სხვადასხვა სკოლის მეტოქე ბანდებისათვის. ბანაკში ორივე სკოლის მოსწავლეებმა გაიცნეს ერთმანეთი. ისინი პატარ-პატარა ჯგუფებად ასრულებდნენ ისეთ საქმიანობას, რომელიც ეხმარებოდა მათ გამოემჟღავნებინათ შემოქმედებითი უნარი, ურთიერთობისათვის გამოენახათ არაძალადობრივი გზები, გაეცნოთ ერთმანეთი და პატივი ეცათ განსხვავებული აზრისათვის. ბანაკის შემდეგ ბანდის წევრებმა დაიწყეს სოციალური საქმიანობის ორგანიზება და საზოგადოებრივი მომსახურების პროექტების განხორციელება თავიანთ სკოლებს შორის. ბანაკების ფუნქციონირების დაწყების შემდეგ მოძალადე მოსწავლეთა რაოდენობა 80%-ით შემცირდა (ამ ისტორიის უფრო ვრცელი ვერსია იხ. 52-ე გვერდზე).

ინდოეთი — საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეხვედრების შემდეგ ორისელმა (შტატია ინდოეთში) ბავშვებმა დაადგინეს, რომ ფიზიკური სასჯელი და დაცინვა წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველაზე მიღებულ ფორმას. მათ ეს საკითხი უფროსებს თეატრალური დადგმების, წერილებისა და სემინარების საშუალებით გააცნეს. მათ ასევე გადაიღეს ფილმი, რომელიც აჩვენეს ადგილობრივ საზოგადოებას. 2004 წლის აგვისტოში ორისის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გამოსცა სამთავრობო ბრძანება, რომელიც მთელ შტატში კრძალავდა ბავშვების ფიზიკურ დასჯას სკოლებში.

პერუ — სასკოლო საბჭოები პერუში მხარს უჭერენ ახალგაზრდებს ბევრ ისეთ საკითხში, რომელიც ეხება ბავშვთა უფლებების დაცვას. ისინი მუშაობენ ბავშვთა მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური სასჯელისა და სხვა სახის ძალადობის აღსაკვეთად. სკოლის საბჭოები აწყობენ სემინარებს მშობლებისათვის ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე, ფიზიკური სასჯელის საკითხის ჩათვლით. ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის დადგენის შემდეგ ისინი ამის შესახებ ატყობინებენ ბავშვთა უფლებების დაცვის მუნიციპალურ ორგანიზაციას.

უგანდა — „ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობისა და ბავშვის მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობის პრევენციისა და მათი უფლებების დაცვის აფრიკის ქსელი“ (ANPPCAN) უგანდაში მუშაობს ბავშვებზე სექსუალური ძალადობისა და ბავშვთა ექსპლუატაციის აღსაკვეთად. აქ სკოლაში და სკოლის გარეთ ბავშვების დასაცავად შექმნილია მხარდამჭერი ჯგუფები, რომლებსაც ბავშვები ხელმძღვანელობენ. ამის შედეგად გამოვლენილია ბავშვებისადმი სასტიკი მოპყრობის უფრო მეტი ფაქტი; უფრო კარგად მყარდება კავშირი პასუხისმგებელ პირებთანაც, ადგილობრივი საბჭოს ჩათვლით.

თუ თქვენთვის ცნობილია ფაქტები, რომ ახალგაზრდები თქვენს ქვეყანაში რაიმე ფორმით მოქმედებენ სკოლებსა და სასწავლო ცენტრებში ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, გააცანით ის ჯგუფს!

ძალადობა ბავშვთა მიმართ სკოლებში — ელ სალვადორში განხორციელებული ღონისძიებები

სან სალვადორში და სალვადორის სხვა მეზობელ ქალაქებში 2001 წელს ახალგაზრდული ბანდების თარეშის გამო გაიზარდა ქუჩებში ჩხუბის, გაუპატიურებისა და მკვლელობის შემთხვევები. საზოგადოება განსაკუთრებით აღშფოთდა მაშინ, როდესაც მათ დაიწყეს ყუმბარების სროლა სასკოლო ტერიტორიებზე. თითქმის წარუმატებლი იყო სკოლის ხელმძღვანელობის მცდელობა, დაესაჯა დამნაშავეები.

სალვადორის სკაუტების ასოციაციის ახალგაზრდა წევრებმა გამოიკვლიეს, თუ რა უნდოდათ და რატომ ერთიანდებოდნენ ახალგაზრდები ბანდებში. მათ გამოკითხეს სკაუტებიც, რათა გაეგოთ, თუ რატომ გახდნენ სკაუტების ასოციაციის წევრები. პასუხები თითქმის ერთნაირი იყო — ინდივიდუალობის გამოხატვა და თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა. სკაუტებმა გადაწყვიტეს, რომ მათ შეეძლოთ დახმარებოდნენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ესწრაფვოდნენ მოძალადე ბანდებში გაერთიანებას.

მათ არდადეგებზე სკაუტების ბანაკში მიიწვიეს 15-20 წლის ახალგაზრდები ორი სხვადასხვა სკოლიდან, რომლებიც მოწინააღმდეგე ბანდების წევრები იყვნენ. მათ შესთავაზეს თავგადასავლები, გართობა, სახლიდან შორს ყოფნის შანსი და ეს ყველაფერი — უფასოდ. ბევრი მათგანი მანამდე არასოდეს გასცილებოდა თავისი ქალაქის ფარგლებს.

ბანაკში ამ ორი სკოლის მოსწავლეებმა ერთმანეთი გაიცნეს. ისინი გაერთიანებულნი იყვნენ პატარა ჯგუფებში სახელწოდებით „სოლიდარობის ბრიგადები“. ამგვარი ჯგუფების წევრები ასევე იყვნენ ახალგაზრდები, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ ბანდებთან მუშაობის სასწავლო კურსი. „სოლიდარობის ბრიგადები“ აწყობდნენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ეხმარებოდა მათ ყოფილიყვნენ შემოქმედებითი, გამოენახათ ურთიერთობის არაძალადობრივი გზები, გაეცნოთ ერთმანეთი და პატივი ეცათ განსხვავებული აზრისათვის.

თავდაპირველად ბანდის ბევრი წევრი ეჭვით უყურებდა ამ ფაქტს, თუმცა მათი შეხედულებები შეიცვალა, როდესაც მოსწავლეები პირველი ბანაკიდან დაბრუნდნენ სკოლაში! ისინი ენთუზიაზმით იყვნენ აღსავსენი და სხვებსაც გადასცემდნენ ამას; აწყობდნენ სოციალურ ღონისძიებებს, დიალოგებს სკოლებს შორის, ახორციელებდნენ საზოგადოებრივი მომსახურების პროექტებს. მას შემდეგ მოეწყო უფრო მეტი ბანაკი, სადაც არდადეგები გაატარა 10 000-ზე მეტმა ახალგაზრდამ. მათ შორის იყო 500 მასწავლებელი, რომლებიც ასწავლიდნენ მათ ტოლერანტობას და არაძალადობრივ ქცევას. „სახელმწიფო სამოქალაქო პოლიტიკის“ მიხედვით, 2001 წლის შემდეგ მოსწავლეთა მიერ ძალადობის ფაქტები 80 პროცენტით შემცირდა.

წყარო: „სკაუტების მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაცია“. www.scout.org

დაფიქრდით და უპასუხეთ:

არის თუ არა ახალგაზრდების ბანდები იქ, სადაც თქვენ ცხოვრობთ? თუ არის, რატომ?
რატომ უყურებდნენ თავიდან ბანდის წევრები ეჭვის თვალით ბანაკებს?
როგორ შეიძლება ამ ეჭის გაფანტვა?

თავი 5: ძალადობა ბავშვთა მიმართ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში

რა სახის ძალადობა აქვს ადგილი სპეციალურ დაწესებულებებში?

სპეციალურ დაწესებულებაში იგულისხმება ადგილი, სადაც ცხოვრობენ ბავშვები, რომლებსაც არ შეუძლიათ იყვნენ თავიანთ ოჯახებში, და რომლებსაც უვლიან უფროსები . . . ამ ტიპის დაწესებულებებია ობოლთა თავშესაფრები ან ბავშვთა სახლები.

- **ძალადობა თანამშრომელთა მიერ** — ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ ძალადობა შეიძლება გამოიყენონ წესრიგის დასამყარებლად, იგულისხმება ბავშვების ცემა, თავის კედელზე მირტყმა, დაბმა, ჩაკეტვა და მათი იძულება რამდენიმე დღე იწვნენ ლოგინში ისე, რომ არ გამოიცვალონ ტანსაცმელი. თანამშრომელთა მხრიდან შეიძლება სექსუალური ძალადობაც.
- **„მკურნალობა“ ძალადობის საშუალებით** — ზოგჯერ მკურნალობა ხორციელდება მეტისმეტად ძალადობრივი გზით. მაგალითად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ფსიქიკური დაავადებების განკურნების მიზნით გამოიყენება ელექტროშოკი.
- **უყურადღებოდ მიტოვება** — ხანდახან ბავშვებს არ ექცევათ სათანადო ყურადღება. უგულვებელყოფის ყველაზე დიდი რისკი აქვთ უნარშეზღუდულ ბავშვებს. უნარშეზ-ღუდულ ბავშვთა ბევრ დაწესებულებაში ბავშვებს არ აძლევენ განათლებას, არ ათამაშებენ და მათ სასარგებლოდ არ ხორციელდება არანაირი პოზიტიური სამუშაო. ხშირად ისინი დიდ დროს ატარებენ ლოგინში, სხვა ადამიანებთან კონტაქტის გარეშე. ამას შეიძლება მოჰყვეს ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის სერიოზული პრობლემები.
- **ძალადობა სხვა ბავშვებისა და ახალგაზრდების მხრიდან სპეციალურ დაწესებვულებებში** — ეს შეიძლება იყოს ფიზიკური ძალადობა ან დამცინავი სახელების წოდება, დაცინვა ან ბავშვის გარიყვა ჯგუფისგან.

რა სახის ძალადობას აქვს ადგილი ციხეებსა და დაკავების სხვა ადგილებში?

დაკავება არის ბავშვის ან ახალგაზრდის ჩაკეტვა მათი სურვილის გარეშე, სასჯელის სახით.

- **ფიზიკური სასჯელი** — ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვებს, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, ელოდებათ ფიზიკური სასჯელი, როგორიცაა ჯოხით ცემა ან გაწკეპლვა. ზოგ ქვეყანაში მათ შეიძლება სასიკვდილო განაჩენიც კი გამოუტანონ.
- **ძალადობა ციხის მომსახურე პერსონალის მხრიდან** — ციხეში ან დაკავების სხვა ადგილებში მყოფი ბავშვები არიან ძალადობის რისკის წინაშე დაკავების ადგილებში, ციხეებში, პოლიციასა და უშიშროების სამსახურებში მომუშავე პერსონალის მხრიდან. მაგალითად, ბავშვებსა და ახალგაზრდებს ზოგჯერ სცემენ დასჯის მიზნით, ამყოფებენ იზოლირებულად სხვა ბავშვებისაგან, არ აქცევენ ყურადღებას, როცა მათ ესაჭიროებათ დახმარება ან არ აძლევენ ჭამის უფლებას. უმეტესად გოგონები იმყოფებიან სექსუალური ძალადობის რისკის ქვეშ, განსაკუთრებით — როცა მათი ზედამხედველი მამაკაცია.
- **ძალადობა სხვა ახალგაზრდების ან უფროსების მხრიდან** — ციხეში, დაკავების ადგილზე ან საკანში ბავშვებთან ერთად მყოფი ახალგაზრდები ან უფროსები შეიძლება იჩენდნენ ფიზიკურ, სიტყვიერ ან სექსუალურ ძალადობას მათ მიმართ.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: „ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“.

ღონისძიება 9: მოგვითხრობენ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში მყოფი ბავშვები

<u>რა არის მიზანი:</u>

- მეტი გავიგოთ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში ბავშვებზე ძალადობის ფაქტების შესახებ.

<u>რა არის საჭირო:</u>

- მსმენელთათვის დასარიგებელი მასალა — *„მოგვითხრობენ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში მყოფი ბავშვები“*;
- ქაღალდის დიდი ფურცლები და მარკერები ან დაფა და ცარცი;
- დრო — 45 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. დაყავით მსმენელები პატარ-პატარა ჯგუფებად. მიეცით თითოეულ ჯგუფს თითო ასლი დასარიგებელი მასალისა — *„მოგვითხრობენ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში მყოფი ბავშვები“.*
2. დარიგებული მასალის წაკითხვის შემდეგ ბავშვებს შეუძლიათ განიხილონ:
   - რა სახის ძალადობა ემუქრებათ ბავშვებს სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში;
   - რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარ ძალადობას.

თუ ჯგუფში არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებსაც გადატანილი აქვთ ძალადობა სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში, გახსოვდეთ, რომ მათ შეიძლება არ ისურვონ ამ საკითხზე საუბარი.

შენიშვნა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის: ზოგმა ახალგაზრდამ შეიძლება ილაპარაკოს ძალადობაზე, რომელსაც იმ მომენტში განიცდის. განიხილეთ თავი 1, ნაწილი 3, სადაც აღწერილია, თუ როგორ უნდა მიუდგეთ ასეთ შემთხვევას.

3. სთხოვეთ მსმენელებს გამოთქვან აზრი სხვადასხვა სახის ძალადობასა და მის შედეგებთან დაკავშირებით. დაწერეთ მათი აზრები სალექციო პლაკატზე ან დაფაზე.

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ურჩიეთ ჯგუფს წაიკითხონ *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“* ან ხელახლა გადახედონ მთავარ პუნქტებს ამ თავის შესავალ ნაწილში.
- მონახეთ კანონები, რომლებიც ეხება ობოლ ბავშვთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მცხოვრებ ბავშვებს. არსებობს თუ არა სხვა არჩევანი იმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც არა აქვთ ოჯახები, ან რომელთა ოჯახებს არ შუძლიათ მათზე ზრუნვა?
- მონახეთ კანონები კანონდამრღვევი ბავშვების შესახებ. რა ასაკშია ნებადართული თქვენს ქვეყანაში ბავშვის დაპატიმრება? არის თუ არა კანონები, რომლებიც კრძალავს მათ მოთავსებას უფროსთათვის განკუთვნილ ციხეებში? არის თუ არა სპეციალური სასამართლოები ახალგაზრდებისათვის?
- გაარკვიეთ, თქვენს საცხოვრებელ ადგილას აქვთ თუ არა ახალგაზრდებს „ალტერნატიული არჩევანის“ უფლება. იგულისხმება პროგრამები, რომლებიც ნაცვლად დაკავება-დაპტიმრებისა, ეხმარება იმ ბავშვებს, რომლებმაც პირველად დაარღვიეს

კანონი ან ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული, რომ მოაგვარონ პრობლემები, რომელთა გამოც მათ ეს დანაშაული ჩაიდინეს. ეს პროგრამები შეიძლება მოიცავდეს განათლებას, ხელობის სწავლებას და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ლექციებს მშობლებისათვის და გზების ძიებას ამ ახალგაზრდების საზოგადოებაში დასაბრუნებლად.

„გვიამბობენ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში მყოფი ბავშვები“

<u>ობოლთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვების მონათხრობიდან:</u>

„ზოგიერთი მასწავლებელი (ობოლ ბავშვთა თავშესაფარში) აჭარბებდა საკუთარ უფლებამოსილებას და უმიზეზოდ გვცემდა. მათ იცოდნენ, რომ ბავშვები ვერავის მიმართავდნენ დახმარებისათვის და ამიტომ იმას აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ“. *ობოლ ბავშვთა თავშესაფრის ყოფილი აღსაზრდელი. ევროპა და ცენტრალური აზია.*

„ბავშვთა სახლში გამოკეტილმა მათგან ვისწავლე ძალადობა და ვთვლიდი, რომ ძალადობა ნორმალურია“. *მოზარდი. ჩრდ. ამერიკა.*

„უფროსი გოგონები, რომლებიც გამორჩეული ჰყავდათ ჩვენს მომვლელ ქალებს, თანამშრომელთა ბრძანებით სცემდნენ პატარებს.“ *გოგონა. სამხრეთ აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი.*

„ზოგ ჩვენგანს სახლში აბუჩად იგდებენ. თუკი მივმართავთ ბავშვთა დაცვის სისტემას, რომელიც ვალდებულია დაგვიცვას, — დაგვცინის. ვცდილობთ ვიჩივლოთ, მაგრამ — ამაოდ. მთელი გაღიზიანება გადაგვაქვს ჩვენს თანატოლებზე, ოჯახზე, ამხანაგებზე, სოციალურ მუშაკებზე, დედობილებსა და მამობილებზე, ბავშვთა სახლის თანამშრომლებზე, მასწავლებლებზე და ა.შ. ამას ოდესმე ბოლო უნდა მოეღოს.“
ახალგაზრდა. ჩრდ. ამერიკა.

<u>ციხეში მყოფი/კანონდამრღვევი ახალგაზრდების მონათხრობიდან</u>:

„გოგონებს განთავისუფლების სანაცვლოდ ხშირად სთხოვენ სექსუალურ მომსახურებას. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში მათ არ ათავისუფლებენ ციხის თანამშრომლის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგაც.” *ქუჩის ბიჭი. სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკა.*

„პოლიციელმა დამიჭირა. მას ფორმა ეცვა და ხელში ჩემი დაპატიმრების ორდერი ეჭირა. თავიდან მიმიყვანეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მისაღებში. იქ მაიძულეს მეღიარებინა დანაშაული. ისინი თმებს მაგლეჯდნენ, მუცელში მჩქმეტდნენ, ტყვიებს მიდებდნენ თითებს შორის და ხელს ძლიერ მიჭერდნენ. მე ვკანკალებდი, რადგან მეშინოდა, რომ ციხეში კიდევ უფრო მეტად მცემდნენ.” ბიჭი, 17 წლის. *აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი.*

„ჩვენ, ახლები, აქ (ციხეში) ძლიერ ვიტანჯებით. ცუდად გვძინავს. უფრო ხშირად არ გვძინავს ან დილამდე მჯდომარე ვიძინებთ, რადგანაც ციხე გადატვირთულია. ცუდად გვაჭმევენ. ვიტანჯებით. ქამრით გვცემენ. განსაკუთრებით ბევრს გვცემს ზედამხედველი. ისინი წვებიან ჩვენთან. კამერის უფროსები გვაიძულებენ დავწვეთ (სქესობრივი კავშირი დავამყაროთ) მათთან. როდესაც უარს ვამბობთ, გვცემენ და ასე გვსჯიან. აქ ცხოვრება აუტანელია. სულ სახლზე ვფიქრობ.“ *ბიჭი, 14 წლის. სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკა.*

„ისინი (პოლიციელები) თავს უფროსებად მიიჩნევენ და თვლიან, რომ ყველაფერი მათი საკუთრებაა. ამიტომ აბუჩად იგდებენ ხალხს, რაც მოუნდებათ ძალით ართმევენ, ემუქრებიან და თანაც, თუ ახალგაზრდები რამეზე უარს ეტყვიან, აუპატიურებენ მათ.“ *მოზარდი ბიჭები და გოგონები. ლათინური ამერიკა.*

ღონისძიება 10: „ცხოვრების გზები“

<u>რა არის მიზანი:</u>

- რათა გამოვიკვლიოთ დაწესებულებებსა და ციხეებში ბავშვთა მიმართ ძალადობის მიზეზები და შედეგები.

<u>რა არის საჭირო:</u>

- ქაღალდის დიდი ფურცლები და მარკერები;
- *„გვიამბობენ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში მყოფი ბავშვები“* — ღონისძიება 2-ის დასარიგებელი მასალა;
- დრო — 45-60 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. დაყავით ახალგაზრდები 4-კაციან ჯგუფებად: თითოეულ ჯგუფს მიეცით ქაღალდის დიდი ფურცელი, მარკერები და ღონისძიება 2-ის დასარიგებელი მასალა — *„გვიამბობენ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში მყოფი ბავშვები“.* აუხსენთ მათ, რომ დახატონ ბავშვის „ცხოვრების გზა“ სპეციალურ დაწესებულებასა თუ ციხეში. მათ შეიძლება დასარიგებელი მასალიდან ამოირჩიონ ვინმე, ან ამ მასალაზე დაყრდნობით წარმოიდგინონ რომელიმე ბავშვი, ანდა გამოიყენონ ჯგუფის წევრების მონათხრობი რეალური ისტორია.

2. სთხოვეთ ყველას, დახატონ ფურცელზე „ცხოვრების გზა“ — ეს იქნება მარცხნიდან მარჯვნივ მიმავალი ხაზი რომელიც ფურცლის შუაგულში იყოფა ორად.

3. აუხსენით, რომ ის ადგილი, სადაც ხაზი შუაზე იყოფა, წარმოადგენს ბავშვის აწმყოს — როდესაც ბავშვი სპეციალურ დაწესებულებაში ან ციხეში განიცდის ძალადობას. მსმენელებს შეუძლიათ დახატონ ბავშვი „ცხოვრების გზის“ შუაში.

4. მარცხნივ მდებარე ხაზი არის ბავშვის წარსული ცხოვრება. დახატეთ ან აღწერეთ მოვლენები, რომლებიც შეიძლება მომხდარიყო ბავშვის ცხოვრებაში და რომლებმაც ის ამ წერტილამდე მიიყვანა.

5. ხაზის ორი განშტოება წარმოადგენს ორ შესაძლო მიმართულებას ბავშვის ცხოვრებაში: რა მოხდებოდა, თუ ძალადობა არ შეწყდებოდა; და რა მოხდებოდა ძალადობის შეწყვეტის და ბავშვის უფლებების დაცვის შემთხვევაში. დახატეთ ან აღწერეთ შემთხვევები, რაც შეიძლება მომხდარიყო მომავალში ამ ორი ხაზის მიმართულებით.

6. გამოაკარით „ცხოვრების გზები“ მთელ აუდიტორიაში და მიეცით ბავშვებს დათვალიერების დრო.

7. განიხილეთ:
   - რამ გამოიწვია ახალგაზრდების მოხვედრა ბავშვთა სახლებში? რამ უბიძგა მათ კანონის დარღვევისკენ?

- როგორ ფიქრობთ, სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში რა სახის ძალადობა ტოვებს დიდხანს კვალს ახალგაზრდებზე?
- რა უნდა შეიცვალოს ამ ახალგაზრდების დასახმარებლად, რათა მათი ცხოვრება უფრო პოზიტიური გახდეს? ვინ არის პასუხისმგებელი ამგვარი ცვლილებების განხორციელებაზე?

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- გაარკვიეთ, არის თუ არა ისეთი ორგანზაციები თქვენს საცხოვრებელ ადგილას, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში მყოფი ბავშვების დაცვასთან. მოიწვიეთ ისეთი ადამიანი, რომელიც ესაუბრება ჯგუფს ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებზე და მის აღსაკვეთ ღონისძიებებზე.
- საზოგადოებას წარმოუდგინეთ თქვენი მიგნებები. თქვენი მოსაზრებების უკეთ გადმოსაცემად გამოიყენეთ „ცხოვრების გზები“.

შეცვალეთ არსებული მდგომარეობა!
იმოქმედეთ ოჯახში ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

ახალგაზრდები მთელ მსოფლიოში მუშაობენ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე — ეს თქვენც შეგიძლიათ! აქ მოცემულია მასალა თქვენ დასახმარებლად, თუმცა არ დაგჭირდებათ მისი მთლიანად გამოყენება — შეარჩიეთ მხოლოდ ის, რომელიც ეფექტური იქნება თქვენი ჯგუფის ასაკობრივი დონისა და ინტერესებისათვის.

- პროექტის შედგენაში თქვენ დაგეხმარებათ 1-ელი თავის 14-ე გვერდზე მოცემული კითხვები სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.
- თუ როგორ უნდა დავიწყოთ მოქმედება, დაგვეხმარება ქვემოთ, ჩარჩოში მოცემული „იდეები მოქმედებისათვის: ძალადობა ბავშვთა მიმართ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში“. დამატებითი მოსაზრებები მოცემულია მე-8 თავში.
- 58-ე გვერდზე, თავში „ძალადობის წინააღმდეგ მიღებული ზომები მთელ მსოფლიოში“ მოცემულია მოკლე ისტორიები, თუ რას აკეთებენ ახალგაზრდები სხვა ქვეყნებში ძალადობის წინააღმდეგ.
- მოკლე ისტორიებს მოსდევს უფრო გრძელი ისტორია, რომლის სახელწოდებაა *„ძალადობა ბავშვთა მიმართ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში: ფილიპინებზე მიღებული ზომები“*. ეს შეიძლება გამოიყენონ ახალგაზრდებმა, რომლებსაც დეტალურად აინტერესებთ, როგორ ხდება სამოქმედო გეგმის პროექტის შედგენა.

მიეცით ჯგუფს საკმარისი დრო სამოქმედო გეგმის შესადგენად! ამას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ამ წიგნში აღწერილ სხვა ღონისძიებებს. კარგი იქნება, თუ გეგმის შედგენა გაგრძელდება ერთ მეცადინეობაზე უფრო მეტხანს, რამდენიმე დღეს ან კვირას. ეს მათ მისცემს საშუალებას დაფიქრდნენ იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს, ასევე მათი გადაჭრის გზებზე.

იდეები მოქმედებისათვის — ძალადობა ბავშვერბზე სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში

- ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მოაწყვეთ სემინარი პოლიციისა და სასამართლოების თანამშრომლებისათვის თემაზე: რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს უფროსებისათვის განკუთვნილ ციხეებში მოთავსებულ ბავშვთა მიმართ ძალადობას.
- ლობირება გაუწიეთ ისეთი კანონების შექმნას, რომლებიც დაიცავს კანონდამრღვევი ბავშვების უფლებებს.
- მოაწყვეთ სემინარი საინფორმაციო საშუალებების პროფესიონალი თანამშრომლებისათვის, კანონდამრღვევი ან სპეციალურ დაწესებულებებში მყოფი ბავშვების შესახებ სიუჟეტების გაკეთებისას სტერეოტიპების თავიდან ასაცილებლად.
- ბავშვთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ითანამშრომლეთ ისეთი საზოგადოებრივი პროგრამების შესაქმნელად, რაც დაეხმარება ბავშვებს დატოვონ „ბავშვთა სახლები“ და ისწავლონ დღის სკოლებში, ხელს შეუწყობს უნარშეზღუდული ბავშვების სწავლებას და ა.შ.
- გამოკვეთეთ, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს უფასო, ხარისხიანი განათლება, რაც დაეხმარება მას თავიდან აიცილოს დანაშაული.
- დაიწყეთ სასწავლო და გამაჯანსაღებელი პროგრამების განხორციელება უნარშეზღუდული ბავშვებისათვის, რომლებსაც სხვა შემთხვევაში სპეციალურ დაწესებულებებში მოათავსებდნენ.
- ითანამშრომლეთ სრულწლოვანთა ორგანიზაციებთან, რათა საზოგადოებრივი პროგრამების საშუალებით გამოინახოს კანონდამრღვევი ბავშვების დასახმარებელი გზები და თავიდან აიცილოთ მათი დაკავება სპეციალურ ადგილებში.
- მოიწვიეთ ისეთი მოზარდები ან ზრდასრული ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა სპეციალურ დაწესებულებაში ან სასჯელს იხდიდა ციხეში, რათა სკოლაში ან საზოგადოების წარმომადგენლებთან ისაუბროს იმაზე, რაც გადაიტანა.
- ითანამშრომლეთ ისეთ ორგანიზაციასთან, რომელიც ეხმარება სპეციალური დაწესებულებიდან ან ციხიდან განთავისუფლებულ ახალგაზრდებს.

მოქმედება ძალადობის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში:
ძალადობა ბავშვთა მიმართ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი იმ ღონისძიებებისა, რომლებიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით განახორციელეს ბავშვებმა სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში არსებული ძალადობის წინააღმდეგ:

ბოსნია და ჰერცეგოვინა — ჩუკის სარეაბილიტაციო ცენტრი არის ადგილი, სადაც 14-18 წლის კანონდამრღვევ ბიჭებს სპეციალურ დაწესებულებსა და ციხეებში მოთავსების ნაცვლად ეხმარებიან განათლების მიცემითა და სკოლის შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლებით. ცენტრი ეხმარება მშობლებსაც, რომ თავიანთ შვილებთან უკეთესი ურთიერთობის დამყარებისათვის გამოიმუშაონ საჭირო უნარ-ჩვევები. ბიჭები თვითონ ეხმარებიან ცენტრის თანამშრომლებს მართვაში, განსაზღვრავენ წესებს, ადგენენ სადისკუსიო საკითხებს, ეხმარებიან თანამშრომელთა და მოხალისეთა შერჩევაში. იმის გამო, რომ ცენტრში დაცულად გრძნობენ თავს, მოცილებულნი არიან ოჯახის, ქუჩის და პოლიციის მხრიდან ზეწოლას, ბიჭების უმრავლესობა ჩუკაში აღარ სჩადის დანაშაულს და უმეტესად ცდილობს გააგრძელოს სწავლა ან იშოვნოს სამსახური.

ფილიპინები — ფილიპინებზე ერთ დროს ჩვეულებრივად ითვლებოდა კანონდამრღვევი ბავშვების ციხეში უფროსებთან ერთად მოთავსება. ბავშვთა ორგანიზაციებმა დაიწყეს ამ პრობლემის კვლევა. „ქრისტიან ბავშვთა ფონდის“ დახმარებით ისინი ხვდებოდნენ პარლამენტის წევრებს და ურჩევდნენ მათ ახალგაზრდებისათვის შეექმნათ დაკავების ცალკე ცენტრები. საბოლოოდ მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის საფუძველზედაც შეიქმნა სპეციალური ცენტრები, სადაც ახალგაზრდა დამნაშავეები იძენდნენ საჭირო უნარ-ჩვევებს და ხდებოდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები (უფრო დეტალურად ეს ისტორია იხ. მომდევნო გვერდზე).

იემენი — კანონდამრღვევი ბავშვები აკეთებდნენ განცხადებას ფიზიკური და სექსუალური შეურაცხყოფის შესახებ ადენის ქალაქის პოლიციის განყოფილებაში. სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც ბავშვებს ათავსებენ, რათა მათ თავიდან აიცილონ ციხე, ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, პოლიციისათვის გამართულ სემინარზე განეცხადებინათ მათ მიერ გადატანილი ძალადობის შესახებ. შედეგად — პოლიციის თანამშრომლებმა მიიღეს ზომები მათ მიმართ, ვინც ბოროტად იყენებდა თანამდებობას. გოგონებსა და ბიჭებს ამჟამად აღარ ათავსებენ პოლიციის განყოფილებაში, არამედ მათ აგზავნიან სარეაბილიტაციო ცენტრებში.

თუ თქვენთვის ცნობილია ფაქტები, რომ თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდები რაიმე ფორმით მოქმედებენ სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ, გააცანით ჯგუფს!

ძალადობა ბავშვებზე სპეციალურ დაწესებულებებსა და ციხეებში:
ფილიპინებზე განხორციელებული ღონისძიებები

ფილიპინებზე ერთ დროს ჩვეულებრივად ითვლებოდა კანონდამრღვევი ბავშვების ციხეში ზრდასრულ ადამიანებთან ერთად მოთავსება. ბევრი მოზარდი ასაკთან შედარებით უფროსად გამოიყურებოდა, ხშირად მათ არც დაბადების მოწმობა ჰქონდათ თავიანთი ასაკის დასადასტურებელად. არ არსებობდა დაკავების ცენტრები, სადაც მოათავსებდნენ ახალგაზრდებს მანამ, სანამ კანონდამცველები მათ შესახებ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდნენ.

ციხეში ახალგაზრდები ხშირად განიცდიდნენ ძალადობას უფროსების მხრიდან, სექსუალურ ძალადობას, როგორც გოგონების, ისე ბიჭების გაუპატიურებას.

ამ საკითხით დაინტერესდნენ ფილიპინების ბავშვთა ორგანიზაციები. მათ ჯერ შეისწავლეს პრობლემა, შემდეგ კი, ისეთი ორგანიზაციის დახმარებით, როგორცაა „ქრისტიან ბავშვთა ფონდი“, შეხვდნენ პარლამენტის წევრებს. მათ ჩაატარეს სემინარი, სადაც მოხდა ინფორმაციის გაზიარება. ახალგაზრდებმა, რომლებიც ნამყოფები იყვნენ უფროსების ციხეში, ისაუბრეს იმის შესახებ, რაც გადაიტანეს. მათ გამოთქვეს აზრი, რომ მოზარდებითვის საჭირო იყო დაკავების ცალკე ცენტრების შექმნა.

თავიდან პარლამენტარების რეაქცია არ იყო დამაიმედებელი. ისინი უსმენდნენ ახალგაზრდებს, შემდეგ დგებოდნენ და მიდიოდნენ; ან ართმევდნენ ახალგაზრდებს მათ მიერ მომზადებულ საინფორმაციო ფურცლებს და მიდიოდნენ საკითხის განხილვის გარეშე. ახალგაზრდები სთხოვდნენ თავიანთ პარტნიორებს უფროსების ორგანიზაციებიდან, დალაპარაკებოდნენ პარლამენტარებს ამ საკითხთან დაკავშირებით და ეთხოვათ, რომ მოესმინათ მათთვის. ბოლოს და ბოლოს ასეც მოხდა. ბავშვების მცდელობით მთავრობამ მიიღო კანონი კანონდამრღვევი ბავშვების უფლებებთან დაკავშირებით. მათ უკვე აღარ ათავსებენ უფროსებთან ერთად ციხეში. არსებობს სპეციალური ცენტრები ახალგაზრდა დამნაშავეთათვის, სადაც მათ სთავაზობენ სხვადასხვანაირ დასაქმებას, რაც ეხმარება მათ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, რომ გახდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. მათი საქმეების მოსმენა ხდება სპეციალურ სასამართლოებში, რომლებიც განიხილავენ მხოლოდ ახალგაზრდათა საქმეებს.

დაფიქრდით და უპასუხეთ:

რატომ ხდება, რომ უფროსები, მაგალითად, პარლამენტარები, არ უსმენენ ახალგაზრდებს? რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს ახალგაზრდებს ამგვარ სიტუაციებში უფროს პარტნიორებთან მუშაობამ?

თავი 6: ძალადობა ბავშვთა მიმართ სამუშაო ადგილზე

რა სახის ძალადობას აქვს ადგილი მომუშავე ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ?

- ძალადობა დამქირავებლების, სხვა თანამშრომლებისა და კლიენტების მხრიდან. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს:
  - **ფიზიკური ძალადობა** — ბავშვებს და ახალგაზრდებს სცემენ, როდესაც უფროსები თვლიან, რომ მათ სათანადოდ ვერ შეასრულეს სამუშაო.
  - **სექსუალური ძალადობა** — გოგონებს აუპატიურებს ან აცდუნებს დამქირავებელი მამაკაცი.
  - **სიტყვიერი ძალადობა** — ბავშვებს და ახლაგაზრდებს უყვირიან ან შეურაცხყოფას აყენებენ.
  - **ფსიქოლოგიური ძალადობა** — ბავშვებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც მუშაობენ შინამოსამსახურეებად, არ უშვებენ სახლებში, მეგობრებთან ან საზოგადოებრივ ადგილებში. ხშირად მათ დასცინიან.

- **პროსტიტუცია და ბავშვთა პორნოგრაფია** — ყოველწლიურად პროსტიტუციის მიზნით ხდება 1 მილიონი ბავშვის გამოყენება. ბევრი ამას ძალადობის გზით აღწევს და არავინ ცდილობს მათ დახმარებას. დახმარების შემთხვევაშიც კი შეიძლება მოექცნენ მათ, როგორც დამნაშავეებს, დაამწყვდიონ ან არ მისცენ საშუალება, რომ უჩივლონ თავიანთ დამქირავებლებს.

- **ვალის სანაცვლოდ შრომა ან მონობა** — ბავშვი შეიძლება აიძულონ იშრომოს ვალის ან სესხის გადახდის სანაცვლოდ. შესაძლოა ის მონადაც გაყიდონ. ამგვარ მდგომარეობაში მყოფ ბავშვს არ შეუძლია თავის დაცვა უფროსებისა თუ იქ მომუშავე ადამიანებისაგან.

ბევრი ახალგაზრდა მუშაობს სიღარიბის გამო, რათა დაეხმაროს ოჯახს. ზოგს სახლ-კარი არ გააჩნია და მუშაობენ, რათა თავი ირჩინონ.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. „ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“.

ბავშვების მონათხრობი

„ისინი ართმევენ მათ ბავშვობას, რადგან ადრეული ასაკიდან ამუშავებენ. ისინი შრომობენ ქუჩებში და არასოდეს აქვთ დრო საკუთარი ცხოვრებისათვის. იმის მაგივრად, რომ სკოლაში ისწავლონ, იძულებულნი არიან წავიდნენ სამუშაოდ. მათ არა აქვთ თამაშის დრო და უდიდეს სულიერ ტრავმას იღებენ იმ შეურაცხყოფისა და აგრესიის გამო, რასაც ყველგან აწყდებიან“. *მოზარდი ბიჭების ჯგუფი. ლათინური ამერიკა.*

„მე ცალკე ოთახში მძინავს. ღამით სახლის პატრონი მამაკაცი მიკაკუნებს კარზე. სასოწარკვეთილი ვარ და მეშინია ამის გამოაშკარავება, თანაც ვშიშობ, რომ სამსახურს დავკარგავ. ეს იმიტომ ხდება, რომ მე აღარ მყავს მშობლები და არ მინდა სამსახურის დაკარგვა.“ *გოგონა, 12 წლის. სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკა.*

„ზოგჯერ, როდესაც დამქირავებელი გვცემს, მინდა ხელი შევუბრუნო, მაგრამ ამას ვერ ვაკეთებ, რადგანაც ვიცი, საუშაოს დავკარგავ და ჩემი ოჯახი მშიერი დარჩება.“ *ბიჭი, 13 წლის. სამხრეთ აფრიკა.*

ღონისძიება 11: რა სამუშაოს ასრულებთ?

<u>რა არის მიზანი:</u>

- ამ დროს ყველა ჩაერთვება საუბარში ახალგაზრდების მუშაობის თემაზე.
- ეს წარმოაჩენს, რომ არსებობს ისეთი სახის სამუშაოები, რომლებიც არ შეიძლება ბავშვმა შეასრულოს.

<u>რა არის საჭირო</u>:

- ქაღალდის დიდი ფურცლები და მარკერები.
- დრო — 45-50 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. დაყავით ჯგუფი წყვილებად. სთხოვეთ თითოეულს დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში გამოჰკითხოს პარტნიორს, თუ რა სახის სამუშაოს ასრულებს ის შინ თუ გარეთ. კითხვები შეგიძლიათ ჩამოწეროთ ქაღალდის ფურცელზე ან დაფაზე ისე, რომ ყველამ დაინახოს. გამოიყენეთ ჩარჩოში მოცემული კითხვები ან თვითონ შეადგინეთ ისინი.

შენიშვნა ჯგუფის ხელმძღვანელისთვის: ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვებს სახლში შავი სამუშაოსთვის ცოტას უხდიან. ბევრ ქვეყანაში ბავშვები ანაზღაურების გარეშე ეხმარებიან უფროსებს. იფიქრეთ იმაზე, რომ პირველი კითხვა შეესაბამებოდეს თქვენი ჯგუფის სიტუაციას.

ზოგმა ახალგაზრდამ შეიძლება ილაპარაკოს ძალადობაზე, რომელსაც იმ მომენტში განიცდის. განიხილეთ თავი 1, ნაწილი 3, სადაც აღწერილია, როგორ უნდა მიუდგეთ ასეთ შემთხვევას.

კითხვების ნიმუშები ინტერვიუსათვის

- რა სამუშაოს ასრულებთ შინ? გიხდიან თუ არა ამისათვის?
- რა სახის სამუშაოს ასრულებთ სახლის გარეთ? გიხდიან თუ არა ამისათვის?
- განსხვავდება თუ არა გოგონების სამუშაო ბიჭების სამუშაოსაგან? თუ განსხვავდება — რითი?
- განგიცდიათ თუ არა ოდესმე ძალადობა? (თუ პასუხი დადებითია, შეეკითხეთ სურს თუ არა თქვენს პარტნიორს ამაზე საუბარი, თუ არ სურს — არ დააძალოთ).

2. ინტერვიუების დასრულების შემდეგ სთხოვეთ ჯგუფს იმსჯელონ იმაზე, რაც ისწავლეს. ყველა მსმენელი უნდა შეეკითხოს თავის პარტნიორს, არის თუ არა ისეთი ინფორმაცია, რომლის გამხელაც მას არ სურს ჯგუფისათვის.

3. პარტნიორებს შეუძლიათ ისაუბრონ იმაზე, თუ რა ისწავლეს. ანგარიშების მოსმენისას ქაღალდის ფურცელზე ან დაფაზე შეადგინეთ ორნაირი სია და ერთ-ერთს მიაწერეთ შემდეგი:
   - სამუშაო, რომლის შესრულებაც ბავშვებს და ახალგაზრდებს შეუძლიათ (მაგალითად, ოჯახის საქმეში დახმარება, თუ ეს მას ხელს არ უშლის სწავლაში, გართობაში ან ზიანს არ აყენებს მის ჯანმრთელობას).
   - სამუშაო, რომელიც ბავშვებმა და ახალგაზრდებმა არ უნდა შეასრულონ (მაგალითად, სამუშაო, რომელიც საშიშია ჯანმრთელობისათვის და არ არის უსაფრთხო, ხელს უშლის მათ სკოლაში სიარულს ან მოითხოვს დიდ დროს მცირე ანაზღაურების სანაცვლოდ).

4. განიხილეთ ჯგუფთან:
   - რა არის ბავშვის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით თქვენი მოსაზრებების ორიენტირი — ბავშვის ასაკი თუ სამუშაოს უსაფრთხოება?

- რამდენად ჩვეულებრივია თქვენი საზოგადოებისათვის ბავშვების მიერ იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც მათ არ უნდა შეასრულონ?

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- ძალადობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად წაიკითხეთ „ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“ ან კიდევ ერთხელ გადახედეთ ძირითად პუნქტებს ამ თავის შესავალ ნაწილში.
- გაარკვიეთ, რა არის ნათქვამი „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“ ბავშვების მუშაობასთან დაკავშირებით (32-ე მუხლი).
- თუ გთხოვეს, გააკეთო საქმე, რომლის გაკეთებაც შენთვის არ არის ნებადართული, რას იზამ? გაითამაშეთ სცენა ამ თემაზე! გასათამაშებელი სცენების შესახებ მოსაზრებები მოცემულია მე-11 ღონისძიებაში.
- გამოიკვლიეთ, რა კანონები არსებობს თქვენს ქვეყანაში ბავშვის მუშაობასთან დაკავშირებით. რა ასაკიდან არის ნებადართული ბავშვების მუშაობა? რამდენი საათი დღეში? რა სახის სამუშაო? ლობირება გაუკეთეთ ცვლილებებს, რომლებიც თქვენი აზრით შესატანია არსებულ კანონმდებლობაში.

ღონისძიება 12: მომუშავე ბავშვების მონათხრობი

<u>რა არის მიზანი:</u>

- უფრო მეტი გავიგოთ იმ ძალადობის შესახებ, რომელსაც განიცდიან მომუშავე ბავშვები.
- ზოგ ბავშვს შეიძლება არ მოუნდეს ამ თემის განხილვაში მონაწილეობა, ან მხოლოდ წაიკითხოს ნაწყვეტები საკუთარი გამოცდილების სხვათა გამოცდილებასთან შესადარებლად.

<u>რა არის საჭირო</u>:

- ასლები დასარიგებელი მასალისა — *„მომუშავე ბავშვების მონათხრობი“*. შეგიძლიათ, ასევე, გამოიყენოთ 46-ე გვერდზე მოცემული ციტატები.
- ქაღალდის დიდი ფურცლები და მარკერები ან დაფა და ცარცი.
- დრო — 45 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. შეადგინეთ პატარა ჯგუფები. მიეცით თითოეულ ჯგუფს დასარიგებელი მასალის — *„მომუშავე ბავშვების მონათხრობი“*— ასლები.
2. დასარიგებელი მასალის ასლების წაკითხვის შემდეგ მათ შეუძლიათ იმსჯელონ იმის თაობაზე, თუ:
   - რა სახის ძალადობის საფრთხის წინაშე დგანან მომუშავე ბავშვები?
   - რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარ ძალადობას?

წაახალისეთ ბავშვები, რომლებსაც გამოცდილი აქვთ ძალადობა სამუშაო ადგილზე, რომ ისაუბრონ თავიანთ ისტორიებზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უხერხულად არ იგრძნობენ თავს.

შენიშვნა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის: ზოგმა ახალგაზრდამ შეიძლება ილაპარაკოს ძალადობაზე, რომელსაც იმ მომენტში განიცდის. განიხილეთ თავი 1, ნაწილი 3, სადაც აღწერილია, როგორ უნდა მიუდგეთ ასეთ შემთხვევას.

3. სთხოვეთ მთელ ჯგუფს, გამოთქვან აზრი ძალადობის სახეებისა და მათი ზეგავლენის შესახებ. დაწერეთ ეს ქაღალდის ფურცელზე ან დაფაზე.

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- მოიძიეთ ის ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ბავშვთა შრომის ან ბავშვთა მიმართ ძალადობის აღკვეთის საკითხებზე. შეხვდით მათ წარმომადგენლებს და იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ ჩაერთოთ სამუშაო ადგილზე ძალადობის წინააღმდეგ საქმიანობაში.

ფოტოასლი

მომუშავე ბავშვების მონათხრობი:

„თუ რამე გამიტყდებოდა ან რამეს ცუდად გავაკეთებდი, ფეხსაცმლით ან ქამრით მცემდნენ. მე არ შემეძლო სახლიდან გამოსვლა. როდესაც სადმე მიდიოდნენ, სახლში მკეტავდნენ. ერთხელ ჩემი ოჯახის წევრები მოვიდნენ ჩემს სანახავად, მაგრამ ჩემი უფროსი გვერდიდან არ მოგვცილებია და გამაფრთხილა, რომ თუ რაიმეს ვეტყოდი ჩემებს, უფრო მეტად მცემდა. ბოლოს, როდესაც დედაჩემი კიდევ მოვიდა, ვუთხარი: „თუ თან არ წამიყვან, გავიქცევი ან თავს მოვიკლავ.“ *შინამოსამსახურე, 14 წლის. მაროკო.*

„მე დილის 4 საათზე ვდგებოდი და ვიწყებდი აბრეშუმის ძაფის დართვას. სახლში მხოლოდ კვირაში ერთხელ მიშვებდნენ. მეძინა ფაბრიკაში ორ-სამ ბავშვთან ერთად. საჭმელს იქვე ვიმზადებდით და გვეძინა დაზგებს შორის. მეპატრონეს ბრინჯი მოჰქონდა ხოლმე ჩვენთვის და საფასურს ხელფასიდან გვიქვითავდა. დღე-ღამეში თორმეტ საათს ვმუშაობდით, ერთი საათი კი ვისვენებდით. თუ შეცდომას დავუშვებდი — ძაფს გავწყვეტდი — მცემდა. ხანდახან (მეპატრონე) დამამცირებელი სიტყვებით მომმართავდა და საქმესაც მიმატებდა.“ *ბავშვი, 11 წლის, მუშაობს 7 წლიდან. ინდოეთი.*

„პოლიცია ქრთამს გვთხოვს, გვგლეჯს ჩვენს ისედაც ცოტა ფულს და თუ უარს ვეტყვით, მუშაობის საშუალებას არ გვაძლევს. როცა მოეხასიათებათ, მძინარეებს წამოგვაგდებენ და გარეთ გვაგდებენ ხოლმე. ხან ვაგონებში გვკეტავენ, ეძახიან თავიანთ ამხანაგებს და „ცუდად გვექცევიან“. *ქუჩაში მომუშავე, 13 წლის. ბანგლადეში.*

„შვიდი წლის ასაკში მე ყოველ ღამე ვმუშაობდი, თან ვფიქრობდი, რომ ამაში მე ვიყავი დამნაშავე. პოლიცია ყოველთვის მდევნიდა, სოციალური მუშაკები კი გარყვნილს მეძახდნენ. მე მსხვერპლად იქ არავინ აღმიქვამდა.“ *პროსტიტუციით დაკავებული ბავშვი. კანადა.*

ღონისძიება 13: მომუშავე ბავშვების უფლებები

<u>რა არის მიზანი:</u>

- გავიგოთ, რამდენად შეესაბამება „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ რეალურ ცხოვრებას.

<u>რა არის საჭირო</u>:

- *„მომუშავე ბავშვების მონათხრობის“* ასლები — მასალები წინა ღონისძიებიდან; ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ წინა გვერდზე მოცემული ნაწყვეტები ბავშვების მონათხრობიდან.
- „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ ასლები (იხ. დანართი 1).
- ქაღალდის დიდი ფურცლები და მარკერები.
- დრო — 60 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. შეადგინეთ პატარ-პატარა ჯგუფები. თითოეულ ჯგუფს დაურიგეთ მასალა — *„მომუშავე ბავშვების მონათხრობი“* და „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მოკლე ვერსია. მიეცით დრო პირველი დოკუმენტის წასაკითხად.

2. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს დაასრულონ წინადადება: „შრომა და ძალადობა მის მიმართ ართმევს მომუშავე ბავშვს . . . უფლებას.” პასუხების მოსამზადებლად შეუძლიათ ჩაიხედონ „ბავშვის უფლებათა კონვენციაში“.

3. შეადგინეთ ამ უფლებების „ბლოკ-სქემები“, დაკავშირებული ერთმანეთთან. მაგალითად, ბავშვს, რომელიც ასრულებს სახიფათო სამუშაოს, არა აქვს დასვენებისა და გაჯანსაღების დრო. დასვენებისა და გაჯანსაღების გარეშე კი ირღვევა ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

განსხვავებული ვერსია — უფრო ახალგაზრდა ჯგუფებში შეიძლება გაკეთდეს პლაკატი თემაზე, თუ როგორ ართმევს ძალადობა მომუშავე ბავშვს რომელიმე უფლებას.

4. ღონისძიების დასრულების შემდეგ ჯგუფებს შეუძლიათ გამოაკრან თავიანთი პლაკატები და ბლოკ-სქემები.

5. განიხილეთ: რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ დაცული იყოს მომუშავე ბავშვის უფლებები თქვენს ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში.

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- არის თუ არა იმ საზოგადოებაში, სადაც თქვენ ცხოვრობთ, ადგილი აღნიშნული ბლოკ-სქემებისა და პლაკატების ჩამოსაკიდებლად, რათა საზოგადოებამ უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს მომუშავე ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით.

შეცვალეთ არსებული მდგომარეობა, იმოქმედეთ სამუშაო ადგილზე ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!

მთელ მსოფლიოში ახალგაზრდები იბრძვიან სამუშაო ადგილზე ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. თქვენც შეგიძლიათ ასე მოიქცეთ! ქვემოთ მოცემულია გარკვეული დამხმარე მასალა. საჭირო არ არის მთელი ამ მასალის გამოყენება. შეარჩიეთ ისეთი, რომელიც შეესაბამება თქვენი ჯგუფის ასაკობრივ დონესა და ინტერესებს.

- 1-ელი თავის 14-ე გვერდზე სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მოცემული კითხვები დაგეხმარებათ პროექტის შედგენაში.
- ქვემოთ ჩარჩოში მოცემულია „იდეები მოქმედებისათვის: ძალადობა ბავშვებზე სამუშაო ადგილზე“, რომელიც იძლევა იდეებს საქმიანობაში ჩართვასთან დაკავშირებით. უფრო მეტი მოსაზრება მოცემულია მე-8 თავში.
- მომდევნო გვერდზე — „მსოფლიოში განხორციელებული ზომები“ — მოცემულია შემოკლებული ისტორიები იმასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებენ სხვა ახალგაზრდები.
- მოკლე ისტორიების შემდეგ მოდის უფრო ვრცელი ისტორია, რომლის სახელწოდებაა „ძალადობა ბავშვებზე სამუშაო ადგილზე — ნიკარაგუა“. ეს შეიძლება გამოიყენონ იმ ახალგაზრდებმა, რომლებსაც სურთ უფრო დეტალურად იცოდნენ, თუ როგორ ხორციელდება სამოქმედო პროექტი.

მიეცით ჯგუფს საკმარისი დრო სამოქმედო გეგმის შესადგენად! ამას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე წიგნში აღწერილ სხვა ღონისძიებებს. კარგი იქნება, თუ გეგმის შედგენა გაგრძელდება ერთ მეცადინეობაზე უფრო მეტხანს, რამდენიმე დღეს ან კვირას. ეს მათ მისცემს საშუალებას დაფიქრდნენ იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს, ასევე მათი გადაჭრის გზებზე.

იდეები მოქმედებისათვის: ძალადობა ბავშვთა მიმართ სამუშაო ადგილას.

- იმუშავეთ დაბადების რეგისტრაციის კანონებზე — ზოგ ბავშვს არ შეუძლია წარმოადგინოს თავისი დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან არ შეუძლია დაადასტუროს, რომ ძალიან ახალგაზრდაა გარკვეული სახის სამუშაოს შესასრულებლად.
- დადგით პატარა სცენები იმ ძალადობის თემაზე, რომელიც ემუქრება მომუშავე ბავშვებს და წარმოუდგინეთ საზოგადოებას: იმსჯელეთ ამ საკითხებზე აუდიტორიასთან.
- დაუკავშირდით პროფკავშირებს, რათა გაარკვიოთ, თუ რას აკეთებენ ისინი ბავშვის შრომასთან და ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებით.
- გაარკვიეთ, ის პროდუქცია, რომლსაც თქვენ ყიდულობთ ხომ არ არის შექმნილი ბავშვების მიერ, მათთვის საზიანო პირობებში; მისწერეთ ამ პროდუქციის მწარმოებლებს, თუ თქვენი აზრით რა უნდა გააკეთონ მომუშავე ბავშვების უფლებების დასაცავად.
- ლობირება გაუწიეთ საერთაშორისო საგანმანათლებლო კანონმდებლობას ყველა ბავშვისათვის.
- იმუშავეთ ადგილობრივად მოქმედ ბავშვთა კავშირებთან ან უფროსების ორგანიზაციებთან, რომლებიც დაეხმარებიან მომუშავე ბავშვებს შეაგროვონ და გამოაქვეყნონ ბავშვების გამოცდილების ამსახველი ფაქტები. მიიღეთ რჩევები, თუ როგორ უნდა იყოთ დაცული თქვენც და ბავშვებიც ამ ფაქტების გამოქვეყნებისას.

ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ქალაქებისაგან

ქვემოთ მოცემულია მაგალითები იმასთან დაკავშირებით, თუ რას აკეთებენ ახალგაზრდები მომუშავე ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში.

ეგვიპტე: ეგვიპტეში სკაუტებმა იუნისეფთან თანამშრომლობით შექმნეს პროექტი ალექსანდრიის დასავლეთ რაიონში მომუშავე ბავშვებისათვის. ისინი სთავაზობენ მათ საკვებს, საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებას, წერა-კითხვის სწავლებას, ჯანმრთელობის დაცვას და კულტურულ ღონისძიებებს. ასევე, ატარებენ სემინარებს უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით იმ უფროსებისათვის, რომლებიც იყენებენ ბავშვების შრომას. ეს პროექტი შეეხო თითქმის 2000 ადამიანს და მისი მოდელი გავრცელდა არაბეთის რეგიონში.

ნეპალი: შინამოსამსახურეებად მომუშავე ბავშვებმა ჩამოაყალიბეს კლუბები, რათა უკეთ გასცნობოდნენ სექსუალური ძალადობის საკითხს. ისინი კვირაში ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს, რათა იმსჯელონ თავიანთ უფლებებზე, შიდსის პრობლემაზე და თავის დაცვის საკითხებზე. ისინი ბავშვებზე სექსუალური ძალადობის თემაზე აწყობენ სპექტაკლებს ქუჩებში და ლექციებს სკოლებში. ისინი ასევე არწმუნებენ მთავრობას, რომ საჭიროა კანონმდებლობა მათ დასაცავად. კლუბებმა მათ მისცა თვითდაჯერებულობა, გამოხატონ საკუთარი აზრი და დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. ზოგ დამქირავებელს ახლა უფრო აქვს სურვილი, მისცეს თავის შინამოსამსახურეს განათლებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საშუალება.

ნიკარაგუა: „მომუშავე ბავშვებისა და მოზარდების ეროვნული მოძრაობა“ (NATRAS) მუშაობს ბავშვებსა და მოზარდებზე სექსუალური ძალადობის თავიდან აცილების საკითხებზე. NATRAS-მა შეიმუშავა და განახორციელა კვლევა, თუ რამდენად ხშირად აქვს ადგილი სექსუალურ ძალადობას ბავშვებზე ქალაქში და სოფლად. მათ შეიმუშავეს საკომუნიკაციო მასალები, ატარებდნენ პრეს-კონფერენციებს და ამ საკითხთან დაკავშირებით ხვდებოდნენ ადგილობრივი მმართველი ორგანოების წარმომადგენლებს. მათმა კამპანიებმა აამაღლა ინფორმირებულობის დონე, შექმნა პარტნიორობისათვის საჭირო გარემო ადგილობრივ მთავრობასა და ორგანიზაციებს შორის და განამტკიცა ახალგაზრდების შესაძლებლობა, დაიცვან თავი ძალადობისაგან (ამ ისტორიის უფრო დეტალურ ვერსიას შეგიძლიათ გაეცნოთ მომდევნო გვერდზე).

სენეგალი: „აფრიკელი მომუშავე ბავშვებისა და ახალგაზრდების მოძრაობა“ (AMWCY) არის მომუშავე ბავშვების ორგანიზაციათა ქსელი. AMWCY-ისთვის მომუშავე ბავშვების უფლებების დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა საინფორმაციო საშუალებების გამოყენება. ისინი ასწავლიან მომუშავე ბავშვებს კომპიუტერისა და რადიოს მოხმარებას. წერილების, ელექტრონული ფოსტის, კომპიუტერული საუბრების, ვებგვერდებისა და საინფორმაციო ბიულეტენების საშუალებით ფართო მასებთან ერთად განიხილავენ ბავშვთა პრობლემებს. დებატების, რადიო და სატელევიზიო პროგრამების მეშვეობით კი გაცილებით მეტ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას.

თუ თქვენთვის ცნობილია ფაქტები, რომ თქვენს ქვეყანაში ახალგაზრდები რაიმე ფორმით მოქმედებენ სამუშაო ადგილას ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ, გააცანით ჯგუფს!

ძალადობა ბავშვებზე სამუშაო ადგილას: ნიკარაგუა

„მომუშავე ბავშვებისა და მოზარდების ეროვნული მოძრაობა“ (NATRAS) არის ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებზე ნიკარაგუაში. 2003 წელს NATRAS-მა დაიწყო პროექტი ბავშვებისა და მოზარდების მიმართ სექსუალური ძალადობის აღმოფხვრისა და თავიდან აცილების საკითხზე, განსაკუთრებით — მომუშავე ბავშვებთან.

ქვემოთ ჩამოთვლილია NATRAS-ის ზოგი საქმიანობა:

- ქალაქსა თუ სოფელში მცხოვრები მომუშავე ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის სიხშირის საკვლევი გეგმის შედგენა და კვლევის განხორციელება; ამგვარი კვლევა პირველად ნიკარაგუაში ჩატარდა.
- საკომუნიკაციო მასალების შექმნა და გავრცელება სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით.
- პრეს-კონფერენციების მოწყობა, როგორც სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ნაწილი.
- ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა.
- სემინარების ჩატარება სექსუალური ძალადობის თავიდან აცილების საკითხზე.
- სამუშაოსთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლის მიზნით „პასტორთა ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრის“ (CEIPA) წარმომადგენლებთან შეხვედრა.

NATRAS-ის მიერ განხორციელებული ეროვნული კამპანიის შედეგად ქვეყნის მასშტაბით გაიზარდა ინფორმირებულობის დონე მომუშავე ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობის საკითხებზე. მან დაანახა საზოგადოებას, რომ აუცილებელია ამგვარი ძალადობის პრევენცია და არა მის შედეგად მიყენებული ზიანის გამოსწორება. NATRAS-მა დაამყარა პარტნიორული ურთიერთობა როგორც ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, ისე ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რომლებმაც აიღეს ვალდებულება მონაწილეობა მიეღოთ პროექტში და თავიანთ საქმიანობაში ყურადღება გაემახვილებინათ სექსუალური ძალადობის პრევენციაზე.

პროექტის განხორციელების შედეგად ბავშვებს გაუძლიერდათ საკუთარი ღირსების გრძნობა და იმის რწმენა, რომ თვითონ შეუძლიათ დაიცვან თავი სექსუალური და სხვა სახის ძალადობისაგან. ახალგაზრდებმა ასევე დაინახეს, რომ მათ შეუძლიათ გონივრულად ითანამშრომლონ მთავრობის ხელმძღვანელობასთან და მონაწილეობა მიიღონ გადაწვეტილებების მიღებაში, წარუდგინონ მათ წინადადებები მდგომარეობის მოსაგვარებლად, გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი, შეისწავლონ კომუნიკაციის საშუალებები და გაავრცელონ ინფორმაცია როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფო დონეებზე.

NATRAS-ი აგრძელებს მუშაობას მიზნის მისაღწევად, რაც გულისხმობს მომუშავე ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ფაქტების შემცირებას ცამეტ სხვადასხვა მუნიციპალურ ცენტრში.

წყარო: *„ბავშვების ძალისხმევა გოგონებისა და ბიჭების მიმართ ძალადობის აღსაკვეთად“, Save the Children (2005).*

დაფიქრდით და უპასუხეთ:

რატომ არის მნიშვნელოვანი ჯერ ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევის ჩატარება და შემდეგ სხვა სახის საქმიანობის დაწყება?
რა სარგებლობა შეიძლება მოუტანოს ახალგაზრდებს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან და უფროსების ორგანიზაციებთან მუშაობამ?

თავი 7: ძალადობა ბავშვთა მიმართ საზოგადოებაში

რა სახის ძალადობას აქვს ადგილი ბავშვთა მიმართ საზოგადოებაში?

- **ძალადობა ბავშვებსა და სხვა ახალგაზრდებს შორის**: ეს უფრო ხშირად ხდება იმ საზოგადოებაში, სადაც სიღარიბეა, უმუშევრობის დონე მაღალია, ხოლო საცხოვრებელი პირობები — ცუდი. როდესაც ბავშვებსა და ახალგაზრდებს არა აქვთ არანაირი მიზანი, მათ შეიძლება თავიანთი უკმაყოფილება გამოხატონ ჩხუბით ან სხვა ძალადობრივი ქმედებით. ხშირად ამგვარ ქმედებას ამძიმებს ნარკოტიკები და ალკოჰოლი. საკუთარ თავში „მამაკაცობის“ აღქმამ, შეიძლება ბიჭებსა და ახალგაზრდა კაცებს ძალადობისაკენ უბიძგოს.

„საზოგადოება“ არის ბავშვის სოციალური გარემო. აქ ხვდებიან, როდესაც გამოდიან სახლიდან, ოჯახიდან, სკოლიდან და სხვა დაწესებულებებიდან, რომლებსაც აქვთ მათზე პასუხისმგებლობა.

- **ძალადობა ბანდების მხრიდან** — როდესაც ბავშვები/ახალგაზრდები არ გრძნობენ თავს თავიანთი საზოგადოების წევრებად ან ეშინიათ ამ საზოგადოების, შეიძლება მხარდაჭერისათვის მიმართონ ბანდებს. ამგვარი ბანდები ხშირად ებრძვიან ერთმანეთს, ხან კი ბრძოლა ხდება ბანდის შიგნითაც — ლიდერობის მოსაპოვებლად.

- **სექსუალური ძალადობა საზოგადოებაში** — ეს შეიძლება გამოიხატებოდეს შევიწროვებით, უხამსი შეხებით, სქესობრივი კავშირის დაძალებით, რომელშიც ზოგჯერ ფულსაც იხდიან. უფრო ხშირად სექსუალურ ძალადობას მიმართავს პირი, რომელსაც ბავშვი ენდობა, მაგალითად, სპორტის მწვრთნელი, რელიგიური ლიდერი, პოლიციის თანამშრომელი, მასწავლებელი ან დამქირავებელი, თუმცა, ხშირად ეს არის უცნობი ადამიანი.

- **ძალადობა პაემანის დროს** — ბევრი ახალგაზრდა ამბობს, რომ მას სცემა, გაარტყა ან განზრახ ფიზიკური ზიანი მიაყენა მეგობარმა ბიჭმა ან მეგობარმა გოგონამ.

- **ძალადობა ქუჩის ბავშვების მიმართ** — ქუჩის ბავშვებს დამცველი არავინ ჰყავთ და ითვლებიან პრობლემად იმ საზოგადოებისათვის, სადაც ისინი ცხოვრობენ. პოლიცია ცდილობს განდევნოს ისინი ქუჩებიდან. მათ სცემენ, აწამებენ, ისინი განიცდიან სექსუალურ ძალადობას, ხშირია მათი „გაუჩინარება“.

- **ტურიზმი სექსისათვის** — ზოგი ბავშვი მუშაობს ისეთ ადგილებში, სადაც ტურისტები ჩადიან ბავშვებთან და ახალგაზრდებთან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად.

- **ძალადობა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა ბანაკებში** — ამგვარ ბანაკებში ბავშვები და ახალგაზრდები ხშირად მშობლების გარეშე ცხოვრობენ. თუმცა, ბანაკები მშობლების გვერდითაც არ არის უსაფრთხო ბავშვების გასაზრდელად.

- **ტრეფიკინგი და მოტაცება** — ბავშვები ხშირად მიჰყავთ ოჯახებიდან, რათა ისინი გამოიყენონ დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად, პროსტიტუციისათვის ან დააქორწინონ საკუთარი ნების გარეშე. იმისათვის, რომ ბავშვები ან ახალგაზრდები მოიქცნენ ისე, როგორც ეუბნებიან, გამოიყენება ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობა.

- **ძალადობა საინფორმაციო საშუალებებისა და ინტერნეტის მეშვეობით** — ბავშვები ხედავენ ყველა სახის ძალადობას ტელევიზიით, ფილმებში, ვიდეოსა და ინტერნეტში, რაც

ხშირად წარმოდგენილია, როგორც ნორმალური მოვლენა ან გასართობი. ბავშვებს ხშირად იყენებენ პორნოგრაფიისათვის, ისინი მოტყუებით გაჰყავთ სახლიდან ინტერნეტით გაცნობილ პირებს, რომლებიც მათ მეგობრებად აჩვენებენ თავს. ბავშვები ხშირად თვითონ იყენებენ მობილურ ტელეფონებს ან ელექტრონულ ფოსტას სხვა ბავშვების ან ახალგაზრდების მუქარის, დაცინვის ან შეშინების მიზნით.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“.*

ბავშვების მონათხრობი:

„რადგან ბიჭები ვართ, ჩვენგან მოელიან ოჯახის ღირსების დაცვას. ეს გვაიძულებს ჩავებათ ჩხუბში, რაც სულაც არ მოგვწონს.“ *ბიჭი, 13 წლის. სამხრეთი აზია.*

„ორი ბავშვი ჩხუბობდა და ერთ-ერთმა თოფი გამოიტანა . . . იმის გამო, რომ გარშემო ბევრი ხალხი იყო, მან ვერ გაისროლა, მაგრამ ვფიქრობ, არავინ რომ არ ყოფილიყო, გაისროდა.“ *ბიჭი, 11 წლის. ჩრდ. ამერიკა.*

„ქუჩაში ცხოვრება მძიმეა, ყოველ წუთში განვიცდით ძალადობას სამხედროების მხრიდან. ისინი მოდიან ნებისმიერ დროს, ღამით, 10 საათის შემდეგ. გვცემენ მუშტებითა და წიხლებით. მუდმივად მოითხოვენ ჩვენგან ფულსა და სხვა ნივთებს, რომლებიც შეუძლიათ გაყიდონ, მაგალითად — მობილურ ტელეფონებს. თავის გადარჩენა მხოლოდ გაქცევითაა შესაძლებელი. მთელი დღე 100 ფრანკისათვის (0.20 აშშ დოლარი) რომ ვიმუშაოთ, მთლიანად შეუძლიათ წაგვართვან.“ *ობოლი ბიჭი, 14 წლის. დასავლეთი და ცენტრალური აფრიკა*

„ისინი მათ ნარკოტიკებს აძლევენ, რომ გაანარკომანონ. შემდეგ სცემენ, აუპატიურებენ, აბუჩად იგდებენ და ემუქრებიან. მათ მოჰყავთ ისინი ოჯახებიდან და საყვარლებად იხდიან, ითხოვენ მათგან ფულს და შემდეგ კლავენ.“ *გოგონები. კარიბის ქვეყნები.*

„მეშინია სკოლაში წასვლა. მეშინია მოტაცების და იმ ბიჭებისაც, ვინც გოგონებს აწვალებს, მაგრამ მშობლებს ვერაფერს ვეუბნები, რადგან სკოლაში აღარ გამიშვებენ.“ *გოგონა, 8 წლის. სამხრეთი აზია.*

„ტელევიზია ცუდ ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე. ისინი ვერ ხვდებიან, რომ რასაც უყურებენ, ცუდია და არ არის მისაბაძი . . . პირიქით — ისინი ფიქრობენ, რომ ძალადობით ბევრი რამის მოგვარებაა შესაძლებელი.“ *ახალგაზრდა. ევროპა და ცენტრალური აზია.*

ღონისძიება 14: მუშტი

<u>რა არის მიზანი</u>

- შეიძლება გამოვიყენოთ როგორც აქტივიზატორი — ეს სახალისოა!
- ეს მიახვედრებს ადამიანებს, თუ რატომ ითვლება ხშირად ძალადობა „ნორმალურ“ მოვლენად.

<u>რა არის საჭირო?</u>

- სივრცე.
- დრო — 5 წუთი, დისკუსიებისათვის საჭიროა უფრო მეტი დრო.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს იპოვონ პარტნიორი. წყვილთაგან ერთ-ერთს სთხოვეთ ასწიოს ხელი და მუშტად შეკრას. პარტნიორის დავალებაა გახსნას ეს მუშტი. ამის გასაკეთებლად მიეცით ერთი წუთი.

2. შეწყვიტეთ პროცესი და შეეკითხეთ იმათ, ვისაც მუშტი ჰქონდა შეკრული, თუ რას აკეთებდა მათი პარტნიორი. აღმოაჩენთ, რომ უმეტეს შემთხვევაში ისინი ცდილობდნენ ფიზიკური ძალის გამოყენებით გაეხსნათ მათი მუშტი, თუმცა, შეეძლოთ უბრალოდ ეთხოვათ ამის გაკეთება.

3. განიხილეთ:
   - რას გეუბნებათ ეს ფაქტი საზოგადოებაში ძალადობაზე?
   - პრობლემის გადასაჭრელად რატომ მიმართავს ბევრი ჩვენგანი უპირველეს ყოვლისა ფიზიკური ძალის გამოყენებას?
   - როგორ ფიქრობთ, ამ საზოგადოებაში ფართოდ არის გავრცელებული ძალადობის გამოყენება?

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- გადახედეთ ადგილობრივ გაზეთებს — თქვენს საზოგადოებაში ძალადობის ფაქტების რამდენი შემთხვევაა აღწერილი? პრობლემების არაძალადობრივი გზით მოგვარების რამდენი შემთხვევაა აღწერილი? რას ფიქრობთ ამაზე?
- გამოიყენეთ 52-ე გვერდზე მოცემული ციტატები საზოგადოებაში ძალადობის ტიპების გასარჩევად.

ღონისძიება 15: გასაუბრება წრეში

<u>რა არის მიზანი</u>

- ეს ყველას აძლევს ერთმანეთის მოსმენის საშუალებას.
- სწრაფად ხდება სხვადასხვა აზრის გამოთქმა.

<u>რა არის საჭირო</u>:

- სივრცე.
- ქაღალდის დიდი ფურცლები და მარკერები ან დაფა და ცარცი.
- დრო — 30 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. სთხოვეთ ჯგუფს, გაითვალონ პირველი-მეორეზე. სთხოვეთ ყველა „პირველს“ დასხდნენ წრიულად, სახით გარეთ. სთხოვეთ ყველა „მეორეს“ დასხდნენ მათ გარშემო, სახით მათკენ.

2. აუხსენით, რომ თქვენ დასვამთ კითხვას საზოგადოებაში ძალადობასთან დაკავშირებით. თითოეული წყვილის ცალი პასუხს გასცემს კითხვას. შემდეგ გარეთა წრეში მყოფი პირები გადაინაცვლებენ ერთი ადგილით მარცხნივ (საათის ისრის მიმართულებით), ისე, რომ მოხვდნენ ახალი პარტნიორის პირისპირ. შემდეგ ისინი მიიღებენ ახალ კითხვას გასარჩევად. დასვით რამდენიმე კითხვა. ჩარჩოში მოცემულია ზოგი კითხვის ნიმუში; თქვენ თვითონაც შეგიძლიათ შეადგინოთ კითხვები.

შენიშვნა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის: ზოგმა ახალგაზრდამ შეიძლება ილაპარაკოს ძალადობაზე, რომელსაც იმ მომენტში განიცდის. განიხილეთ თავი 1, ნაწილი 3, სადაც აღწერილია, როგორ უნდა მიუდგეთ ასეთ შემთხვევას.

3. შეწყვიტეთ ღონისძიება და შეეკითხეთ ჯგუფის წევრებს, აქვთ თუ არა რაიმე მოსაზრება საზოგადოებაში ძალადობასთან დაკავშირებით, რომლის გაზიარებაც უნდათ ჯგუფისათვის. დაწერეთ ამგვარი მოსაზრებები ქაღალდის დიდ ფურცელზე.

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- ურჩიეთ ჯგუფს, საზოგადოებაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად წაიკითხონ *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“* ან ხელახლა გადახედონ ამ თავის შესავალი ნაწილის ძირითად პუნქტებს.
- ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციიდან მოიწვიეთ ვინმე, ვინც ლექციას წაუკითხავს ჯგუფს საზოგადოებაში ძალადობის მიზეზებზე. იმსჯელეთ ერთად იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ძალადობის აღსაკვეთად.

კითხვების ნიმუშები

- რა ადგილზე გრძნობთ თავს საზოგადოებაში დაცულად? რატომ?
- რომელია ის ადგილები საზოგადოებაში, სადაც თავს ვერ გრძნობთ დაცულად? დაასახელეთ მიზეზები.
- თქვენი აზრით, რომელია ყველაზე საშიში ძალადობის ფორმები თქვენს საზოგადოებაში?
- ახსენით რატომ. თქვენი აზრით, რა არის ძალადობის მიზეზები თქვენს საზოგადოებაში?
- როგორ ფიქრობთ, რა სახის ღონისძიებებია საჭირო თქვენს საზოგადოებაში ძალადობის აღმოსაფხვრელად?

ღონისძიება 16: გაარკვიეთ თვითონ — საინფორმაციო საშუალებებიდან მომდინარე ძალადობა

<u>რა არის მიზანი</u>

- ჯგუფი ჩაერთოს კვლევაში.
- მივცეთ ადამიანებს საშუალება, იფიქრონ ღონისძიებათა განხორციელების საშუალებებზე.

ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ქალადოებისაგან

<u>რა არის საჭირო</u>:

- ქაღალდი და ფანქარი.
- დრო — სხვადასხვა.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. „ძალადობის კვლევაში“ შეგროვებულია ინფორმაცია ბავშვთა ცხოვრებაში ძალადობის შესახებ. ინფორმაციის შეგროვების პროცესში შეიძლება ახალგაზრდებიც იღებდნენ მონაწილეობას. ჰკითხეთ ჯგუფს, რამდენად ჩვეულებრივად მიაჩნიათ ახალგაზრდებს საინფორმაციო საშუალებების მიერ ძალადობის ფაქტების გადმოცემა. ამ საინფორმაციო საშუალებებში შეიძლება იგულისხმებოდეს ჟურნალები ან ბულვარული ლიტერატურა ახალგაზრდებისათვის, სატელევიზიო პროგრამები, რადიოპროგრამები, პოპულარული მუსიკა ან ფილმები.

2. საკვლევად ამოირჩიეთ ერთი სახის საინფორმაციო საშუალება (შესაძლოა, სხვადასხვა ჯგუფმა საინფორმაციო საშუალებების სხვადასხვა სახეზე იმუშაოს). პატარა ჯგუფებში შეადგინეთ კვლევის სქემა, რომელიც ამგვარი კითხვებით დაგეხმარებათ ინფორმაციის შეგროვებაში:
   - რა სახის ძალადობას აჩვენებენ?
   - რა სიხშირით ხდება ძალადობის აქტების ან ძალადობასთან დაკავშირებული სიტყვების გამოყენება?
   - ვინ არის პასუხისმგებელი ამგვარ ძალადობაზე (გოგონები თუ ბიჭები? ქალები თუ კაცები? მდიდრები თუ ღარიბები?)?

სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამების მიმოხილვის ფორმა მოცემულია მომდევნო გვერდზე. შესაძლებელია მისი გადაკეთება რადიოპროგრამებისათვის, ლიტერატურისათვის და ა.შ.

3. შეაგროვეთ ინფორმაცია!

4. მიღებული შედეგები მოახსენეთ ჯგუფს. ჯგუფმა შეიძლება მოინდომოს მიღებული ინფორმაციის თავმოყრა ცხრილების ან გრაფიკული გამოსახულების სახით.

5. განიხილეთ: ძალადობის რა სტერეოტიპებია წარმოდგენილი საინფორმაციო საშუალებების მიერ, გენდერული და ეთნიკური სტერეოტიპების ჩათვლით. რა ზეგავლენას ახდენს საინფორმაციო საშუალებების მიერ წარმოდგენილი ძალადობა ახალგაზრდებზე? საზოგადოებაზე? წარმოდგენილია თუ არა როდისმე ძალადობა, როგორც სასაცილო ქმედება? რა ზეგავლენას ახდენს ეს ახალგაზრდების აზრზე ძალადობის შესახებ?

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- აღწერეთ ალტერნატიული, არაძალადობრივი სცენები თქვენ მიერ შესწავლილი პროგრამებისათვის.
- წარუდგინეთ თქვენი აღმოჩენები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საზოგადოებრივ ჯგუფებს, მშობლებს, სკოლის თანამშრომლებს ან ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს. სთხოვეთ მათ იმსჯელონ იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს საინფორმაციო საშუალებების მიერ წარმოდგენილ ძალადობასთან დაკავშირებით.
- მისწერეთ საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს, ან ადგილობრივ ტელევიზიას/რადიოსადგურებს, ანდა კინოთეატრებს და გააგებინეთ თქვენი აზრი მათ მიერ დემონსტრირებული ძალადობის შესახებ.

ფოტოასლი

განხილვის ფორმის ნიმუში: ტელევიზიით გადაცემული ძალადობა

სატელევიზიო პროგრამის სახელწოდება:.....

პროგრამის ხანგრძლიობა: .....

როდის ნახეთ (თარიღი)	ძალადობის ტიპი	რა სიხშირით ხდებოდა ძალადობა?	ვინ სჩადიოდა ძალადობას (ბიჭი/გოგო, კაცი/ქალი, მდიდარი/ღარიბი)?

შეცვალეთ არსებული მდგომარეობა,
იმოქმედეთ საზოგადოებაში ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ!

ახალგაზრდები მთელ მსოფლიოში მუშაობენ საზოგადოებაში ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე — ეს თქვენც შეგიძლიათ! აქ მოცემულია მასალა თქვენ დასახმარებლად, თუმცა არ დაგჭირდებათ მისი მთლიანად გამოყენება — შეარჩიეთ მხოლოდ ის, რომელიც ეფექტური იქნება თქვენი ჯგუფის ასაკობრივი დონისა და ინტერესებისათვის.

- პროექტის შედგენაში თქვენ დაგეხმარებათ 1-ელი თავის 14-ე გვერდზე სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მოცემული კითხვები.
- „იდეები მოქმედებისათვის“: ქვემოთ მოცემულ ჩარჩოში — „ძალადობა ბავშვის მიმართ საზოგადოებაში“ — მითითებულია ის საშუალებები, რომლებიც დაგეხმარებათ საქმიანობის დაწყებაში. დამატებითი იდეები მოცემულია მე-8 თავში.
- მომდევნო გვერდზე იხილავთ თავს — „ძალადობის წინააღმდეგ მიღებული ზომები მთელ მსოფლიოში“ — რომელშიც მოცემულია მოკლე ისტორიები, თუ როგორ მოქმედებენ ახალგაზრდები სხვა ქვეყნებში.
- მოკლე ისტორიებს მოჰყვება უფრო გრძელი ისტორია, რომლის სახელწოდებაა „ძალადობა ბავშვთა მიმართ საზოგადოებაში — ინდოეთი“. ეს შეიძლება გამოიყენონ ახალგაზრდებმა, რომლებსაც დეტალურად აინტერესებთ, როგორ ხორციელდება პროექტი.

მიეცით ჯგუფს საკმარისი დრო სამოქმედო გეგმის შესადგენად! ამას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე წიგნში აღწერილ სხვა ღონისძიებებს. კარგი იქნება, თუ გეგმის შედგენა გაგრძელდება ერთ მეცადინეობაზე უფრო მეტხანს, რამდენიმე დღეს ან კვირას. ეს მათ მისცემს საშუალებას დაფიქრდნენ იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს, ასევე მათი გადაჭრის გზებზე.

იდეები მოქმედებისათვის: ძალადობა ბავშვებზე საზოგადოებაში

- ითანამშრომლეთ ახალგაზრდების პრობლემებზე მომუშავე ადგილობრივ ორგანიზაციებთან გამაჯანსაღებელი ზონის, საზაფხულო ბანაკების ან ახალგაზრდული ცენტრების შესაქმნელად თქვენს საზოგადოებაში, რათა ახალგაზრდებს ჰქონდეთ წასასვლელი ადგილი, სადაც ერთად იქნებიან და ერთად შეძლებენ რამის გაკეთებას. იგულისხმება საჭირო უნარ-ჩვევების შეძენა და მისი გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითად, კონფლიქტების გადასაჭრელად, სექსთან დაკავშირებულ ურთიერთობებში გასარკვევად და ბიჭებსა და გოგონებს შორის პატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.
- იპოვეთ ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ბავშვებთან და დაეხმარეთ მას მცირეწლოვანი ბავშვების სასწავლო ან დღის განმავლობაში მზრუნველობის ცენტრის შექმნაში, რათა მშობლებს არ მოუხდეთ ბავშვების სამსახურში წაყვანა, სადაც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ შესაძლო ძალადობის ან რაიმე საფრთხის წინაშე.
- აწარმოეთ ახალგაზრდული ვებგვერდების მონიტორინგი, სადაც შეიძლება განთავსებული იყოს ძალადობის ამსახველი ან პორნოგრაფიული მასალა. ამის შესახებ შეტყობინება გაგზავნეთ მისამართზე: www.cybertipline.com
- ესაუბრეთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელ პირებს ბავშვთა საბჭოების ჩამოყალიბების შესახებ ან სხვა საშუალებებზე, რომლებიც დაეხმარება ახალგაზრდებს გაუზიარონ თავიანთი შეხედულებები საზოგადოებას.
- ჩამოაყალიბეთ ახალგაზრდების სამუშაო ჯგუფი და ითანამშრომლეთ მასთან ან სხვა ორგანიზაციასთან, რომელიც შემოგთავაზებთ ახალგაზრდების ბანდებში გაერთიანების ალტერნატივას.

მოქმედება ძალადობის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში:
ძალადობა ბავშვთა მიმართ საზოგადოებაში

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი მთელ მსოფლიოში საზოგადოებაში ძალადობის წინააღმდეგ ბავშვების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ:

ინდოეთი: ინდოეთის ერთ პატარა სოფელში, ნანდროლში, ალკოჰოლიზმი წარმოადგენდა მთავარ პრობლემას. სკოლაში ან სამუშაოდ მიმავალ ბავშვებს ეშინოდათ მთვრალი უფროსების, რომლებსაც შეეძლოთ მათზე ძალა ეხმარათ ან დამუქრებოდნენ. „ბხიმა სანგამ“ (მომუშავე ბავშვთა კავშირი) აღწერა და წარუდგინა ეს პრობლემები ადგილობრივ ადმინისტრაციას, სადაც მითითებული იყო, რომ ბავშვები სახლებშიც არ იყვნენ დაცული ძალადობისაგან. მიუხედავად ამისა, უფროსებმა უარი თქვეს ზომების მიღებაზე. ბავშვებმა გადაწყვიტეს მოეპოვებინათ უფრო მეტი ინფორმაცია. ერთი კვირის განმავლობაში ისინი აგროვებდნენ ალკოჰოლური სასმელების ცარიელ პაკეტებს მაღაზიების გარშემო და გამოითვალეს მასზე დახარჯული ფულის რაოდენობა. მიღებული მონაცემები მათ წარუდგინეს საზოგადოების წარმომადგნელებს, რომლებიც გაოცებულნი დარჩნენ შედეგებით და მოსთხოვეს ხელმძღვანელობას, მიეღოთ ზომები. დღეისათვის ნანდროლში აღარ არის არც ერთი მაღაზია, სადაც ალკოჰოლური სასმელები იყიდება *(ეს ისტორია დაწვრილებით არის აღწერილი მომდევნო გვერდზე).*

ნეპალი: გოგონებმა და ახალგაზრდა ქალებმა, რომლებიც თავი დააღწიეს პროსტიტუციას, ჩამოაყალიბეს თავიანთი ორგანიზაცია — „შაკტი შამუჰა“, რათა მხარი დაეჭირათ მათ ბედქვეშ მყოფი სხვა გოგონებისათვის, მიეცათ მათთვის განათლება და ჩამოეყალიბებინათ უნარ-ჩვევები, რათა შეძლებოდათ ღირსეულად ეცხოვრათ და საკუთარი შრომით მიეღოთ შემოსავალი. ისინი ასევე მუშაობენ იმ გოგონებთან და ახალგაზრდა ქალებთან, რომლებიც ცხოვრობენ ღარიბთა კვარტლებში ან მუშაობენ ხალიჩების ფაბრიკებში, რათა დაიცვან ისინი ტრეფიკინგისაგან.

რუმინეთი: ახალგაზრდები თანამშრომლობდნენ რუმინეთის “Save the Children”-თან ეროვნული და რეგიონალური ბროშურების გამოსაცემად, რომლებსაც ერთი სახელწოდება აქვთ — „ბავშვები ამბობენ — **არა** ძალადობას“. ბროშურებში წარმოდგენილია ბავშვების მოსაზრებები ძალადობასთან დაკავშირებით. ბროშურების შესაქმნელად გამოიკითხენ ახალგაზრდები, რათა გაეგოთ მათი აზრი ძალადობის შესახებ; გამოიყენეს კითხვარები და კონკრეტულ შემთხვევათა გარჩევის მეთოდი, შეირჩა სპეციალური ჯგუფები. ამან საშუალება მისცა ბავშვებს სხვებისათვის გაეზიარებინათ საკუთარი აზრები და წარმოედგინათ ახალი მოსაზრებები ძალადობის აღკვეთასთან დაკავშირებით.

ვენესუელა: ახალგაზრდულმა ჯგუფმა (CECODAP, საზოგადოებრივი სასწავლო ცენტრები) აღმოაჩინა, რომ პოპულარულ ახალგაზრდულ ვებგვერდს კავშირი ჰქონდა პორნოგრაფიულ ვებგვერდებთან. მოხალისეებმა განახორციელეს ვებგვერდის მონიტორინგი იმის დასადგენად, თუ რა სიხშირით იყენებდნენ ახალგაზრდები ამ ვებგვერდს. შედეგები მათ წარუდგინეს ამ საკითხით დაინტერესებულ სამთავრობო ორგანიზაციას, რის შემდეგადაც აღნიშნულ ვებგვერდს ჩამოსცილდა პორნოგრაფიული ხაზი. CECODAP-ი ამჟამად ატარებს სასკოლო სემინარებს ინტერნეტის უსაფრთხოების საკითხებზე.

თუ თქვენთვის ცნობილია ფაქტები იმასთან დაკავშირებით, რომ ახალგაზრდები თქვენს ქვეყანაში ახორციელებენ რაიმე ღონისძიებას საზოგადოებაში ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, გააცანით ჯგუფს!

ძალადობა ბავშვებზე საზოგადოებაში:
ინდოეთში განხორციელებული ზომები

ალკოჰოლიზმი წარმოადგენდა მთავარ პრობლემას ნანდროლში, ინდოეთის ერთ პატარა სოფელში. არაკი, ადგილობრივად დამზადებული სასმელი, იყიდებოდა არა მარტო ლიცენზირებულ მაღაზიებში, არამედ მას ყიდდნენ ბოსტნეულისა და პროდუქტების გამყიდველები, დაატარებდნენ ველოსიპედებით და იყიდებოდა ხეებქვეშ. სკოლაში ან სამუშაოდ მიმავალ ბავშვებს ეშინოდათ მთვრალი უფროსების, რომლებსა შეეძლოთ მათზე ძალა ეხმარათ ან დაეშინებინათ ისინი.

The Panchayat is shocked. It has promised to help children in their fight against alcoholism

„ბხიმა სანგას“ (მომუშავე ბავშვთა კავშირი) მიერ შექმნილმა სოფლის ბავშვთა საბჭომ, რომლის ზრუნვის საგანსაც წარმოადგენდა მომუშავე ბავშვთა პრობლემები, წარუდგინა ადგილობრივ ადმინისტრაციას მონაცემები, თუ რა ზიანს აყენებდა ალკოჰილიზმი მათ, რომ სოფელი არ იყო უსაფრთხო ადგილი, ოჯახებში ადგილი ჰქონდა ძალადობას, იხარჯებოდა შემოსავალი, არ იყო ფული სწავლისა და სახელმძღვანელოებისათვის, შეუძლებელი იყო სწავლა, არ იყო საკმარისი საკვები, სოფლის მაცხოვრებლები დასცინოდნენ ბავშვებს მათი მშობლების ალკოჰოლიზმის გამო, არსებობდა ჯანმრთელობის პრობლემები, არ იყო საკმარისი ფული სამედიცინო მომსახურების მისაღებად. მიუხედავად ამისა, უფროსებმა არ აღიარეს პრობლემების არსებობა და უარი თქვეს რაიმე ზომების მიღებაზე.

ბავშვებმა გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო ისეთი რამის გაკეთება, რაც თვალს აუხელდა ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას. პირველი ნაბიჯი იყო ინფორმაციის შეგროვება, რომელიც ნაწილი იყო კამპანიისა „გავწმინდოთ სოფელი“. ერთი კვირის განმავლობაში ისინი აგროვებდნენ ალკოჰოლური სასმელების ცარიელ ჭურჭელს მაღაზიების გარშემო და დაადგინეს, რომ დღეში ისმებოდა სამასი პაკეტი არაკი. შემდეგ მათ გამოითვალეს: ერთი პაკეტი არაკი ღირდა 11.00 რუპია, 300 პაკეტი — 3300.00 რუპია. თვეში ამ სასმელზე იხარჯებოდა 99 000.00 რუპია, ხოლო წელიწადში — 88 000.00 რუპია, რაც უზარმაზარი თანხაა ერთი პატარა სოფლისთვის.

ბავშვებმა ეს მონაცემები საჯაროდ წარმოადგინეს დამოუკიდებლობის დღის საზეიმო ცერემონიალზე. ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლები და საზოგადოება გაოცებული დარჩნენ ამ ინფორმაციით და იმ თანხის ოდენობით, რომელიც იხარჯებოდა სასმელზე. მათ შერცხვათ იმის, რომ აქამდე თვითონ არაფერი იღონეს ამ პრობლემის მოსაგვარებლად და ბავშვებს მოუხდათ ამის გაკეთება. საზოგადოებამ მოსთხოვა ადმინისტრაციას, განეხორციელებინა ზომები.

დღეისათვის ნანდროლში არც ერთ მაღაზიაში არ იყიდება ალკოჰოლური სასმელები.

დაფიქრდით და უპასუხეთ:

ამ ისტორიაში რატომ არ მიიღეს უფროსებმა სერიოზულად ბავშვების მიერ მიწოდებული ინფორმაცია?
რატომ არის მონაცემების შეგროვება-წარმოდგენის მეთოდი ეფექტური იმ უფროსებისათვის, რომლებსაც არ უნდათ მოსმენა?

თავი 8: ვიაროთ წინ

ღონისძიება 17: დაკავშირება

<u>რა არის მიზანი:</u>

- გავარკვიოთ რა კავშირი არსებობს სხვადასხვა გარემოში მომხდარ ძალადობებს შორის?
- ეს უფრო შედეგიანია იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც იცნობენ იმ ხუთივე გარემოს, სადაც ძალადობას აქვს ადგილი.

<u>რა არის საჭირო</u>:

- ციტატები — „კავშირების დამყარება."
- თასმის დიდი გორგალი.
- ქარალდის ფურცლები და ფანქრები.
- დიდი სივრცე.
- დრო— 45 წუთი.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. დაყავით მსმენელები ხუთ პატარა ჯგუფად, თითოეული — ძალადობის ერთი სახეობისათვის: ოჯახში, სკოლაში, სამუშაო ადგილზე, სპეციალურ დანესებულებებში და საზოგადოებაში. ჯგუფები სხდებიან თავისუფალ სივრცეში წრიულად. მიეცით თითოეულ ჯგუფს ქაღალდის ფურცელი და ფანქრები. სთხოვეთ ისაუბრონ იმაზე, თუ რით უკავშირდება მათი ჯგუფის მიერ გასარჩევი ძალადობის სახეობა სხვა ჯგუფის მიერ გასარჩევ ძალადობას. შესაძლოა იმიტომ, რომ ერთი სახის ძალადობა იწვევს მეორე სახის ძალადობას:

- ბავშვმა, რომელიც განიცდის ძალადობას რომელიმე სპეციალურ დაწესებულებაში, შეიძლება თვითონაც მიმართოს ძალადობას სხვების მიმართ, როდესაც ის დაბრუნდება საზოგადოებაში.
- ბავშვი განიცდის ძალადობას ოჯახში და ფიქრობს, რომ ძალადობა „ნორმალურია". ბავშვმა შეიძლება არ განაცხადოს ძალადობის შესახებ, რომელიც ხდება სკოლაში.

კავშირი შეიძლება მოიძებნოს იმაშიც, რომ ერთი სახის ძალადობის შეწყვეტა იწვევს მეორე სახის ძალადობის შეწყვეტასაც:

- პოლიციამ, რომელსაც აქვს ინფორმაცია ციხეებში ბავშვების მიმართ ძალადობაზე, შესაძლოა ნაკლები ძალადობა გამოიჩინოს მომუშავე ბავშვების მიმართ.
- მშობლები, რომლებსაც ასწავლიან ბავშვების დასჯის ნაკლებად ძალადობრივ გზებს, შეიძლება პროტესტი გამოთქვან იმ მასწავლებლების მიმართ, რომლებიც ბავშვებზე სასჯელის მძიმე ფორმას იყენებენ.

თუ ეს იდეა ჯგუფისათვის ძნელად გასაგები იქნება, წაიკითხეთ ნაწყვეტები მონათხრობიდან: დაუკავშირეთ ერთმანეთს შემთხვევები. სხვადასხვა სახის ძალადობებს შორის რა სახის კავშირზე საუბრობენ ეს ახალგაზრდები? ამ კავშირების სქემის შედგენამ შეიძლება უფრო ცხადი გახადოს საკითხი (იხ. ჩარჩო).

2. როდესაც ყველა ჩამოწერს სხვადასხვა სახის კავშირს, გადაეცით თასმის გორგალი ერთ ჯგუფს. სთხოვეთ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს დაიკავოს თასმის ერთი ბოლო, წაიკითხოს მათ მიერ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი კავშირი და გადასცეს გორგალი იმ ჯგუფს, რომლეთანაც მათ აქვთ კავშირი. მეორე ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ხელში თასმით, კითხულობს რაიმეს თავიანთ ჩამონათვალში და გადასცემს გორგალს იმ ჯგუფს, რომელიც უკავშირდება მათ ჯგუფს.

3. სთხოვეთ ჯგუფს, განიხილონ:
   - რა გრძნობა დაეუფლათ, როდესაც ხედავდნენ ამ კავშირებს?
   - რას ნიშნავს ამ კავშირების ამსახველი გამოსახულება მათთვის?
   - რა ისწავლეს ძალადობის შესახებ ამ ღონისძიებიდან?

ციტატები — კავშირების დამყარება

„მრავალ ადამიანს აქვს არა ერთი დიდი, არამედ ბევრი სხვადასხვა პრობლემა. მაგალითად ავიღოთ ბავშვი, რომელსაც სკოლაში აშინებენ, სახლში მშობლები ეჩხუბებიან, არა ჰყავს მეგობრები და აქვს მარტოობის გრძნობა. მთელი დღის განმავლობაში ბავშვი უმწეოდ გრძნობს თავს, უხასიათოდაა, გაღიზიანებულია და შეშინებულმა არ იცის, რა მოხდება. ასეთი ბავშვი ვერ საუბრობს თავის განცდებზე, რადგან ეშინია, რომ ვინმე გადაჭარბებულ რეაქციას გამოამჟღავნებს და უფრო დაამძიმებს მის მდგომარეობას. შემდეგ ის საკუთარ თავში იკეტება და სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ შეეგუოს თავის მდგომარეობას.” *გოგონა. ევროპა და ცენტრალური აზია.*

„თუ მათ (ბავშვებს) სახლში სცემენ, ისინი მზად არიან სხვებს სცემონ, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მშობლები ცუდად ეპყრობიან მათ და წესიერად არ ელაპარაკებიან, ბავშვები სხვებს დაუწყებენ ცემას. მათზე ყოველთვის ახდენს გავლენას ის, რასაც სახლში ხედავენ. ეს არის ძალადობის საფუძველი.“ *მოზარდი გოგონა. ლათინური ამერიკა.*

„გაზრდილ ბავშვებს ყოველთვის ახსოვთ, როგორ ექცეოდნენ მათ ბავშვობაში და საბოლოოდ იგივეს იმეორებენ უმცროსების მიმართ. ეს განსაკუთრებით ხდება სკოლებში. ზოგიერთ ადამიანს ფსიქიკა ერყევა.“ *ბიჭი, 14 წლის. სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკა.*

ფოტოასლი

მოქმედებისათვის საჭირო საშუალებები

ისწავლეთ მეტი!

- წაიკითხეთ *„ახალგაზრდების მიმართ ძალადობის კვლევის ანგარიში“*. გამოიყენეთ ეს ანგარიში ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად და სხვებსაც მოუწოდეთ მოქმედებისკენ.
- გამოიყენეთ იუნისეფის ვებგვერდი „ახალგაზრდების ხმა“ (www.unicef.org/voy/), რათა უფრო მეტი გაიგოთ ბავშვების მიმართ ძალადობის შესახებ და განიხილოთ ეს საკითხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებთან ერთად.
- იმუშავეთ ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რათა შეისწავლოთ ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული ფაქტები და სტატისტიკა.
- გაარკვიეთ, როგორ იღებენ ორგანიზაციები და მთავრობები გადაწყვეტილებას ბავშვებთან დაკავშირებული პოლიტიკისა და კანონების შესახებ, მათ შორის, გადაწყვეტილებას ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფის შესახებ.

„გვინდა გვჯეროდეს, რომ, თუ ჩვენ გავერთიანდებით და ერთ მუშტად შევიკვრებით, შევძლებთ დავამარცხოთ ძალადობა ახალგაზრდების მიმართ. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ წარმატება თვითონ არ მოვა, ის ჩვენ უნდა მოვნახოთ.“ *ახალგაზრდა. სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკა.*

ჩაატარეთ კვლევა!

- ჩაატარეთ გამოიკითხვა და შეადგინეთ კითხვარები ძალადობის საკითხებზე ახალგაზრდებისათვის თქვენს საზოგადოებაში.
- გაესაუბრეთ ახალგაზრდებს მათ მიერ გადატანილი ძალადობის საკითხზე.

გაუზიარეთ ერთმანეთს აზრები!

- მონახეთ სხვა ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობენ ამ საკითხებზე — შექმენით ერთიანი ქსელი, ისე, რომ თქვენი ხმა ყველამ გაიგოს.
- მონახეთ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც აინტერესებთ ეს საკითხები და ითანამშრომლეთ მათთან.
- ითანამშრომლეთ სოციალურ მუშაკებთან, ფსიქოლოგებთან და ჯანდაცვის მუშაკებთან და გამოუშვით ბროშურა, რომელშიც მითითებული იქნება ძალადობის ნიშნები. გაავრცელეთ ის მასწავლებლებსა და მშობლებს შორის, ჯანდაცვის დაწესებულებებში, რელიგიური რიტუალების ჩატარების ადგილებში.
- ადგილობრივ შეხვედრებზე აჩვენეთ ვიდეომასალა სახელმწიფო და რეგიონალური შეკრებების შესახებ, რომლებიც ტარდება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. განიხილეთ აუდიტორიასთან, როგორ შეუძლიათ მათაც ჩაერთონ ძალადობის აღსაკვეთ საქმიანობაში.

რატომ არის საჭირო სხვა პარტნიორებთან მუშაობა?

- ✓ მათ შეიძლება მოგაწოდონ ახალი იდეები და ასევე მიიღონ იდეები თქვენგან!
- ✓ მათ შეუძლიათ თქვენი დახმარება ცოდნის და ახალი უნარ-ჩვევების შეძენაში.
- ✓ მათ შეუძლიათ დაგეხმარონ ფულადი სახსრების და სხვა სახის მხარდაჭერის მიღებაში.
- ✓ მათ შეუძლიათ თქვენი გავლენის გაძლიერება.
- ✓ თქვენ შეძლებთ დაეხმაროთ უფრო მეტ ადამიანს.

გაზარდეთ ინფორმირებულობის დონე!

- ჩადეთ ძალადობის საწინააღმდეგო მიმართვები აეროპორტის საბარგო ურიკებში, მაღაზიების სავაჭრო კალათებში, დააწყვეთ ისინი ავტობუსებისა და მეტროს გაჩერებებზე ან ავტობუსებსა და მატარებლებში.
- შეადგინეთ დეკლარაცია ან მიმართვა ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით; სთხოვეთ მშობლებს, მასწავლებლებს, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს და ადგილობრივ თანამდებობის პირებს, რომ ხელი მოაწერონ ამ დეკლარაციას.

- გააკეთეთ პლაკატი ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე — მონახეთ ადგილი თქვენს საცხოვრებელთან და გააკარით.
- მონაწილეობა სთხოვეთ ცნობილ ადამიანებს (როკ-ვარსკვლავებს, სპორტსმენებს), რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ სანიმუშო როლი ძალადობისა და გენდერული დისკრიმინაციის აღკვეთის საქმეში.
- ჩაატარეთ საპროტესტო მსვლელობა ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით.
- დაამზადეთ სამკერდე ნიშანი, რომელზედაც გამოსახული იქნება ძალადობის საწინააღმდეგო მიმართვა ან სიმბოლო.
- ჩაატარეთ კამპანია — შეაბით ხეს ლენტები. თითოეული ლენტი იქნება ძალადობის შედეგად მოკლული ბავშვის სიმბოლური გამოსახულება.
- დადგით პიესა ან მოაწყვეთ ქუჩის წარმოდგენა ძალადობის თემაზე — შეეკითხეთ მაყურებლებს, როგორ შეიძლება მისი აღკვეთა.
- მოაწყვეთ თოჯინების თეატრი ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე.
- გამოუშვით მაისურები ძალადობის საწინააღმდეგო წარწერებით.
- დაწერეთ სიმღერა ძალადობის წინააღმდეგ — სცადეთ, მონახოთ ცნობილი პიროვნება, ვინც ჩაწერს ამ სიმღერას!

<u>იმუშავეთ კანონების შესაცვლელად!</u>

- ლობირება გაუწიეთ თქვენს წარმომადგენლებს ადგილობრივ და სახელმწიფო დონეებზე, რომლებსაც სურთ შექმნან კანონები ბავშვთა მიმართ ძალადობის აღკვეთასთან დაკავშირებით.

<u>დოკუმენტალურად გააფორმეთ თქვენ მიერ განხორციელებული სამუშაო</u>!

- გადაიღეთ ფოტოები ან ვიდეოფილმი თქვენი პროექტის განხორციელების შესახებ.
- მოაწყვეთ ფოტოგამოფენა.
- აწარმოეთ ჟურნალი თქვენი სამუშაოს შესახებ. შეაგროვეთ ციტატები იმ ბავშვების მონათხრობიდან, რომლებმაც გადაიტანეს ძალადობა და რომლებსაც თქვენი პროექტი ეხმარება.

<u>გამოიყენეთ საინფორმაციო საშუალებები</u>!

- შეადგინეთ განცხადებები საზოგადოებრივი მომსახურების შესახებ, რომლებიც შეიძლება გადაიცეს ადგილობრივი ტელევიზიით ან რადიოთი.
- შექმენით ვებგვერდი, რათა საზოგადოებას გააცნოთ თქვენი საქმიანობა.
- გააკეთეთ სარეკლამო დაფა ძალადობის საწინააღმდეგი ტექსტებით — იშოვეთ სპონსორი ამისათვის.
- დაწერეთ სტატიები ადგილობრივ გაზეთებში გამოსაქვეყნებლად ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე — გამოიყენეთ თვით ბავშვების მონათხრობი.
- შექმენით გაზეთი ბავშვის უფლებების თემაზე.

„სკოლაში შევიტყვე ბავშვის უფლებების შესახებ, ზოგიერთი უფროსიც ლაპარაკობს ამ უფლებებზე. მე ვბედავ ვესაუბრო იმ უფროსებს, რომლებიც აიძულებენ თავიანთ ქალიშვილებს ადრეულ ქორწინებას, და ვეუბნები მათ, რომ ეს არ არის კარგი. მე ვურჩევ გოგონებს, ჩემს მეგობრებს, ნუ იჩქარებენ გათხოვებას.” *გოგონა, 14 წლის. სამხრეთ-აღმოსავლეთი აფრიკა.*

„ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იმის გამო, რომ გოგონა ვარ, არა მაქვს უფლება გამოვთქვა პროტესტი, როდესაც ბიჭები და კაცები ცუდად მექცევიან. მაგრამ მას შემდეგ, რაც გავხდი ბავშვთა კლუბის წევრი, მივხვდი, რომ უფლება მაქვს ყოველთვის ვიგრძნო თავი დაცულად. მე ყოველთვის შემიძლია დავიცვა თავი და გავაპროტესტო, თუ ვინმე შეეცდება შეურაცხყოფა მომაყენოს ან აბუჩად ამიგდოს. ჩემი სხეული მე მეკუთვნის და უფლება მაქვს დავიცვა იგი.“ *გოგონა, 13 წლის. სამხრეთ აზია.*

„ძალადობასთან ბრძოლის საშუალებაა ჩვენი სოფლის ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა.“ *ბიჭი, აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი.*

წყარო: ეყრდნობა ნიუ-იორკში 2006 წლის 23-25 მაისს „ძალადობის კვლევასთან“ დაკავშირებით გამართულ შეხვედრაზე ახალგაზრდების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

ღონისძიება 18: ტალღისებური ეფექტი

<u>რა არის მიზანი</u>

- შევახსენოთ საკუთარ თავს, რომ შეგვიძლია შევცვალოთ მდგომარეობა!

<u>რა არის საჭირო</u>:

- სალექციო პლაკატი და მარკერები ან დაფა და ცარცი.
- ქაღალდის დიდი ფურცლები.
- დრო — 45 წუთი.

შენიშვნა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის: ამ ღონისძიების დაწყებამდე, ჩაატარეთ ლექცია გეგმის შესადგენად, რომელზედაც გაარკვევთ, თუ რა უნდა გააკეთოს ჯგუფმა. შეგიძლიათ გამოიყენოთ მე-3-მე-7 თავების ბოლოს მოცემული ისტორიები, რომლებიც მოგაწოდებთ იდეებს. შეგიძლიათ, ასევე, გამოიყენოთ 14-ე გვერდზე მოცემული კითხვები, რომლებიც დაგეხმარებათ ამ ისტორიების გაანალიზებასა და თქვენი გეგმის შედგენაში.

<u>რა არის გასაკეთებელი:</u>

1. შეეკითხეთ ჯგუფს, რა ხდება როდესაც ქვას გუბეში აგდებ — ხედავ ტალღებს, რომლებიც ვრცელდება იმ ადგილიდან, სადაც ქვა ეცემა (შეგიძლიათ ეს დახატოთ პლაკატზე ან მოახდინოთ მისი დემონსტრირება აუზში ქვის ჩაგდებით). მოქმედების დაწყება ჰგავს წყალში ქვის ჩაგდებას. ტალღოვანი ეფექტი შეიძლება წამოვიდეს იქიდან, საიდანაც მოქმედება იწყება.

2. შექმენით პატარა ჯგუფები. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს დახატონ ქაღალდის დიდ ფურცელზე „ქვა“, რომელსაც ისინი „ისვრიან გუბეში“ და იქვე უნდა მიაწერონ იმ მოქმედების (ინდივიდუალური ან ჯგუფური) აღწერილობა, რომლის განხორციელებასაც აპირებენ ან რომლის შესახებაც გაუგონიათ. შემდეგ მიახატეთ წრიულად ტალღები, რომლებიც თანდათან ფართოვდება — თითოეულ ტალღას მიაწერეთ განმარტება.

3. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს აჩვენონ ერთმანეთს თავიანთი სქემები. ზოგმა შეიძლება მოინდომოს ჯგუფის წინაშე ამ თემაზე როლის გათამაშება.

4. ტალღების საკმარისი რაოდენობა შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას!

<u>მომდევნო ნაბიჯები:</u>

- ეს თქვენზეა დამოკიდებული! „რესურსების სია“ გიკარნახებთ, თუ როგორ უნდა მოიძიოთ ინტერნეტში „ძალადობის კვლევა“ და სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ცოდნის გასაღრმავებლად და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის ხელშესაწყობად.

შენიშვნა ჯგუფის ხელმძღვანელისათვის: მოსაზრებები, თუ როგორ უნდა დაასრულოთ კურსი, მოცემულია დანართში 3.

„ძალადობა ბავშვებზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა“ — **ინფორმაცია**:

„ძალადობის კვლევის“ საინფორმაციო გვერდი ინტერნეტში: www.violencestudy.org

„ძალადობის კვლევის“ ახალგაზრდული ინტერნეტ-გვერდები: www.violencestudy.org/r49

Safe Me and Safe You (მინდა თავისუფალი ვიყოთ მე და შენ - არა ძალადობას) (2006, Save the Children), ვებგვერდის მისამართი: www.rb.se/eng

Children's Actions to End Violence against Girls and Boys (ბავშვების ძალისხმევა გოგონებისა და ბიჭების მიმართ ძალადობის აღსაკვეთად) (2006, Save the Children). ვებგვერდის მისამართი: www.rb.se/eng

Questions and Answers for Children and Young People on the UN Study on Violence against Children (კითხვები და პასუხები ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის — „ძალადობა ბავშვებზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა“) (მაისი 2005, Save the Children). ბუკლეტი, ვებგვერდის მისამართი: http://www.violencestudy.org/IMG/pdf/ childfriendly_qa_onvac_english-2.pdf

United Nations Secretary-General's Study on Violence against Children („ძალადობა ბავშვებზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სამსახურის კვლევა, ადაპტირებულია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის **(2006, ძალადობა ბავშვებზე — გაეროს კვლევა). ეს არის ანგარიშის გამარტივებული ვერსია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის; შედის დოკუმენტების ამ პაკეტში.**

Act Now — Some Highlights from Children's Participation in the Regional Consultations for the UN Study on Violence (იმოქმედეთ ახლა! — ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი გაეროს მიერ ძალადობის კვლევასთან დაკავშირებით გამართულ რეგიონალურ კონსულტაციებში ბავშვების მონაწილეობის შესახებ) **(2005, Save the Children), ვებგვერდის მისამართი:** www.rb.se/eng

ბავშვის უფლებათა კონვენცია:

სრული ტექსტი: http://www.unicef.org/crc/crc.htm

რა უფლებებია ეს? — „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ შემოკლებული ვერსია, ბროშურა. ვებგვერდის მისამართი: http://www.unicef.org/magic/media/documents/what_rights_flyer_english.pdf

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ ვერსიები სხვადასხვა ენაზე (ზოგი ბავშვისათვის გასაგებ ენაზეა): http://www.unicef.org/magic/briefing/uncorc.html

საერთაშორისო ორგანიზაციები:

„ბავშვის უფლებათა საინფორმაციო ქსელი“ (CRIN): http://www.crin.org/ CRIN-ს აქვს დოკუმენტები და სხვა საინფორმაციო მასალა „ძალადობის კვლევის“ შესახებ.

„გადავარჩინით ბავშვები“ (Save the Children): http://www.savethechildren.org/ თუ თქვენს ქვეყანაში არსებობს ამ ორგანიზაციის ოფისი, ისინი დაგეხმარებიან და მოგაწვდიან ინფორმაციას ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით.

იუნისეფი (UNICEF): www.unicef.org იუნისეფის ოფისს ან ეროვნულ კომიტეტს თქვენს ქვეყანაში შეუძლიათ მოგაწოდონ უფრო მეტი ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ.

„სკაუტების მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაცია“: www.scout.org სკაუტების ჯგუფები არსებობს მთელ მსოფლიოში; დაუკავშირდით ასეთ ჯგუფს თქვენს ქვეყანაში და გაიგეთ, რას აკეთებენ ისინი ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით.

რესურსები ჯგუფის ხელმძღვანელებისათვის:

ScoutPAX (სკაუტთა მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაცია). რესურსი, რომელშიც მრავლადაა ღონისძიებები, აქტივიზატორები, გულდასმით შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები პროექტის განხორციელების გეგმის შესადგენად, რომელიც ითვალისწინებს კონფლიქტების მოგვარებას ძალადობის გარეშე, აუქმებს შეზღუდვებს და მხარს უჭერს უფრო ფართო სოლიდარობას. ვებგვერდის მისამართი: www.scout.org/scoutpax

Spice it up! (2001, Save the Children, დიდი ბრიტანეთი). სახელმძღვანელო ჯგუფის ხელმძღვანელებისათვის, სადაც მოცემულია, თუ როგორ უნდა მოხდეს დაგეგმვა, სხვადასხვა საქმიანობის განხორციელება, აქტივიზატორები და მოსაზრებები შეფასებისათვის. შეუკვეთეთ ინტერნეტის საშუალებით შემდეგ მისამართზე: www.savethechildren.org.uk

იდეები მოქმედებისათვის:

„ახალგაზრდების ხმები“ — იუნისეფის ვებგვერდი ახალგაზრდებისათვის, განხილვები საერთაშორისო დონეზე, რაც ასევე გულისხმობს ბავშვთა მიმართ ძალადობის განხილვას: http://www.unicef.org/voy/

Cybertipline: კიბერსივრცის მონიტორინგი, კავშირი ინტერპოლთან და „დაკარგული და ექსპლუატირებული ბავშვების საერთაშორისო ცენტრთან“: www.cybertipline.com

Child Helpline International: ეს გლობალური მასშტაბის ცნობარი აძლევს ინფორმაციას ბავშვებსა და ახლაგაზრდებს მთელი მსოფლიოს დახმარების სატელეფონის ხაზებისა და მომსახურების შესახებ: http://www.childhelplineinternational.org/helplines.php

სხვა საინფორმაციო საშუალებები:

Children's Actions to End Violence against Girls and Boys (ბავშვების ძალისხმევა გოგონებისა და ბიჭების მიმართ ძალადობის აღსაკვეთად):

საერთაშორისო ინიციატივა (2006. Save the Children); 26-წუთიანი DVD ბავშვების მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე. ვებგვერდის მისამართი: www.rb.se/eng

დანართი 1: ბავშვის უფლებათა კონვენცია (შემოკლებული ვერსია)

მუხლი 1: ბავშვის განმარტება
ამ კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლება აქვს 18 წლამდე ასაკის ყველა პირს.

მუხლი 2: დისკრიმინაციის დაუშვებლობა
ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები ეხება ყველა ბავშვს, განურჩევლად რასისა, რელიგიისა, კანის ფერისა, შესაძლებლობებისა; მიუხედავად იმისა, რას ფიქრობენ, ან რას ამბობენ, ან როგორ ოჯახებს მიეკუთვნებიან.

მუხლი 3: ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები
ბავშვთა საქმეებზე მომუშავე ყველა ორგანიზაციამ უნდა დაიცვას ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები.

მუხლი 4: ბავშვის უფლებათა განხორციელება
მონაწილე სახელმწიფოებმა ეს უფლებები ხელმისაწვდომი უნდა გახადონ ბავშვებისათვის.

მუხლი 5: ოჯახში აღზრდა და ბავშვის მზარდი შესაძლებლობები
მონაწილე სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ოჯახის წევრების უფლებებსა და ვალდებულებებს, ისე აღზარდონ თავიანთი შვილები, რომ ბავშვებმა ისწავლონ საკუთარი უფლებების სათანადოდ გამოყენება.

მუხლი 6: სიცოცხლისა და განვითარების უფლება
ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის უფლება. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანსაღი განვითარება.

მუხლი 7: სახელი და მოქალაქეობა
ყოველ ბავშვს აქვს უფლება ჰქონდეს ოფიციალურად რეგისტრირებული სახელი და მოქალაქეობა; ასევე, უფლება იცნობდეს თავის მშობლებს და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, იღებდეს მათგან მზრუნველობას.

მუხლი 8: ინდივიდუალობის შენარჩუნება
სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლება ჰქონდეს სახელი, მოქალაქეობა და ოჯახური კავშირები.

მუხლი 9: მშობლებისაგან განცალკევება
ბავშვი არ უნდა დაშორდეს მშობლებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს საჭიროა მისი კეთილდღეობისათვის. მაგალითად, როდესაც მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს ან არ ზრუნავენ მასზე. როდესაც მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე, ბავშვს უფლება აქვს იქონიოს კავშირი ორივე მშობელთან, თუ ეს მას ზიანს არ აყენებს.

მუხლი 10: ოჯახის გამთლიანება
ოჯახის წევრებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ, უნდა მიეცეთ უფლება გადავიდნენ ერთი ქვეყნიდან მეორეში, რათა მშობლებსა და შვილებს შორის იყოს ურთიერთკავშირი, ან ოჯახის გამთლიანების მიზნით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში.

მუხლი 11: ბავშვების უკანონოდ გადაადგილება და გატაცება
სახელმწიფოები იღებენ ზომებს, რათა აღკვეთონ ბავშვების უკანონო გაყვანა თავიანთი ქვეყნიდან.

მუხლი 12: ბავშვის შეხედულებები
ბავშვს აქვს უფლება გამოთქვას თავისი აზრი, როდესაც უფროსები გადაწყვეტილებას იღებენ იმ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მის აზრს.

მუხლი 13: აზრის თავისუფლად გამოხატვა
ბავშვს აქვს უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, თუ ეს ინფორმაცია ზიანს არ აყენებს მას ან სხვებს.

მუხლი 14: აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება
ბავშვს აქვს უფლება ისარგებლოს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით, თუ ეს ხელს არ უშლის სხვებს თავიანთი უფლებების გამოყენებაში. მათ ამ საკითხში სათანადოდ მშობლები უხელმძღვანელებენ.

მუხლი 15: ასოციაციათა უფლება
ბავშვებს აქვთ თავშეყრისა და სხვადასხვა ჯგუფებსა თუ ორგანიზაციებში გაერთიანების უფლება, თუ ეს ხელს არ უშლის სხვებს თავიანთი უფლებების განხორციელებაში.

მუხლი 16: პირადი ცხოვრების დაცვა
ბავშვს აქვს პირადი ცხოვრების უფლება. კანონი მას უნდა იცავდეს პირად ან ოჯახურ ცხოვრებაში თვითნებური ჩარევისაგან, მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფისაგან.

მუხლი 17: ინფორმაციის მისაწვდომობა
ბავშვს აქვს უფლება მიიღოს საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული სანდო ინფორმაცია. ტელევიზიით, რადიოთი და გაზეთებით უნდა გადაიცეს ბავშვებისათვის გასაგები ინფორმაცია და არ უნდა გავრცელდეს ინფორმაცია, რომელიც საზიანოა მათი კეთილდღეობისათვის.

მუხლი 18: მშობელთა ვალდებულებები
მშობლები ერთობლივად აგებენ პასუხს ბავშვის აღზრდაზე და მუდმივად ზრუნავენ მისი ჭეშმარიტი ინტერესების დაცვაზე. სახელმწიფო ვალდებულია ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს მშობლებს ბავშვების აღზრდაში, განსაკუთებით მაშინ, როცა ორივე მშობელი მუშაობს.

მუხლი 19: დაცვა ძალადობისაგან და უგულებელყოფისაგან
სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი მშობლების, ან ბავშვზე მზრუნველი სხვა პირის მხრიდან ძალადობისა და უხეში მოქცევისაგან.

მუხლი 20: ოჯახურ გარემოს მოკლებული ბავშვის დაცვა
ოჯახურ გარემოს მოკლებულ ბავშვზე ზრუნვა უნდა განახორციელონ ისეთმა პირებმა, რომლებიც პატივს სცემენ მის რელიგიას, კულტურას და ენას.

მუხლი 21: გაშვილება
გაშვილებისას, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები. ბავშვის გაშვილებისას იმ ქვეყანაში, სადაც ის დაიბადა, ან სხვა ქვეყანაში გამოყენებული უნდა იქნეს ერთი და იგივე კანონები.

მუხლი 22: ლტოლვილი ბავშვები
სახელმწიფოში ლტოლვილის სტატუსით მცხოვრებ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე უფლებები, როგორიც აქვთ ამ სახელმწიფოში დაბადებულ ბავშვებს.

მუხლი 23: უნარშეზღუდული ბავშვები
უნარშეზღუდული ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს განსაკუთრებული მზუნველობითა და მხარდაჭერით, რათა მან შეძლოს სრულყოფილი და დამოუკიდებელი ცხოვრება.

მუხლი 24: ჯანდაცვა და სამედიცინო მომსახურება
ბავშვს აქვს უფლება სარგებლობდეს მაღალი ხარისხის ჯანდაცვის საშუალებებით, მიიღოს საკმარისი სურსათი და სუფთა სასმელი წყალი, იცხოვროს სუფთა გარემოში, რათა იყოს ჯანმრთელი. მდიდარი ქვეყნები უნდა დაეხმარონ ღარიბ ქვეყნებს ამის მიღწევაში.

მუხლი 25: მეურვეობაში მყოფი ბავშვის მდგომარეობის პერიოდული შეფასება
იმ ბავშვის მდგომარეობა, რომელზედაც მშობლების ნაცვლად ზრუნავს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო, უნდა შემოწმდეს პერიოდულად.

მუხლი 26: სოციალური დაცვა
სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს დამატებითი თანხა იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ გაჭირვებულ ოჯახებში.

მუხლი 27: ცხოვრების სათანადო დონე
ყველა ბავშვს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს იმ ოჯახებს, ვისაც ამის უზრუნველყოფა არ შეუძლია.

მუხლი 28: განათლება
ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება. სასკოლო დისციპლინის დაცვა უნდა განხორციელდეს ისე, რომ დაცული იქნეს ბავშვის ღირსება. დაწყებითი განათლება უნდა იყოს უფასო. მდიდარი ქვეყნები უნდა დაეხმარონ ღარიბ ქვეყნებს ამის მიღწევაში.

მუხლი 29: განათლების მიზანი
განათლების საშუალებით უნდა მოხდეს ბავშვის პიროვნული განვითარება და ნიჭის სრული გამოვლენა. საკუთარი მშობლების, თავისი და სხვათა კულტურის პატივისცემის გაღვივება.

მუხლი 30: ბავშვები, რომლებიც განეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას
ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს და გამოიყენოს თავისი მშობლიური ენა და ადათ-წესები, მიუხედავად იმისა, იყენებს თუ არა მას ქვეყანაში მცხოვრებთა უმრავლესობა.

მუხლი 31: თავისუფალი დრო, დასვენება და კულტურული ცხოვრება
ყველა ბავშვს აქვს უფლება დაისვენოს და ითამაშოს, მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ღონისძიებებში.

მუხლი 32: ბავშვის შრომა
სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც საზიანოა, ან შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს მისი ჯანმრთელობისათვის, ან ხელს უშლიდეს მას განათლების მიღებაში.

მუხლი 33: ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო გამოყენება
სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა დაიცვას ბავშვები საზიანო ნივთიერებების მოხმარებისაგან.

მუხლი 34: სექსუალური ექსპლუატაცია
სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ბავშვი სექსუალური ძალადობისაგან.

მუხლი 35: ვაჭრობა, კონტრაბანდა და გატაცება
სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა თავიდან აიცილოს ბავშვის გატაცება ან გაყიდვა.

მუხლი 36: ექსპლუატაციის სხვა ფორმები
ბავშვი დაცული უნდა იყოს ნებისმიერი საქმიანობისაგან, რომელიც ზიანს აყენებს მის განვითარებას.

მუხლი 37: წამება და თავისუფლების აღკვეთა
კანონდამრღვევი ბავშვი არ უნდა იყოს სასტიკი მოპყრობის ობიექტი. ის არ უნდა მოათავსონ ციხეში უფროსებთან ერთად და მას უნდა ჰქონდეს ოჯახთან კავშირის უფლება.

მუხლი 38: შეიარაღებული კონფლიქტები
სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას 15 წლამდე ასაკის ბავშვის ჯარში გაწვევა. საომარი მოქმედებების ზონაში მყოფი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას.

მუხლი 39: რეაბილიტაცია
ექსპლუატაციისა და ძალადობის მსხვერპლმა ბავშვებმა უნდა მიიღონ განსაკუთრებული დახმარება ღირსების გრძნობის აღსადგენად.

მუხლი 40: კანონდამრღვევი ბავშვები
კანონის დარღვევაში ბრალდებულმა ბავშვებმა უნდა მიიღონ იურიდიული დახმარება. ციხეში სასჯელის მოხდის განაჩენი გამოტანილი უნდა იყოს მხოლოდ განსაკუთრებით სერიოზული დანაშაულის შემთხვევაში.

მუხლი 41: უმაღლეს ნორმათა პრიორიტეტულობა
თუ რომელიმე ქვეყნის კანონები ამ კონვენციის დებულებებზე უკეთ იცავს ბავშვს, მაშინ ძალაში რჩება ეს კანონები.

მუხლი 42: კონვენციის განხორციელება და ძალაში შესვლა
მონაწილე სახელმწიფომ ამ კონვენციის შესახებ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ყველა მშობელსა და ბავშვს.

წყარო: იუნისეფის ბროშურა — *„რა უფლებებია ეს“ (What rights):*
http://www.unicef.org/magic/media/documents/what_rights_flyer_ english.pdf

დანართი 2: აქტივიზატორების ნიმუშები

ზოგიერთ ჯგუფში ისეთი აქტივიზატორის გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, შეხება, შეიძლება შეუსაბამო იყოს. ზოგმა უნარშეზღუდულმა ახალგაზრდამ შეიძლება ვერ შეძლოს მონაწილეობის მიღება ისეთი სახის აქტივიზატორების გამოყენებისას, რომლებიც მოითხოვს აუდიტორიაში გადაადგილებას. შეარჩიეთ ისეთი აქტივიზატორები, რომლებიც შეესაბამება თქვენი ჯგუფის შესაძლებლობებს.

დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით შეგიძლიათ ნახოთ „რესურსების ჩამონათვალში“, სათაურით: „რესურსები ჯგუფის ხელმძღვანელებისათვის“.

მუშტი
მითითებები იხ. 53-ე გვერდზე.

ჯგუფური დათვლა
სთხოვეთ ჯგუფს დაითვალონ იმ რიცხვამდე, რამდენი ადამიანიც არის ჯგუფში. (15-წევრიანი ჯგუფის შემთხვევაში, ითვლიან თხუთმეტამდე). ეს ხდება ასე: ერთი ამბობს: „ერთი“, მეორე — „ორი“ და ა.შ. დათვლა მიმდინარეობს *არა* თანამიმდევრულად, წრიულად, არამედ — მოუწესრიგებლად. ახალგაზრდებმა წინასწარ არ იციან, ვინ რომელ ციფრს დაასახელებს. თუ ორი ბავშვი ერთდროულად დაასახელებს ერთნაირ ციფრს, მაშინ ჯგუფი თავიდან იწყებს თვლას.

სახლი — ბავშვი — ქუჩა
მითითებები იხ. მე-20 გვერდზე.

სურათის შედგენა

შეაგროვეთ სურათები ჟურნალიდან და გაჭერით ოთხ-ხუთ ნაწილად. აურიეთ ერთმანეთში და სთხოვეთ, რომ თითოეულმა აიღოს თითო ნაწილი, შემდეგ კი იმოძრაონ და მონახონ ის ბავშვები, რომლებსაც აქვთ სურათის დანარჩენი ნაწილები. ამ აქტივიზატორის გამოყენება შესაძლებელია ასევე სხვა ღონისძიებისათვის, პატარა ჯგუფების შესადგენად.

მაშველი ნავი
დააყენეთ ყველა აუდიტორიის შუაში, რომელიც „ოკეანეს“ წარმოადგენს. დაიძახეთ „ექვსი“. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დაიყონ ექვსკაციან ჯგუფებად და მოთავსდნენ „მაშველ ნავში“. ჯგუფის გარეშე დარჩენილებს შემდეგი ციფრის დასახელებამდე მოუწევთ „ცურვა“. ციფრები სწრაფად დაასახელეთ, რათა ბავშვებს მისცეთ მოძრაობის საშუალება. ასევე შეგიძლიათ შეადგინოთ ჯგუფები სხვა ღონისძიებისათვის — დაასრულეთ ციფრების დასახელება იმ ციფრით, რამდენი ადამიანიც გინდათ რომ იყოს ჯგუფში.

ნიღბები
დასვით მსმენელები წრიულად. სთხოვეთ რომელიმე მოხალისეს დაიწყოს. მან სახის მიმიკით უნდა გამოხატოს რაიმე ემოცია, მაგალითად, გაბრაზება. შემდეგ ეს იმიტატორი, „იძრობს“ სახიდან „ნიღაბს“, ესვრის მას ჯგუფის სხვა წევრს და ამბობს მის სახელს. ახლა ეს პირი მოირგებს სახეზე „გაბრაზებულ ნიღაბს“ და შემდეგ ცვლის მას სხვა ემოციით. ამის შემდეგ „იძრობს“ ახალ „ნიღაბს“ და „ესვრის“ სხვას. გააგრძელეთ ასე მანამ, სანამ ყველა არ მიიღებს მონაწილეობას.

სარკეები
დააყენეთ პარტნიორები პირისპირ. ერთი მათგანი იქნება წამყვანი და დაახლოებით ერთი წუთის განმავლობაში გამოხატავს სხვადასხვა ემოციას. მეორე იქნება სარკე, რომელიც იმეორებს გამოხატულ ემოციას. ერთი წუთის შემდეგ პარტნიორები ცვლიან როლებს.

მზე ანათებს
დააწყვეთ სკამები წრიულად, მონაწილეთა რაოდენობაზე ერთი სკამით ნაკლები. ერთი ბავშვი დგას ცენტრში და ამბობს: „მზე ანათებს ყველა ჩემს მეგობარს, ვისაც...“ წინადადება უნდა დასრულდეს, მაგალითად, ასე:

- „...უყვარს ნაყინი“;
- „...იცის ორზე მეტი ენა“.
- „...უყვარს ცეკვა“.

თუ წინადადება სკამებზე მჯდომთაგან რომელიმეს ეხება, ისინი დგებიან და გარბიან თავისუფალი სკამისაკენ. იგივეს აკეთებს ცენტრში მდგომი პირი. ერთ-ერთი მათგანი უსკამოდ რჩება და ის ამბობს წინადადებას, რომელიც ისევე იწყება, როგორც წინა.

რას აკეთებთ?
სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, დადგნენ (ან დასხდნენ) წრიულად. ამოარჩიეთ ერთი ბავშვი, რომელიც მიმიკის საშუალებით შეასრულებს რაიმე მოქმედებას (მაგალითად, თმის დავარცხნა, წიგნის კითხვა, ჭამა, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა და ა.შ.). ამგვარ მოქმედებას ბავშვი ერთი წამის განმავლობაში ასრულებს. მის მარცხნივ მყოფი ბავშვი ეკითხება: „რას აკეთებ?“. ბავშვი, რომელიც ასრულებს მოქმედებას, პასუხობს, მაგრამ მისი პასუხი განსხვავებულია იმისაგან, რასაც ის სინამდვილეში აკეთებს. შემდეგ ის ბავშვი, რომელმაც კითხვა დასვა, მიმიკის საშუალებით ასრულებს იმ მოქმედებას, რომელიც პირველმა ბავშვმა დაასახელა (და არა იმ მოქმედებას, რაც მან შეასრულა). ამის შემდეგ კითხვას სვამს მესამე პირი: „ რას აკეთებ?“ და აკეთებს იმას, რასაც მეორე პირი ამბობს. გააგრძელეთ ასე წრეზე, რაც შეიძლება სწრაფად. (სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, არ უთხრან გვერდზე მჯდომ პირს რაიმე უხერხული ან დამაბნეველი. ყველას აქვს უფლება უარი თქვას ისეთი მოქმედების შესრულებაზე, რომელიც მას უხერხულად ეჩვენება).

ზუზუნი
სთხოვეთ ჯგუფის წევრებს დასხდნენ წრიულად და წარმოიდგინონ სწრაფად მიმავალი მანქანის ზუზუნი. თქვით: „ზუზუნებს“ და სწრაფად მიატრიალეთ თავი მარჯვნივ. თქვენს მარჯვნივ მჯდომი პირი მიატრიალებს თავს მარჯვნივ და ეუბნება მის გვერდით მჯდომს: „ზუზუნებს“, და ასე გრძელდება მანამ, სანამ ყველა არ მიიღებს მონაწილეობას.

შემდეგ სთხოვეთ, რომ ითქვას „შეჩერდი“, რის შემდეგაც სიტყვა „ზუზუნებს“ იცვლის მიმართულებას და გადაეცამა მარცხნივ. როდესაც თქვენი რიგი მოვა, და უნდა თქვათ „ზუზუნებს“, ამის ნაცვლად თქვენ შეგიძლიათ თქვათ „შეჩერდი.“ ეს იმას ნიშნავს, რომ პირი, რომელმაც თქვენ გითხრათ სიტყვა „ზუზუნებს“, შეტრიალდება მეორე გვერდზე და იქ მჯდომს ეუბნება ამ სიტყვას. „შეჩერდის“ თქმა ჯგუფში ყველას შეუძლია, როცა მათი რიგი დადგება, მაგრამ თუ ჯგუფი დიდია, უფლება მიეცით, რომ თითოეულმა ბავშვმა მხოლოდ ერთხელ თქვას ეს სიტყვა.

დანართი 3: შეხვედრის დასრულების ნიმუში

„დასრულების“ ეს ორი ნიმუში ეფექტურია მოკლე მეცადინეობის შემდეგ, როდესაც თქვენ შემდგომში კიდევ შეხვდებით ჯგუფს.

ერთი სიტყვით გამოხატული შეგრძნება
სთხოვეთ ჯგუფის წევრებს იარონ წრეზე და წარმოთქვან ერთი სიტყვა, რომელიც გამოხატავს მათ შეგრძნებებს იმ წუთში. ჯგუფის ხელმძღვანელს შეუძლია დაასრულოს ღონისძიება ისეთი ფრაზით, როგორიცაა „ძალადობაზე საუბარმა ბევრი სხვა შეგრძნება აღძრა. შემდეგში შევეცდებით, ამ შეგრძნებებს დადებითი ელფერი შევძინოთ.“

წინადადების დასრულება
- „დღეს ჩემთვის ყველაზე კარგი იყო . . .“
- „დღეს ჩემთვის ახალი იდეა იყო . . .“
- „მე გტოვებთ იმ იმედით, რომ . . .“

შეხვედრის დასრულების ეს სამი ნიმუში კარგია უფრო ხანგრძლივი მეცადინეობის ან ისეთი პროგრამის დასრულების შემდეგ, რომელსაც რამდენიმე მეცადინეობა დასჭირდა:

შეფასება
დასვით მსმენელები წრიულად და სთხოვეთ რომელიმეს, შეაფასოს ჯგუფის ერთ-ერთი წევრი. შემდეგ ეს პირი სხვას სთხოვს ვინმეს შეფასებას. გააგრძელეთ მანამ, სანამ ყველა არ მიიღებს მონაწილეობას შეფასებაში და სანამ ყველა არ შეფასდება. ვინც მიიღებს შეფასებას, გადაეცით რაიმე ნივთი — ღილი, პატარა დროშა, ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც ეწერება „გმადლობთ“ და სხვ. ამგვარად მიხვდება ჯგუფი ვინ მიიღებს შეფასებას და ვინ — არა.

დასაჩუქრება
სთხოვეთ მსმენელებს მონახონ პარტნიორები და რამდენიმე წუთს ისაუბრონ იმაზე, თუ რა ისწავლეს და როგორ ფიქრობენ, რაში გამოადგებათ ნასწავლი. შემდეგ ისევ ერთად შეკრიბეთ ჯგუფი და სთხოვეთ ჯგუფის თითოეულ წევრს, გადასცენ თავიანთ პარტნიორს „საჩუქარი“. საჩუქარი არ უნდა იყოს ნივთი. ის უნდა იყოს რაიმე რეალური („მე გიძღვნი ჩემს მეგობრობას და თანადგომას“) ან რაიმე წარმოსახვითი („მინდა გაჩუქო წყვილი ფეხსაცმელი, რომელიც მხოლოდ უსაფრთხო ადგილზე მიგიყვანს“).

გამხნევება
დაურიგეთ ყველას ბარათები ან ქაღალდის ფურცლები. სთხოვეთ დაწერონ წინადადება, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად წაახალისებს ახალგაზრდებს (თუ ვერაფერს მოიფიქრებთ, დაწერეთ ის, რაც გინდათ, რომ თქვენ გითხრათ სხვამ!). შემდეგ სთხოვეთ ყველას, ფეხზე წამოდგნენ, გაიარ-გამოიარონ, გადასცენ ბარათები რაც შეიძლება ბევრ ადამიანს. ერთი ან ორი წუთის შემდეგ შეაჩერეთ ისინი — ყველას ხელში უჭირავს მისთვის მიცემული ბარათი. თუ სურვილი ექნებათ, შეუძლიათ ხმამაღლა წაიკითხონ ბარათები!

დანართი 4

A. „სურათზე თქვენ ვერ ხედავთ . . . “ ფოტოსურათი 1 (ღონისძიება 1)



B. „სურათზე თქვენ ვერ ხედავთ . . . ” დაასრულეთ ფოტოსურათი (ღონისძიება 1)

წყარო: იუნისეფი /HG93-1149/სენად გუგელიჩი ყოფილი იუგოსლავია, 1993 - სარაევოს ქუჩაში ჯარისკაცის გვერდით დგას ბავშვი და ხელში თოფი უჭირავს.